



# ილორი

E-mail: roland.jalagania@mail.ru  
E-mail: r.jalagania@mail.ru



№427 (486) 10-24 აპრილი 2018 წ. სხვადასხვა მოძრაობა „სამეგრელოს“ ორბანო შანი 50 თეთრი

სირსხვილი ის კი არ არის, რომ მებრუნად ლაპარაკობან, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიხით მებრული ვანა – აააკი შანიკა



**სერბი საჯანია:**  
**არა, ეს** 88.2  
**ქართული**  
**მნერლობა**  
**არ არის!..**

**ავთანდილ ხინისთავი:**  
88.7 **იბედი ნუ**  
**მოგიშალეთ**  
**ღმერთმა!..**

88.5 **ჰამლეტ**  
**ჭიკაშვილი:**  
**ე.ნ. პატრიოტების**  
**გასაგონად**

88.9 **გივი**  
**სომეხიშვილი:**  
**თავდადებული**  
**ღიმიტრი მეორის**  
**მოლოდინეი**



**ლავრენტი**  
**ბერიძე** —  
**საბჭოთა**  
**კავშირის**  
**ხილდანამებული**  
**გმირი** 88.4

**გივი ყურელი:**  
**კინოსოფელი**  
**ბრონეულა — XXI**  
**საუკუნის სოფელი** 88.3



**სრულიად** 88.7  
**საქართველოს**  
**ვულოცავთ**  
**საქართველოს**  
**პირველი**  
**კანონიერი**  
**პრეზიდენტის**  
**ზვიად**  
**გამსახურდინას**  
**დაბადების დღეს!**

**ლუარა სორდია:** 88.6  
**მერაბ კოსტავას**  
**პოეზია**

**მურმან სანგულია:**  
88.10 **ქება-ღიღება**  
**სიმაართლისათვის**  
**მებრძოლ ადამიანებს**

**კუკური ფიფია:**  
**რა ძალა აქვს**  
**ღვთის სიტყვას**  
**და რას მოგვცემს**  
**მისი შეცნობა?** 88.8



# არა, ეს ქართული მწერლობა არ არის!..

(გაგრძელება წინა ნომრიდან)

ის კი არაა, აგერ თბილისში, მერაბ კოსტავას გამზირზე (№14) იბეჭდება გაზეთი „Абхазский меридиан“, რომლის მორიგ ნომერში (2017 წლის ოქტომბერი) გურამი ჩვეულებრივად ამტკიცებს, რომ აფხაზეთის აგრესორ-სეპარატისტთა საქმიანობა ისეთივე დევიფიკაციონობაა, როგორც „ცხრა ძმა ხერხეულიძის თავგანწირვა“. კითხვობა მის სტრიქონებს და რწმუნებები შენს წინ ერთბაშად ღვეან ბერძენიშვილის, პაატა ზაქარეიშვილის, თინა ხიდაშელის, ემზარ ჯგერეიშვილის და ა.შ. გოლიათი ქართველთაშვილობაა, იგი სხვადასხვა შემონაკადებით გაწყალ-უხვებული განიადვრებაა, წაღვეით რომ ემუქრება დვთისმშობლის წილხვედრილობას.

აქ კიდევ და კიდევ შეგახსენოთ უნდა, რომ საქართველოში ყველაზე კონვერტირებადი ვალიუტა 30 ვერცხლია, ეს გურამ ოდიშარას მაგალითზე მკაფიოდ ჩანს. არა, მას იატაკქვეშეთში არავინ აძლევს ქრთამს, რა საჭიროა?!

იგი მის სხვადასხვა პრემიის, ჯილდოს, გრანტის, თანამდებობის სახით ებოძება იქედან, „სადაც ჯერ არს“ და ფეხქვეშ მიწა ექვის კი არა, მამამისის ნაღვრულარ „ტაბურეტკასაით“ იკვარცხლებუებს და ირგებს ყოველივე ამას, რათა მორიგი „გულანწყუებით“ ამტკიცოს, რომ ჩრდილო-დასავლეთ საქართველო (აფხაზეთი) საქართველო არაა და თვითონაც „Моряк Сухумской морской литературы“ გახლავთ (ამაში იძლევიან ვარსილის მხოლოდ).

ამიტომ მისთვის აფხაზეთის შინაარსი ღიხინი (იხილეთ ამ მარადმშობლიურის აღადადება ასომთავრულში), მოქვის (გაიხსენეთ მოქვის სახარება), ბედიის (ბაგრატ მესამის საძვალე), ბესლეთის (ასომთავრულის გადმოძახილი) მარადქართულობა კი არაა (როგორც ეს ჯერ კიდევ 1639-40 წლებში დახვდათ თვით რუს მოგზაურებს (მხვერვაებს) ფ. ელჩინსა და პ. ზახარეევს), – არამედ დაკვეთილი დებულების გასიტყვება, აი ასე, აგრესორ-სეპარატისტთა გემოვნების მიხედვითაა ჩანადმული ცრუ დემოკრატიისა და ჰუმანიზმის სტრიქონები: «Я грузинский писатель, но я ещё и сухумский писатель. Если можно так сказать, «моряк сухумской морской литературы». Я горжусь этим.

Фазиль Искандер и его творчество для меня литературный Эверест. И каждый писатель в своём творчестве, на мой взгляд, должен стремиться как можно ближе подойти к этой вершине. В том числе и я».

ღიახ, ბატონი გურამის სულიერ მოთხოვნილებად გადაქცეულია არა გიორგი შარვაშიძის, არზაყან ემგვარის, ილია ჭავჭავაძის მოფლამხედველობა, არამედ აგრესორ-სეპარატისტ ფაზილ ისკანდერის მოძღვრება ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს „არაქართველობის“ შესახებ.

«Общекавказская культура – это мировое достояние. А культура Абхазии – её уникальная частица. Так что, в этом плане о ней можно говорить как о феномене международного значения. И она не нуждается в адвокатах. Мой скромные усилия по её популяризации просто внутренняя потребность, мой долг перед краем, перед городом, где я родился».

ცხადია, ზოგადკავკასიური მშვიდობა ვერასოდეს ვერ დამყარდება თუ კი ჩრდილო-დასავლეთ საქართველო (აფხაზეთი) არ აღსდგა თავის დედან შინაარსში, აქაურმა ქართველმა არ იაფხაზა და შემოსახლიკაცებულმა აფსუამ აფსუად არ ისახლიკაცა.

ამ შემთხვევაში ნუ დაგაბნევთ ისეთი საკენკი, როგორცაა „Общекавказская“... ზოგადკავკასიური კულტურის ნაწილად გურამ ოდიშარას აფხაზეთს, როგორც ქართლის ბუნებრივ (ღიხინი, ბიჭვინთა, მოქვი, ბედი, ქიაჩი, ილორი, დრანდა და სხვ) შინაარსს კი არ გულისხმობს, არამედ აქაც აგრესორ-სეპარატისტთა რიტორიკის გამსიტყვებლად იღვენს თავს. სამწუხაროდ, საზოგადოება არ იცნობიერებს ქართველი ერის უსაფრთხოების, ქმედუნარიანობისა და მარადიულოფის არათუ დროს გადაწვენილ გრძელვადიან გეგმას, თვით

მოკლევადიან მოსაზრებულთაში მოსალოდნელ გადამშენებლურ ჩასაფრებებსაც კი. მეტიც ერის მარადიულოფის მოსაშლელად წინაპართა მიერ ნაგაკვეთილარ პრევენციულ სტრატეგიასაც კი სპობს.

მასხენდება ქვეყნის დეფინიციისკენ დაძრული ჩვენი სატახტო, როდესაც სასტუმრო „ივერიაში“ (და არა მხოლოდ აქ) ჩრდილო-დასავლეთ საქართველოდან (აფხაზეთიდან) ეთნიკური წმენდისა და გენოციდის გზით გამოძეგულ დეფინილთა მოზღვაგებამ „შეაწუხა“ ზეპური (ელტური) საზოგადოება. ისინი ყოველ გზაჯვარედინზე გაიძახოდნენ, – „ივერია“ გაავერანესო დეფინილებმა...“

დღეს სასტუმრო „ივერიას“ „რედისონ ბლუ“ ჰქვია, დავით აღმაშენებლის ქანდაკებაც აღგვიღია აქედან, მეტიც სატახტოს მეორე გამზირი, დავით აღმაშენებლის სახელობისა, დღეს „მოძმე“ ოსმალთა მილიონერების საუფლოა. როგორც ამბობენ, აქ, მათ საეჭვო დაწვებულებებში, ახალი პატრონები სიძვის ნელნელად ადგილობრივ რესურსს იყენებენ, საურთიერო საშუალებადაც ამ მიდამოში კინადამ თურქულია ( გაიხსენეთ, სატახტოს ელიტას ყურს სჭრიდა დეფინილების რბილი „ღ“), მარჯანიშვილის მოედანს სტამბოლის მოედნად ასაჯარისებენ და ა.შ. სამწუხაროდ, აოგვრაცვად დარწმუნდნა საზოგადოებამ, რომელიც მიზანმიმართულად უპატიურდება, ამჯერად, პირში წყალი ჩაივება და თვალსაწიერი გაიბურუსა. კი ბატონო, მოავარი ხომ გაკეთდა, ეს მიდამო არც „ივერიად“ შინაარსდება, დავით აღმაშენებლის საბრძანისადაც ადარ ნიშანსვეტობს და რბილი „ღ“-ც აღარ იხმის აქ.

ასეთ შემთხვევაში საშველი მიზეზის სწორად დადგენაში არის ხოლმე. მიზეზს კი, ისევ და ისევ, წმინდა ილია მართალი გვიხსნის: **„ზემთ ვთქვი, რომ ერთიანი სახელი მივლი ჩვენი ხალხობისა ხუთ, თუ ექვს ნაჭრად დაყვავით-მეთქი! გონებამ ჩვენმა ერთიანი, მილიანი აზრი იმ სახელისა ვეღარ დაიტივა, ვერ ზიდა, აიღო და ის სახელი და მისი აზრი ხალხის მცირე ნაწილს დაარქვა. ამრიგად სიტყვას: ქართველს, რომელსაც საზოგადო მნიშვნელობა ჰქონდა, კერძობითი მნიშვნელობა მიეცა.“** („ზოგიერთი რაშ“).

მართლაც და, ქართველო, შე კი კაცო, შენ გაგიჟდი, უფრო სწორად, გარეგნდი?! რანაირად დაუშვი, მამაცონებულო, რომ ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) ქართველთა სამხარეო სახელი აფხაზი დაარქვი აქ 1683 წლის შემდეგ სამტრედ ჩამოწოლილს და შენი ვინაობა გაუპიროვნე მარბიელად მოსულს?!

მეტი უვიცობა რაღაა, როცა (ისევ და ისევ გიმეორებთ) ბედიის, ღიხინის, მოქვის, ბესლეთის და ა.შ. ქართულად ამღადადებულს აფხაზად არ თვლი?!

„მეფე აფხაზთა“ ნიშნავდა ამ მხარის ქართულად ანუ მშობლიურად გაშინაარსებულთა მეფობას და არა იმას, თითქოს აქ არაქართველებზე ბატონობდა ბაგრატიონი (სხვათაშორის – თავანკარა კოლხი, ანუ რბილი „ღ“-ს წარმომოქმელთა კუთხიდან)!..

ქვეყნის დეფინიციისათვის აგრესიულ გლობალიზმს მოსდრდება სრული უვიცობა. უვიცობაში მოსახლეობის ჩაძირვამ სტრატეგიული ინდუსტრიის სახე მიიღო. ჩვენთან დღეს ამას აკეთებენ დემოკრატიის, ადამიანის უფლების დაცვისა და პროგრესის, ე.წ. დასავლეთური განათლების სახელით.

კაცმა რომ თქვას, უცხოეთში მიღებული განათლება შეიძლება, შენი ქვეყნის საზიანთად გამოიყენო (შეადარეთ პავლე დიმიტრის ძე ციციანოვი, იგივე ციციშვილი) ან შენი სამშობლოს სასარგებლოდ გაასაგნო (მაგალითად წმინდა ილია მართალი).

ის, რასაც უცხოეთში „ქართული“ არასამთავრობოები თავიანთი ბარიკადული აზროვნებით თავს გვახვევენ ქართველთა ერთიანი ეროვნულ-სახალხო სულისკვეთების გასაცამტვერებლად (ისევ და ისევ დ. ბერძენიშვილის, თ. ხიდაშელის, ნ. ლომჯარიას, ე. გიგაურის, ბ. მინდიაშვილის, გ. ოდიშარასა და მათ თანამოსაქმეთა მოღვაწეობაა ამის მაგალითი), იმასთან შედარებით

სეპარატისტული ავტონომიები (აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის აო) ბავშვური სიცელქე იყო (ამას მე გეუბნებით, კაცი, რომელიც ყველა საშუალებით, მათ შორის ტყვიითაც რომ ვებრძოდი აგრესიულ სეპარატიზმს და ყურმოკვრით კი არა, – დედანში ვიცნობ მას). აი, რა უნდა შევიგნოთ მანამ, სანამ ურემი გადაბრუნდება.

5. საგანგაშო წუთნაფიქრებისთვის: მიმდინარე 2017 წელს საქართველოში დაიბადა უფრო ნაკლები, ვიდრე გარდაიცვალა; სამეგრელოს მოსახლეობა შემცირდა 135 ათასით; კახეთის – 90 ათასით, მეტ-ნაკლებად ასეა სვანეთში, აჭარაში, ქართლში, იმერეთში და ა.შ. 2017 წელს ოთხასი ათასი ქართველი დედა უცხოეთში გახლდათ გადახვეწილი ოჯახის სარჩენად. აქედან ყველაზე თავზარდამცემი ისაა, რომ სამ მილიონამდე დასული ქართველებიდან, რომელთაგან მეოთხედზე ნაკლებია ახალგაზრდა, ყოველწლიურად ორასი ათასი სული იძულებულია, სამშობლოდან გადაიხვეწოს და სხვათა ქვეყნებში სამადლოდ ეძიოს ბედი. ქართველი ახალგაზრდობიდან ოცდაათშობიერი ათასი ნარკომანია. ამას დაუმატეთ საზღვარგარეთიდან ჩვენთან „შემომშობლიურებული“ ათათასობით არაქართველი, რომელთა უმეტესობის წინაპარი ცეცხლითა და მახვილით ებრძობა საქართველოს!..

ქვეყნისათვის თავსდამტყდარი უბედურებებიდან მარტო 2017 წლის დეკემბრის თვეში მომხდარს გადავავლოთ თვალი, ის საგანგაშოდ დამაფიქრებელია: ქ. თბილისში, ა.ე. ხორავას ქუჩაზე შემზარავი მკვლელობა მოხდა, როდესაც მოზარდებმა სკოლის მოსწავლეთა ჯგუფურ ჩხუბში დანიშნულს სისიკვილოდ დაჭრეს ორი არასრულწლოვანი...“

იმ დღეებში ასეთივე მკვლელობა მოხდა ქუთაისის მახლობლად, მადლდამთიან აჭარაში მოზარდმა თვითმკვლელობის მიზნით თავი დაიხიანა, გოგონამ ვენები გადაიჭრა, ქ. თბილისში, მოსწავლე ახალგაზრდობის სულიერი ცენტრის ბაღში ასევე დანიშნულს სკოლის მოსწავლე, მესტიაში კაცი საკუთარი სახლის სახურავზე დაცხრილეს, რომელ ერთზე ვისაუბრო... ყოველი დღე ასეთი დამზაფრავი ახალი ამბის მოხარებით გვითენდება. ეს იმის ბრალია, რომ საზოგადოება, განსაკუთრებით ახალგაზრდობა დედა ეკლესიას მოაცილეს და სატანას შეაბრუნეს ხელში.

უკიდურესად საგანგაშოა ის სიცხადე, რომ დღეს თაობის ერთ ნაწილში (თუ მეტში არა), რომელიც ეროვნულ ვინაობაში კი არ ცხოვრობს, ვითომვეროპული ყოველდღიურობით ხმაბაძვაში ისაქმებს თავს, – სათავზარო სიბნელეა, სადაც სისატიკისა და სირვეგნის დიქტატურა დათარეშობს.

სიბნელე კი სხვა არაფერია, თუ არა სინათლის მოუღწევლობა.

გამონათებას კი მხოლოდ ეროვნული თვალსამხერდიდან, ანუ მშობლიური ვინაობიდან თუ შეავლევ მხერას. ეს არ იცის ამ საზოგადოებამ.

აი, ამის ასხნა-განმარტება, უპირველეს ყოვლისა, ქართული მწერლობის მოვალეობაა.

ვითარება არაა წასაყრუებელი. ქართველთა დეფინიციის არ ხდება მარტო „თეთრი ხმაურის“, „გირჩის“, „რუსთავი-2“-ის, „თავისუფლების ინსტიტუტისა“ და ა.შ. მსგავსი ეთნოდივერსიებით, ისეთი აუცილებლობით, როგორცაა ინტერნეტი ძირითადად მიმდინარეობს საზოგადოების ქმედუნარიანი ტერორი („თეთრი ვეშაპი“), როდესაც ვითომ თამაშის სახით მოზარდებს ითრვენ და თანდათანობით თვითმკვლელობამდე მიჰყავთ: დღეს ჩვენს საზოგადოებაში პოლიტიკური, სულიერი თუ სხვა სახის ყოფილი ტერორი სახელმწიფო პოლიტიკა გახდა „უფლებადამცველთა“ ხელში.

ასეთ დროს ქართველ ერს ნარკომანიის დეკრიმინალიზაციის კანონით კი არ უნდა ვაიარაღებდეთ, თავში უნდა ვესაგნებდეთ ახალი რუის-ურბნისისა და დიდგორის სულისკვეთებას. სწორედ ის დროა, ისევე, როგორც დიდგორზე დავით აღმაშენებლის ბრძანებით უკანდახვეის აღსაკვეთად როცა ჩაიხერგეს გზა, დღესაც ვინმე

წინგახედულმა უნდა ითავოს „ძღვევი საკვირველი“.

გადააქციეს რა ქვეყანა ქართველი ერის სადენალიზაციო რეზერვაციად და მოამარაგეს შესაბამისი საეთნოდივერსიო კომბინატებით („რუსთავი-2“, „გირჩი“, „თეთრი ხმაური“, „ლურჯი ვეშაპი“ და ა.შ.), ქვეყანას აცხოვრებენ არა შინერს-ვაშინერსის წესრიგში, არამედ აუტიფრებენ სატანური განუკითხაობის ყოველდღი-ურობაში.

როგორ ფიქრობთ, ამდენი მკვლელობა, ერის თანამიმდევრული მიღვეადობა, ხანძრები, სტიქიური უბედურებები ღვთისწყრთმა არაა სასჯელი იმისათვის, რომ ქვეყნიდან ეროვნულ-სახალხო სულიერება გააძევეთ, უფალს განვუდგეთ და ლიბერალტულ ხრწნალობას ვეუფებით?! ასეთ ვითარებაში, რომელიც წარმოგიდგინეთ, ქართული მწერლობა დედა ეკლესიას თანამოსანგრედ უნდა დაუდგეს და თავადაც გახდეს სწორედ რომ საველე-სასანგრო მდგომარეობის ერთ-ერთი სარდალი.

ვიმეორებ, მწერლობა – გარდა იმისა, რომ განსაზღვრავს ერის სულიერ არისტოკრატიულობას, ამავე დროს მას „ერის წყლული ანდეს წყლულად“ უნდა, რითაც იგი ყალიბდება ქმედუნარიან და მძლავრ ინსტიტუტად და მიზანმიმართულ ეროვნულ-სახალხო ძალისხმევად.

ის ვალდებულია, ხალხის ძილქუშიდან გამოსაყვანად საგანგაშო ზარები დაარისხოს, არ დაუშვას ქრისტესმხედარი და გიორგიანელი ერის გამდაბიურება. ყოველმხეზგარეშე უნდა გაუძღვეს საზოგადოებას ღირსებებში სამუხლამგროდ. ამიტომ სჭირდება მას ინსტიტუტური დარაზმულობა ლასკარულ წესრიგში.

სწორედ ამისთვისაა გადაუდებელი საქმე ქართველ მწერალთა თავყრილობის მოწვევა და შესაბამისი საორგანიზაციო დასკვნების გატარება, საჭიროა მწერალთა შემოქმედებითი კავშირის მოქცევა იმ მიზნებში, რისთვისაც იგი 1918 წელს შექმნა საქართველოს დედა ეკლესიის ავტოკეფალიის აღორძინებისა და ქართული უნივერსიტეტის დაარსების გასწვრივ.

...და ბოლოს, იმისთვის, რომ ვიცოდეთ ამის ნაცვლად თუ რა ცნობიერება მესაჭეობს დღეს საქართველოს სახელმწიფოებრიობას, მე ახლა გაგისაჯარისებთ საქართველოს პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის, ბატონ დავით უსუფაშვილის მიმართვას შვილისადმი:

წინასწარ გეტყვი, ეს მიმართვა წარმოადგენს არაერთათასწლოვანი ქართული მწერლობის სწავლებათა დრომოქმულ გადმონაშთად გამოცხადებას, მოვალეობისადმი „მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა“ გადარწმუნებას, სამშობლოსათვის თავგანწირული მარო მაცაშვილის ხსოვნის შეგინებას, გუმისთაზე ჩაცხრილული ჩემი პირტიტველა მოსწავლეებისადმი მიფურთხებას, მისა ხელაშვილის ხელმეორედ დახვრეტას, ცხრა ძმა ხერხეულიძის ძვლების წაბილწვას და მათი ძუძუწმინდა დედისადმი მიმდგომლობას... უარეს ხმაბოღვას, ვიდრე ქალბატონმა თინა ხიდაშელმა, ბატონი დავითის თანამეცხედრემ რომ წამოროშა – „გაგრისთვის, ამ მიწის ნაგლეჯისთვის ვერაგის მივიმდურებო“. ღიახ, ბატონი დავითი ღაღადებს: „ჩვენ ვაქვს ძალიან ბევრი ისეთი შეხედულება და ისეთი იდეა, რომელიც, შესაძლოა, ჩვენი თანამოქალაქეების ერთ ნაწილში ვერ არის ასეთი პოპულარული. მაგალითად, ჩვენ ჩვენს შვილებს არ ვეუბნებით, რომ თქვენ, ჩემო შვილებო, თქვენ დაიბადეთ და გაგაჩინეთ იმისთვის, რომ სამშობლოს გმირულად შეეწიროთ. მე ამას არ ვეუბნები ჩემს შვილებს. მე ვეუბნები, რომ, შვილებო, თქვენ დაიბადეთ და შეიქმნით და განდით ამ ქვეყანაზე, რომ იყოთ თავისუფალი და ბედნიერი და ყველა საკითხზე გააკეთოთ თავისუფალი არჩევანი...“

სმრბი (ბიორბი) საჯაია





ჯორჯია, გეორგია – ასე ჰქვია ჩვენს სამშობლოს მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე. მიწათმოქმედი, გლეხი – მიწის მადლის მომპოვებელი და მიწის მადლით დაბრძენებული ადამიანის, ვის მხრებზე დგას დედამიწა. ქართული კინო ყველა კუთხის წესჩვეულებების ჩვენებით ერთიან სულიერ ქვეყანას ძერწავდა, ინდუსტრიალიზაციის პერიოდში სოფლები ინტენსიურად იცლებოდნენ, მოსახლეობა ქალაქებში სახლდებოდა და ბევრი სოფელი ნახსლარად იქცა. ქართული კინო განწყობას უქმნიდა მოსახლეობას მართულ იყენებ ცხოვრების გამოწვევების მოთხოვნილებებს ფილმებით: „ისინი ჩამოვიდნენ მთიდან“, „საბუღარელი ჭაბუკი“, „კეთილი ადამიანები“.

მრეწველობის წარმოების დონის ნაციონალური შემოსავალი 90-ჯერ გაიზარდა.

საქართველოს სოფლის მეურნეობის წარმოება საკავშირო სპეციალიზირებულ სამომხმარებლო ბაზარზე იყო გათვლილი და აღემატებოდა შიდა საქართველოს სამომხმარებლო ბაზრის მოცულობას 50-ჯერ.

XX საუკუნის 60-იან წლებში ხრუშჩოვი „კომუნიზმის მშენებლობის“ ავანტიურისტული პროგრამით გვირდებოდა 20 წელიწადში, 1980 წლიდან, კომუნიზმში ცხოვრებას. მისი დირექტივით დაიწყო კომპანია დაგეგმვა და გაუსწროთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ხორცის, რძის და რძის ნაწარმის რაოდენობით ერთ სულ მოსახლეზე. მთელ ტერიტორიაზე ჩრდილოეთ პოლუსამდე სიმინდი ითესებოდა, ყაზახეთისა და ალტაის ყამირი მიწების ათვისებას შეუდგნენ. ხრუშჩოვის კომპანია მიმდინარეობდა სტალინის საქმეების შეცდომებისა და ნაკლოვანების რევიზიით, უკვე სტალინის სიკვდილის შემდეგ. ანუ ხრუშჩოვი იმ ხის ტოტს ჭრიდა, რომელზედაც იჯდა.

იმ პერიოდში კინოეკრანებზე გამოდის გერმანელი რეჟისორების ტორონდაიკების დოკუმენტური ფილმი „Русское чудо“ პირველი და მეორე სერიები, სადაც ნაჩვენებია იყო პირველი მსოფლიო ომიდან გამოსული დახუსტებული, განუსათხოვრებელი და სამოქალაქო ომში ნაბმული, განათლებით შეზღუდული, მშვიერი რუსეთი, რუსეთმა-საბჭოთა კავშირმა, ისტორიის მოკლე მონაკვეთში, 20 წელიწადში სასწაული მოახდინა, ქვეყანაში მშვიდობა დაამყარა, მოახდინა კულტურული რევილუცია, მოისპო წერა-კითხვის უცოდინარეობა, ინდუსტრიალიზაციის დონე 300-ჯერ გაიზარდა, ბუნებრივ მარცვლებით შეივსო. მეორე მსოფლიო ომიდან გამარჯვებული გამოვიდა და საბჭოთა კავშირი ატომურ ქვეყნად აქცია.

ფილმს „Русское чудо“ პირველ და მეორე სერიებს ყველა კინოთეატრში სადღესასწაულო ცერემონიებით უჩვენებდნენ და საბჭოთა კავშირის სასწაულებრივ წარმატებებს ხრუშჩოვი თავისთავზე ირგებდა და საბჭოთა ხალხის ღირსებად მიანდა, იმიტომ რომ სტალინი გლობუსით მართავდა ქვეყანას.

ხრუშჩოვის ხელაპირულმა და ამპარტავულმა პოლიტიკამ საბჭოთა

კავშირი მარცვლებული გარეშე დატოვა. პურ-ფუნთუშეულის მაღაზიების ცარიელ ვიტრინებში გაჩნდა წარწერები „Русское чудо“-ს მესამე სერია. სახელმწიფო იძულებული გახდა არსებული ოქროს მარაგით უცხოეთში მარცვლებული შეესყიდა, რომ ქვეყნის მოსახლეობა შიმშილისგან გადაერჩინა. ავანტიურისტული კომუნიზმის მშენებლობის პროგრამით ხრუშჩოვს კოვზი ნაცარში ჩაუვარდა და მისი გადაყენებით დასრულდა.

უკვე ახალი „განვითარებული სოციალიზმის“ პროგრამით ქალაქელების წარმოება-დაწესებულების მუშაეებს, სასურსათო კალათის შესავსებით, ოჯახზე 600კგ მიწის ნაკვეთებს გვინაწლებდნენ „მებაღეთა ამხანაგობის“ ფორმატით, კოოპერატივებით ე. წ. „სააგარაკოების“ – „დაჩეხს“, ქალაქების შემოგარენში, უკაცრიელეს, ტექნიკისთვის მიუდგომელ ადგილებში: ქ. ქუთაისის შემოგარენში, წყალტუბოს გზაზე, ქ. სოხუმის მებაღეობა კილასაურში, ქ. ხესტავის მებაღეობა ვეირილას მარცხენა სანაპიროზე. ქ. ცხინვალის მებაღეობა ჯავის გზაზე. გორის სოფელ სერასტნ, ქ. თბილისის მებაღეობები განლაგებულია: კასპის, დუშეთის, თეთრიწყაროს, მარნეულის, გარდაბნის და სხვა რაიონებში. საწვერო შენატანებით გაიყვანეთ სარწყავი არხები, ელექტროსადენები, შიდა გზები, ქარსაცავები, აყვავილდა მსხმნობარე ხეხილის ბაღები – წარმოიშვა ოაზისები – არატრადიციული სოფლები.

დინგრა უზარმაზარი საბჭოთა იმპერია. ყველანი აღმოფხვნილი ნანგრევების ქვეშ, მოიშალა კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის და მებაღეთა ამხანაგობის ინსტიტუტები, მძიმე მრეწველობის საკავშირო მნიშვნელობის წარმოებები ჯართად იქცა. ნანგრევებიდან გამოსვლას ყველა თავისებურად ცდილობდა.

კინოკავშირის 400 ადგილიანი კინოდარბაზი კახინოსათვის გაქირავდა, დინგრა და დღემდე ვერ აღვივდენია, კინოსტუდია „ქართული ფილმის“ კინოგადასადები პავილიონი, რომელიც საბჭოთა კავშირში ყველაზე დიდად ითვლებოდა, საეჭვო ვითარებაში გაიყიდა. ზოგმა უცხოეთში წასვლით უშველა თავს, ზოგმა შექმნა „ვაზის პარტია რუსეთთან ერთად“.

დიღმის კინოსტუდიაში თანამშრომლების დასანაყრად უფასო სასადილო გაიხსნა. კინოსტუდიის მებაღეობის წვერებს გაუზარდეს ნაკვეთები 1500კგმ, რათა თავიანთი საზრდო თვითონვე შეეკმნათ. ტერიტორიას ისტორიული სახელი ბროწეულია დაეუბრუნეთ და ამჟამად 200 ოჯახი დაამკვიდრდა, შემოყვანილია ბუნებრივი აირი, ჩაყარა საძირკველი წმ. ილია მართლის (ილია ჭავჭავაძის) სახელობის ეკლესიას. შეეკმნით ასოციაცია „კინოსოფელი ბროწეული“ და ეკმნით ცხოვრების ღირებულების ისეთ სივრცეს, რომელსაც თანამედროვე საზოგადოება ინარჩუნებს და აგვეყავს ღირებულებები ახალ ხარისხში. არც ერთი საზოგადოება ერთბაშად არ იქმნება. მომხმარებელი ვაქციოთ შექმნელად, მწარმოებლად. მოვამზადოთ ახალი მოქალაქე, რომელიც ჩაერთვება

ქვეყნის, ოჯახის სამსახურში და არა ნარკოტიკზე, თამაშზე და ნემსზე დამჯდარი. მართლებურად მიმანია სკოლებში არა „ზღაპრული“ ვაშლის დარიგება, არამედ დაწყებით კლასებში ვასწავლოთ გირჩის დათესვა, პლასტმასის ჭიქებში, რითაც მოზარდები შეიძენენ უნარებს და ჩამოუყალიბდებათ მიწათმოქმედების ცოდნის საწესები. საჯარო სკოლის დასრულებისას ზოგად საგანმანათლებლო საგნებთან ერთად შეფასდეს მოსწავლეების მიერ გახარებული მცენარე. ცოდნა იზომება არა დიპლომების რაოდენობით, არამედ საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომით. სარბონის, იენის, ოქსვორდის, ჰარვარდის უნივერსიტეტები არ ჰქონდა დამთავრებული ედვარდ შევარდნაძეს. ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის დიპლომით საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობდა. თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლობდა გორელი ბიჭი სოსო ჯულაშვილი, იოსებ სტალინის სახელით საბჭოთა კავშირი პლანეტაზე უძლიერესი სახელმწიფო ააშენა.

ჩვენ გაგვანია ამბიცია „კინოსოფელი ბროწეული“ არა მარტო სანახაობად ვაქციოთ, არამედ სახელმძღვანელოდ მოქმედებისათვის.

მაგონდება, როგორი გაბრწყინებული სახით ჰყვებოდა კინოდოკუმენტალისტი გიორგი ასათიანი, რომ 50 ცალი ატამი მოკრიფა, როგორი გულდასმით ბარავდა მიწას კინორეჟისორი ნიკოლოზ სანიშვილი, სარეველასა და ქველორდისგან როგორ იყო გაწმენდილი კინორეჟისორ დავით რონდელის ნაკეთი. მსახიობი ეროსი მანჯგალაძე სშირად იმეორებდა: ვაშლის ბაღს ავაშენებო, ნაკვეთში მომუშავე მსახიობი იპოლიტე ხეინიას დანახვისას კახეთისკენ რეინიგზით მიმავალმა მგზავრებმა კინოსტუდიის მებაღეობის ბაქანს ხეინიას ბაქანი შეარქვეს, მაგონდება როგორ გვარწმუნებდა ჩვენ ქალაქელებს ასფალტზე გაზრდილ ახალგაზრდობას, კინომსახიობი კოტე დაუშვილი, რომ შრომითა და მოთმინებით აქაურობა დამუშავდება და ნარგავები მიკროკლიმატს შექმნიან. რეზო თაბუკაშვილი, საზოგადო მოღვაწე, სცენარისტი ყვებოდა, რომ როცა კინოფილმი „კუნძულ ტექსელის“ სცენარზე მუშაობდა პოლანდიაში, ადგილობრივმა მასპინძელმა ბიზნესმენმა (გვარის, სამწუხაროდ არ მახსოვს) პოლანდიის ღირსშესანიშნაობები დაგვათვალაიერებინა, ბოლოს თავისი მამული გვიჩვენა და ძვირფასი აპარტამენტების შემოვლის შემდეგ „გაწკრივდებულ ოთახში შეგვიყვანა“, სადაც ხბოს ტოლი ღორი იყო მოთავსებული. რეზო თაბუკაშვილის შეკითხვაზე, რისთვის ინახავ ამ ღორს? მასპინძელმა უპასუხა, რომ თითოეულმა ადამიანმა უნდა იზრუნოს თავის თავზე და ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებაზე.

1889 წლის 1 მაისს, 129 წლის წინ გერმანიაში იყო მიღებული კანონი საზოგადოებრივ მეურნეობაზე, რომლის მთავარ პრინციპად ითვლება თვითდახმარება, თვითპასუხისმგებლობა და თვითმმართველობა, სოფლის მეურნეობის მთავარ ორგანომ „გერმანიის რაიფაზენის კავშირი“ ითვლება. გერმანიაში აღიარებული 3211 „რაიფაზენის კავშირის“ სასაქონლო ბრუნვა წელიწადში 34.4 მილიარდ ვეროს შეადგენს და ქვეყნის 15.5 მილიონ მაცხოვრებელს აერთიანებს. მსხვილი ქალაქების გარშემო საბოსტნე-საბაღე მეურნეობებია განლაგებული, გაშენებულია მეფრინველეობის ფაბრიკები, მსხვილფეხა საქონლის და ღორის ფერები.

პალესტინაში პირველი კიბუცები (ივრითიდან თარგმნით – თემის გაერთიანებას ნიშნავს) წარმოიშენენ ბევრად უფრო ადრე, ვიდრე ისრაელის სახელმწიფო შეიქმნა. კიბუცმა შესარულა კოლოსალური როლი ისრაელის სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში. კიბუცმა შექმნა ყამირ უდაბნოში ოაზისების შექმნა, ახალგაზრდების დარაზმა, ეროვნული აღორძინების იდეის ხიბლით. ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ქალმა გოლდა მეირმა ახალგაზრდობა კიბუცში

გაატარა. ისრაელის პრემიერ-მინისტრი არიელ შარონი (მისი მშობლები თბილისის უნივერსიტეტში სწავლობდნენ) ისრაელში სანიმუშო ფერმას ამუშავებდა. პრემიერ-მინისტრი ბენ ჰურიონი, ვადის დასრულების შემდეგ დასახლდა კიბუცში, რათა პირადი მაგალითით ერთობისა და პატრიოტიზმის მნიშვნელობა გამოეხატა. ისრაელის სოფლის მეურნეობის პროდუქციის 92% სურსათით თვითონვე იკმაყოფილებდნენ.

გაეროს მიერ აღიარებულ საქართველოს საზღვრებში „მებაღეთა ამხანაგობის“ ფორმატს ჩვენ არ ვიყენებთ. ჩვენ ცვდილობთ შევქმნათ დამატებითი სამუშაო ადგილები და არაქართულენოვან რეგიონებში მოსახლეობას გაუადვილოთ სახელმწიფო ენის შესწავლა.

ქალაქელების მემკვიდრეობით და უმტკივნეულოდ „მებაღეთა ამხანაგობის“ – არატრადიციულ სოფლებში დაამკვიდრებაში, ერის სულიერმა მესაჭემ ილია II დაინახა „XXI საუკუნის სოფელი“ და ერთ-ერთი საკვირო ქალაქებაში აღნიშნა: დღეს ჩვენ გვაქვს საშუალება გამოვიდეთ მძიმე მდგომარეობიდან. მრავალმა იპოვა გამოსავალი და სოფელში მიდის. აი თბილისთან ახლოს არის ერთი პატარა სოფელი ბროწეული. სულ ახლახან დაარსა კინოსტუდია, პირუტყვი მიაშენეს და ფაქტობრივად ამ გზით გადაარჩინეს ოჯახები. როცა დახმარებას ველოდებით უცხოეთიდან ან რომელიმე კერძო პირისაგან, ეს ცუდია. მოლოდინი რყენის ხაღხს. ადამიანმა უნდა გამოძენოს საშუალება იმისა, რომ თავი ირჩინოს. ბუნებრივად ადამიანი, რომელიც თავისი შრომით ჭამს ლუკმა-პურს.

ენტუზიაზმით შექმნილ დასახლებაში მოსახლეობას გაუადვილდება აგრარული რეფორმების განხორციელება.

შემოდგომით „კინოსოფელი ბროწეული“ ვატარებთ დათვალიერება-ზეიმს „ბროწეული“ რომელზეც წარმატებულ მეურნეებს გადაეცემა მადლიერების სიგელებს. ბროწეულას მთავარი ქუნა „ქართული ფილმის“ სახელობისაა. მას უერთდებიან თენგიზ აბულაძის, რეზო ჩხეიძის, შოთა მანაგაძის, გენო ხოჯავას, ნანა მჭედლიძის, მხატვრების რეზო და თენგიზ მირზაშვილების; მსახიობების დოდო ჭიჭინაძის, ეროსი მანჯგალაძის, იპოლიტე ხეინიას და სხვა ხელოვანთა სახელობის ქუნები, რომლებმაც გაშენებული ბაღებით ამ ტერიტორიას თავიანთი კვალი დაამჩნიეს.

2017 წლის 7 ოქტომბერს ჩატარდა ოცდამეორე „ბროწეული“ თემით: „საბუღარელი ჭაბუკი“ უბრუნდება სოფელს. ხიდს რომელიც მდინარე ლოჭინხეა გადაებული დავარკვეთ „იმედას“ (იმედა კახიანის) ხიდი, გზას კი, რომელიც უკავშირდება ამ ხიდს, დაერქვა კინოსცენარისტი გიორგი (ქორეკა) მდივინის ქუნა. 2018 წლის 15 მაისს ქართული კინო 110 წლითავს აღნიშნავს და ამ ასაკის წლოვანება გვაგაღებულებს „კინოსოფელი ბროწეული“ ჩაერთოს სახელმწიფო აგრარული პოლიტიკის განხორციელებაში. ინტერნეტისა და მობილური ტელეფონების ეპოქაში, სოფლის აღორძინებისათვის, ჩვენ განწყობას ვიქმნით საზოგადოებას ნებაყოფლობით და ღირსებით დაუბრუნდნენ მიწათმოქმედების ცოდნის საწესებს.

როცა აკვირდები გაზაფხულზე მიწიდან როგორ ამოდის ნერგი, ჩნდება ცხოვრება – გრძნობ რომ ეს არის და იქნება ზნეობრივი საწესის მატარებელი საზოგადოებაში.

ჩვენ გვინდა ვიყოთ ევროპელები, ჩვენი ცხოვრების დონით და წარმოების კულტურით, სადაც არცერთი მტკაველი საგარეულიც კი არ იქნას დაუმუშავებელი. ჩვენი სულით, წეს-ჩვეულებით უნდა დავრჩეთ ქართველნი, მიწათმოქმედი და გვინდა განუმეორებელი სახით წარვდგეთ მსოფლიოს წინაშე.

ბიჭო ყურელი, კინოდოკუმენტალისტი



# ლავრენტი ბერია – საბჭოთა კავშირის ცილდაწამებული ბერი



(გაგრძელება წინა ნომრიდან)

მათი მეშვეობით, როგორც სარკივო დოკუმენტები მეტყველებდნენ, გარდა სადაზვერვო-დივერსიული მოქმედებებისა, მიმდინარეობდა ფაშისტ გერმანელთა რიგებში მებრძოლი ბულგარელების, უნგრელების, რუმინელების და სხვა მერყევი ელემენტების გადმოხრება. მიმდინარეობდა სადაზვერვო-დივერსიული საქმიანობის ახალი, ეფექტური გზების ძიება. მაგალითად, განსაკუთრებული რაზმის ბაზაზე შეიქმნა შემდგომში ლეგენდად ქცეული სპეცჯგუფი, რომელსაც მაიორი ა. ბორისოვი მეთაურობდა, რომელიც თითქოს საბჭოთა ჯარების ზურგში მოქმედებდა ვერმანების დავალებით.

ამ რაზმის შეამადგენლობაში შედიოდნენ საუკეთესო საბჭოთა სპორტსმენები: მოკრივეები ნიკოლოზ კოროლიოვი და სერგეი შერბაკოვი, მოციგურავე ანატოლი კაპინსკი, ძალოსანი ნიკოლაი შატოვი, ნიბოსანი ალექსანდრე დოლგუშინი, ბადროს მტყორცნელები ლეონიდ მიტროპოლსკი და ალი იასევი, ველოსიპედისტი ვიქტორ ზაიპოლი, ტანმოვარჯიშე სერგეი კულაკოვი, თავისუფალი სტილით მოჭიდავე ივორი პილნოვი, მოთხილამურე ლიუბოვ კულაკოვა, მინსკის “დინამოს” ფეხბურთელთა გუნდის სრული შემადგენლობა, მორბენალი ძმები ზნამენსკები. ბრიგადაში ასევე შედიოდნენ მხატვრები დ. ცინოვსკი და ა. ლივანოვი, კინოოპერატორი მ. დრუიანი, გაზეთ “პრავდის” სპეციალური კორესპონდენტი ა. შაროვი, სპორტული ჟურნალისტი ე. შისტერე, პოლარული ექსპედიციების რადისტები ა. ვოლოშინი და ა. შმარინოვი. მათ მთელი საბჭოთა კავშირი კარგად იცნობდა.

**და ეს საჯარისო ქვედანაყოფი უშუალოდ ემორჩილებოდა ლ.პ. ბერიას.**

ამ ქვედანაყოფის საქმიანობის შედეგები გაცილებას იწვევს! რელსებიდან გადაადგმეს ბერის 1.415 სარკინიგზო შემადგენლობა, რომელშიც იმყოფებოდნენ გერმანელი ჯარისკაცები, სამხედრო ტექნიკა, საბრძოლო მასალები. მათვე განადგურეს ხუთი ჯავშნოსანი მატარებელი, 1.232 ორთქლმავალი, 13.181 ვაგონი, პლატფორმა და ცისტერნა, 2.323 ავტომანქანა, ტვირთ-მზიდი, მოტოციკლი, დაზიანეს 100 კილომეტრამდე სარკინიგზო ხაზი, ააფეთქეს 335 სარკინიგზო და სამანქანო გზის ხიდები. მათი მიზეზით 400-მდე სხვა დივერსიული აქტი, რომლის შედეგად დაიწვა 344 სამრეწველო ობიექტი და საწყოები. ასევე, განხორციელდა 1084 სამხედრო თავდასხმა მტერზე, რის შედეგად განადგურდა 122 გარნიზონი, ჟანდარმერია, პოლიციის სამმართველო, კომუნდატურა და შტაბი. დი-

ვერსიული აქტების და ღია თავდასხმების შედეგად განადგურდა მტრის 136.130 ჯარისკაცი და ოფიცერი. მოხდა პიტლერელთა გამოჩენილი 87 წარმომადგენლის ლიკვიდაცია, განეიტრალებული იქნა პიტლერელთა 2045 უმაღლეს დონეზე მომზადებული აგენტი. ჩვენებს ტროფეის სახით ჩაუვარდათ ხელში 45 ზარბაზანი და ნაღმმტყორცნი, ტყვიამურქვევი, 1000-მდე შაშხანი და ავტომატი, ტანკები, თვითმავალი საბრძოლო ტექნიკა, 21 ბუქსირი, 100 მოტოციკლი და ველოსიპედი.

განსაკუთრებულ დავალებათა შემსრულებელი რაზმის 7103 წევრი დაჯილდოვდა ორდენებითა და მედლებით, 20-ზე მეტი მათგანი გახდა საბჭოთა კავშირის გმირი.

მაგრამ, ლუბიანკის მახვილი თვალი სხვა ნაკლებად ცნობილ სპორტსმენებსაც მისწვდა და ჩააყენა ისინი სამშობლოს დამცველთა რიგებში.

**“მხოლოდ მტრის ხმა თუ გაგარკვევს, საით უნდა აიღო გეზი!”**

(პატრიკ ჰენრი, ამერიკის შეერთებული შტატების საზოგადო მოღვაწე)

**მრავალი წლის განმავლობაში, ისტორიული მეცნიერება და პოლიტიკური პუბლიცისტიკა ცდილობდნენ გვერდი აეგლოთ ე.წ. “საყოფაცხოვრებო დალატის” ფაქტებისათვის, რომელშიც ჩათრეული აღმოჩნდა საბჭოთა კავშირის ბევრი ცნობილი მოქალაქე.**

**მე გადავწყვიტე დავარდვიო ეს ტრადიცია, რადგან შეუძლებელია არ დაინახო მსგავსება დიდი სამამულო ომისა და დღევანდელი “ელიტის პოლიტიკური ტრიუკებს” შორის. ამასთან, სწორედ ბერია და მისი სამსახურები მიუჩინდნენ ხოლმე საკუთარ ადგილს წარმატებებისაგან თავებრუნდებულ სპორტისა და კულტურის ზოგიერთ წარმომადგენელს.**

მეომარი სახელმწიფოს ცენტრში შინსახკომის-უშიშროების სახალხო კომისარიატის ორგანოები ავლენდნენ ხოლმე საბჭოთა რელობისათვის შეუსაბამო, საეჭვო ინტერესების მქონე სუბიექტების თავყრილობებს! ყველაზე გამოცდილი კონტრშეურავი ლავრენტი ბერიაც კი ხშირად ვერ მაღაგდა გაოცებას!

1943 წელს დააპატიმრეს და გულაგში უკრეს თავი მოსკოვის “სპარტაკის” ფეხბურთელებსა და ფუნქციონერებს, ძმებ სტაროსტინებს. მაგრამ “სინსტლიანმა რეჟიმმა” გაასამართლა ისინი არა როგორც პოლიტიკური დამნაშავეები (როგორც ამას მოგვიანებით ძმები ამტკიცებდნენ), არამედ როგორც სპეკულიანტები, რომლებიც ფულს იღებდნენ მავანთა ფრონტზე გაგზავნილსაგან განთავისუფლებისა და გერმანული პროპაგანდის წარმოებისათვის... ამგვარი გადახრები, დიდი სამამულო ომის პერიოდში, “ქალაქის ელიტური კლასის მიერ”, სამწუხაროდ, ერთეულ შემთხვევებს არ წამოადგენდნენ.

1942 წელს დააპატიმრეს ოთხი ძმა სტაროსტინები: ნიკოლოზი, ალექსანდრე, ანდრეი და პეტრე. მოგვიანებით ისინი ამტკიცებდნენ, რომ მათი საქმე ხელოვნურად შეთითხნილი გახლდათ და ფაქტიურად წარმოადგენდა ლავრენტი ბერიას შურისძიებას მოსკოვის “სპარტაკის” გამარჯვებისათვის მოსკოვის “დინამოსთან”, რომელსაც გულშემატკივრობდა ლავრენტი პავლეს ძე.

თუმცა წიგნში “ლიუბიანკა. სტალინი და შინსახკომი-უშიშროების სახალხო კომისარიატი, “სმერში”, 1939-1946 წლის მარტი. დოკუმენტები”, მოყვანილია ძმებ სტაროსტინების დაპატიმრების უფრო პროზაული მიზეზები.

**ლავრენტი პავლეს ძე ბერიას სპეცშეტყობინება იბ. სტალინს საბჭოთა სპორტსმენებს შორის პროფაშისტური განწყობის გაძლიერების თაობაზე:**

19 მარტი 1942 წელი, სრულიად საიდუმლოდ, №444/ბ, სკკპ(ბ) ცკკას ამხანაგ სტალინს:

მოსკოვის მისადგომებთან მტერთან გამართული სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლების დროს ნიკოლოზ და ანდრეი სტაროსტინები, ესაუბრებოდნენ რა თავიანთ თანამოაზრეებს საბჭოთა კავშირის მიერ ომის გარდაუვალად წაგების თაობაზე, ემზადებოდნენ მოსკოვში დასარჩენად, რათა გერმანელების მიერ ქალაქის აღების შემთხვევაში დაეკავებინათ მღალი თანამდებობები “რუსული სპორტის სფეროში”.

სტაროსტინების ამგვარი პოლიტიკური განწყობა დასტურდება და ხასიათდება მათი შემდეგი გამონათქვამებით.

თავის ახლობლებთან საუბარში, ერთხელ, ანდრეი სტაროსტინმა განაცხადა: “გერმანელები აიღებენ მოსკოვს, ლენინგრადს. ამ ცენტრების გერმანელების მიერ დაკავება ნიშნავს ბოლშევიზმის აღსასრულს, საბჭოთა ხელისუფლების ლიკვიდაციას და ახალი წესრიგის დამყარებას... ბოლშევიკური იდეა, რომელიც მე თავში ჩამიდეს 1929 წელს, უკვე მთლიანად ამოვივარდა თავიდან და მისგან ნაბამალიც კი არ დამრჩა”.

ნ. სტაროსტინი: “დღეს გერმანელთა შეტევის მე-11 დღეა, ერთ კვირაში ისინი უკვე აქ იქნებიან. ჩვენ უნდა ვიქაროთ ბინის საკითხის გადაწყვეტა და ხვალისათვის ყველაფერი გავაფორმოთ”.

“თუ ბინებს ავიღებთ, მხოლოდ ებრაელებისაგან, რადგან ისინი აქ აღარასოდეს აღარ დაბრუნდებიან”.

ცოლი: “...გალიცინო მდებარეობს მოსკოვიდან 10 კილომეტრში, ლიალქკა (სტაროსტინის ქალიშვილი) მიდის გერმანული ენის შესასწავლად, მეც უნდა ვისწავლო, თორემ გერმანელები რომ შემოვლენ, მათთან საუბარს ვერ შევძლებ...”

სტაროსტინი: “ჰო, საინტერესო ცხოვრება მოდის”.

ცოლი: “საინტერესო იყო 1917 წელს”. სტაროსტინი: “მაშინ, რა იყო საინტერესო 1917 წელს, ვიბრძოდით სიცოცხლისათვის, ახლა კი მას ანადგურებენ”

ცოლი: “ცარიზმის დამხობა”.

სტაროსტინი: “ახლა კი მიმდინარეობს კომუნიზმის დამხობის პროცესი”.

ცოლი: “ნეტა მალე მორჩებოდეს...”.

ემზადებოდნენ რა გერმანულ საოკუპაციო რეჟიმთან სათანამშრომლოდ და თავი მოუყარა რა თავის გარშემო კლასობრივად გაუცხოებულ ელემენტებს, სტაროსტინმა ხელი მიჰყო მატერიალური ფასეულობების (ვალუტა, ოქრო) და კვების პროდუქტების მარაგის დავროვებას.

ჩვენს მიერ დადგენილია, რომ სტაროსტინები კავშირში არიან სოციალისტური საკუთრების დამტაცებელ განშტოებულ ჯგუფთან, რომლებიც მოქმედებენ სამრეწველო კოოპერაციისა და სპორტსახოგადოება “სპარტაკის” საწარმოებში.

ამ ჯგუფის მტაცებლურ მოღვაწეობას უადრესად ფართო გაქანება მიეცა დიდი სამამულო ომის პერიოდში. დღეისათვის დაპატიმრებულია ამ ჯგუფის 15 წევრი. მათი დაკითხვებით ირკვევა, რომ ნიკოლოზ სტაროსტინი ერთ-ერთი დანაშაულებრივი ჯგუფის თავკაცია.

იყენებს რა თავის კავშირებს მსხვილი საბჭოთა და სამეურნეო დარგის ზოგიერთ ხელმძღვანელ მუშაკთან, ნიკოლოზ სტაროსტინი იღებს დიდი როდენობით ქრთამს, არაკანონიერად აძლევს ჯავშანს იმ ადამიანებს, რომელთაც სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევა ეკუთვნით და მოსკოვში უხერხებს ჩაწერას კლასობრივად უცხო და კრიმინალურ ელემენტებს.

სსრკ შინსახკომს აუცილებლად მიანიია ნიკოლაი და ანდრეი სტაროსტინების დაპატიმრება.

(პირველ გვერდზე წაწერილია ასეთი შინაარსის რეზოლუცია: “სპეკულაციისა

და სოციალისტური სამრეწველო კოოპერაციის საკუთრების დატაცებისათვის დაპატიმრების ნებას გაძლევთ. ი. სტალინი”).

გამოძიების მსვლელობისას, რომელიც თითქმის ერთი წელიწადი გრძელდებოდა, ასეთი წერილმანებიც გამოაშკარავდა. დატაცებამ და თადლითურმა ოპერაციებმა ნიკოლაი სტაროსტინს 28 ათასი მანეთის მოგება მოუტანა, ალექსანდრეს – 12 ათასი მანეთის, ანდრეისა და პეტრეს კი 6-6 ათასი მანეთის მოგება. მაგრამ ძმებ სტაროსტინებს ყველაზე დიდი მოგება მოუტანა არა თადლითურმა ოპერაციებმა და სახელმწიფო თუ კოოპერაციული ქონების დატაცებამ, არამედ მოსკოვის შექმნილი ოჯახის შვილების დიდ სამამულო ომში გაწვევისაგან დახსნამ. მათ საქმეში შემდეგი ჩანაწერი არსებობს:

“ამოდრავებდა და მტაცებლური უინი, დიდი სამამულო ომის მძიმე წლებში, სტაროსტინი დანაშაულებრივ კავშირში შევიდა მოსკოვის ბაუშანის რაიონის სამხედრო კომისარ კუტარევისკისთან (უკვე გასამართლებულია), და ქრთამის ფასად, რომელიც სტაროსტინს ეძლეოდა მავარი სასმელებისა და კვების პროდუქტების სახით, ეს უკანასკნელი ახერხებდა სამხედრო სამსახურში გაწვევა და მობილიზაცია აერიდებინა სრულფასოვანი ადამიანებისათვის, რომლებიც დაკავებული იყვნენ არა მხოლოდ სპორტსახოგადოება “სპარტაკში”. იმ ადამიანებს შორის, რომელთაც დიდი სამამულო ომის მძიმე ვამს თავის არიდეს სამხედრო სამსახურს, არიან “მოსპლოდოროშტორგის”, რძის კომბინატის მღალაბათა ქსელის ხელმძღვანელები, მათი მოადგილეები და სხვები. მითითებული პირების ჯვარში სამსახურიდან დახსნის საფასურად სტაროსტინი მათგან იღებდა განუსაზღვრელი რაოდენობის კვების პროდუქტებს – კერძოდ, მხოლოდ მაღახის დირექტორ ზეზუდკინისიგან სტაროსტინმა ქრთამის სახით მიიღო 60 კილოგრამი კარაქი და 50 კილოგრამი ძხვეყული”.

1942 წლის 4 აპრილს ბერიამ დღიურში ჩაწერა:

**“სტაროსტინამდეც მივიწვდა ხელი და იგი დავაპატიმრეთ. ბურთის კარგად ავორავედნენ, მაგრამ როგორც ადამიანებმა, წმინდა წელის ნაგებობად წარმოაჩინეს თავი. ინტელიგენტებად მოჰქონდათ თავი. არა და, სამშობლომ მათ მისცა ყველაფერი, რისი საშუალებაც ჰქონდა. რამდენი სახელგანთი სპორტსმენი იცავს დღეს სამშობლოს ფრონტის ხაზზე, ესენი კი სპეკულანტებად და სამშობლოს არამზადა გამყიდველ-მოლაღატეებად მოგვევლინენ. გამოწერილია მათთვის შუბლში ტყვია, მაგრამ რატომ? კობამ თქვა, რომ ეს ნაგავი მოსკოვიდან შორს უნდა მოვიხროლოთ და იქ იყოლონ. ინტელიგენტებს ნეხვის გარეშე არსებობა ხომ ვერ წარმოუდგენიათ.**

ომი დაწყებულები კი არ იყო, რომ “მოსკოვის ინტელიგენცია” უკვე მზად იყო “ბატონი-არიელების” დასახვედრად, რისთვისაც სასწრაფო წესით უკვეთავდნენ ცნობილ მეურავებს ახალ კაბებსა და კოსტიუმებს. აბა როგორ! ვეროპას ხომ “ვეროპულად უნდა დახვედრა”. სხვები კი ახალ კომერციულ გემებს ადგენდნენ ახალ ხელისუფლებასთან თანამშრომლობისათვის”. – იგონებდა სამჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, ბალეტინა მაია პლისცეკაია თავის ერთ-ერთ ფართოდ გახმაურებულ ინტერვიუში, რომელიც მას ჟურნალისტმა ა. კარაულევამ ჩამოართვა.

**თარგმანი როლანდ ჯალაღანიასი, (გაგრძელება იქნება)**



# ე.ნ. პაპრიოპოვის გასაგონად

პოეზიის კუთხე

პარალელური

აქილევსის ძუსლი

აწუხებს წყლული საქართველოს — დაჭრილ აქილევსს, მაგრამ მედვა წარგვტაცეს და ვინ უაქიმებს?

„გვსმას გზობლისა“

ჩვენი ცხოვრება დღეს იმფერია, გრანტიჭამია ფეხს ულოკავს იმ იმპერიას,

ვისი ცხოვრება დოლარის ან რუბლის ფერია!

არადა, არა, გადამჩენი არ არსებობს სხვა,

ვინ გაიდება ხელს, ვინ ამოწვდის ხმაღს, თუ დავივიწყებთ ილიას და ლელთ ღუნიას ხმას?!

ამაგზი მზარ-მოყვარისა

ჩინს რაც ერთ ქვაზე წერია, დაივიწყებული ძველია, თან დრო-ჟამისგან მოსვრილი; უკვე მრავალი წელია, ხავსმოდებული წვერი აქვს და მტერი — „მოყვრად მოსული“- დღეს უკვე მასპინძელია!

მტკივნეული საზოგადო

ქვეყნის ჩარხი რომ დაბრუნდა უკან, ისევ მოვებნეთ მსოფლიოს რუკა, რომ მივაკვლით ჩვენთვის სანუკვარ შვილთა ნაკვალევს... დაბრუნდებიან უკლებლივ უკან, თუ ვინც წავიდა, უკვე დაკარგეთ?

დათხოვნა და მათხოვნა

როცა ქალაქში შემცირება-დათხოვნები და თავს ვერ ვაღწევთ ხელგამოწვილ მათხოვრებიდან, ვაუბრე ვეღარ ქორწინდებიან და გოგონები, აბა, როგორ გათხოვდებიან?

არაჩვეულპროზი გამოზენა

ნაყარ-ნუყარით გამოფინეს დღეს გალიები, დანამტკბით, პრემიებით, რეგალიებით; — ფაროსანები დაგვასიეს და კალიები!

ჰილარუსს რა უნდა?

„ფალავანი ფალავანსა ორჯერ დასცემს, გაუშვებსა, თუ მესამედ წააქცია“... საპნის ბუშტად გაუშვებსა: იფრინოს ძირს დაუშვებლად!

ხუმრობის ბაკვეთილი

როცა სიცილი დაკვეთილია, ხუმრობა იმის გაკვეთილია, რომ თქვან, დამკვეთი რა კეთილია!

წონაუბრო კალამბური

ფეხს ვუწყობდით რუსულ „ურას“, დღეს სხვა გვახვევს ტარაბუას, ინგლისურად, გერმანულად, თურქულად და არაბულად. შურიანთა შავი ნების თეთრი ძაფით წალამბულნი, დაე, ნუღარ ავირევიო წინაუკმო კალამბურით!

რ თ ძ ი

ცხოვრება როცა „ჭანდრაკულია“, სხვა ყველაფერი მხოლოდ ტყუილია, ახირება და ვიღაცის ზნიკი... პაიკი თუკი გადღოფლდება და თავის მეფეს გადღოფრება, მიტომ არ გვიკვირს! მინისტრობით და თავის პიართი მეფის პაიკი დღემდე კი არი, მაგრამ მოხდება წულუკიანის გადღოფლება? როცა ქვეყანას საღათით ძინავს, ენახოთ, ვინ და რას ნახავს მოგებად! თუ ახლობელმა არ შეიწირა და ცვლილებები არ მოხდა გვიან, უშველის თეას გადაროქება!

ალექსანდრე შენბელია

ულტიმატუმი? თანაც როგორი?!

ამის მოქმედს მხოლოდ ერთი რამ ამოძრავებს — რუსეთთან ურთიერთობების სამარადისო გაყინვა. ნუთუ, ვინმეს ჰგონია, რომ ამ პოლიტიკით რუსეთს დაითანხმებს? ძალიან ტუტუცი უნდა იყოს, რომ ეს ვგონოს. რუსეთმა მოისმინა ქართული წინადადებები და გააკრძალა თავისი საქმე, ისე, რომ წარბიც არ შეუხრა. ჩვენც ასევე — დავივიწყეთ რა მარტივი ჭეშმარიტება — დროის გაყვანა ჩვენთვის მომაკვდინებელია. ტერიტორიები ჩვენ გვაქვს დაკარგული და არა მას. იმ ტერიტორიებზე მცხოვრებნი ვეუბიან (შეგუენ) უჩვენოდ ცხოვრებას და რაც უფრო მეტი დრო გავა, უფრო დაავიწყდებით. თუ რამე გაახსენდებათ — ჩვენი ავრეცხია იქნება.

აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ახალი თაობა საქართველოს სიძულვილში იზრდება. ამას კი ადგილი არ ექნებოდა, რომ დროულად გამოვფხიზლებულიყავით, არ აველოდით დასავლელი „პარტნიორების“, ხალხის მტერი „ნაცმოძრაობის“ მოწოდებებს და დიდი დავაგვეყო მოსკოვთან, სოხუმთან, ცხინვალთან — ყოველგარი ულტიმატუმების გარეშე, ვინაიდან საულტიმატუმოც ნაკლები გვაქვს.

„ოცნებას“, რომ 2012 წელს გააღვივებული დაიბრუნა — რუსეთთან ურთიერთობების დალაგება, ხელისუფლებაში მოსვლისთანავე დაიწყო, 5 წლის განმავლობაში რაღაცას მივადევდით. არ დაიწყო მხოლოდ იმიტომ, რომ ანგარიში გაუწია დასავლელ „პარტნიორებს“, შინაურ ოპოზიციას. და როდესაც დაინახა, რომ რუსეთის გარეშე, მარტო „საერთაშორისო საზოგადოების“ მხარდაჭერით, გარდაცვლილი ტატუნაშვილის ცხედარიც ვერ დაიბრუნა, ისევ კრემლს მიმართა.

პრემიერ-მინისტრ კვირიკაშვილის წერილი რუსეთის ხელისუფლებასადმი, უდავოდ მნიშვნელოვანი რამ არის და შესაბამის რეაქციასაც გამოიწვევს. იყო კიდევაც — მოზომილი და მომავლისადმი იმედით გამსჭვალული.

ის, ვინც კითხვა იცის და „ინტრიგანი“ არ არის, უმაღლ ამოიკითხავს კვირიკაშვილისა და რუსული მხარის მიწერ-მოწერაში დადებითს, მნიშვნელოვანს, მაგრამ ჩვენი საზოგადოება ხომ გიგაურებით არის საგუ — ვითომ პარტიოტებით, სინამდვილეში ქვეყნისთვის ავის მსურველებით, რომლებიც კვირიკაშვილსაც უწუნებენ წერილში ნაღებულ აზრებს და რუსეთსაც. პირველი თურმე ცდება, რუსეთს უჩივებს, ხოლო მეორე — ამაყად, ზემოდან დაგვეცქერის და სასიკეთოს არაფერს გვპირდება.

კვირიკაშვილი სხვა ქვეყნის, უფრო დალაგებულის და მოაზროვნე საზოგადოებისგან შემდგარის პრემიერ-მინისტრი რომ ყოფილიყო, მისი მიმართვა არავის გაუკვირდებოდა, მაგრამ კვირიკაშვილი გონებაარეული საქართველოს პრემიერია და მისი ნაბიჯიც სარისკოა, თუმცა უკეთესობისკენ მიმართული.

ნათქვამია — „ვინც არ რისკავს, შამპანურსაც არ სვამსო“. უნდა ვიმედოვნოთ, რომ მის წერილს სხვაც მოჰყვება, იმ სხვას კი კონკრეტულ საკითხებზე მსჯელობა და ბოლოს — შეხვედრა, რისი სურვილიც რახანია გამოთქვა რუსეთის პრეზიდენტმა პუტინმა. მაშინ ქართულმა მხარემ უპასუხა, რომ საკითხს დასავლელ პარტნიორებთან შეათანხმებდა.

საკმაო დრო გავიდა მას შემდეგ და ბოლოს პასუხმაც თავი იჩინა. როგორც ჩანს, შეთანხმება შედგა, რაც თვალნათლივ აისახა ნატოს გენერალური მდივნის სტოლტენბერგის განცხადებაშიც: „ჩვენზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს ის ფაქტი, რომ საქართველოს შეუძლია რუსეთთან დიალოგში ჩართვა, აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებული საკითხების მოსაგვარებლად“.

ე.წ. პარტიოტებო, დამშვიდდით და დაელოდეთ მოვლენებს. კვირიკაშვილს, ამ შემთხვევაში ქვეყნისთვის საზიანო ნაბიჯი არ გადაუდგამს. პირიქით, მისი წერილი 1990 წლიდან ჩარახული სახელმწიფო კარის გახსნის მაუწყებელია, რაც შექებას იმსახურებს და არა ვლანდვას.

კამელბ ჰიპაზშილი, პოლიტოლოგი

არ მითხრათ, გიგაური სამშობლოს უფრო მადლა აყენებს, ვიდრე თუნდაც ათ დოლარს. მისთვის და მისნაირი „პარტიოტებისთვის“ საქართველო მეწველი ძროხაა. საქართველოს „საკეთილდღეოდ“ უფოფენ არასამთავრობო ორგანიზაციებს მსუყე თანხებს დასავლელები. მიზანი — შიშველი, ანტირუსული პროპაგანდა — საქართველოს „საკეთილდღეოდ“.

ერთი ასეთი, ახლახანს მოვიხსინეთ, როდესაც ეკა გიგაურმა უსირცხვილოდ, შეუთოვრად განაცხადა — რა გვაქვს რუსეთთან საბოლიშო; ომი ჩვენ დავიწყეთ თუ ხალხი დავეუროცეთ; ტერიტორიები წავართვით თუ სხვა მხრივ შევაფიროვით.

დაახლოებით ამის მსგავსი იყო ეთერში გადმოღვრილი გიგაურის „პარტიოტიზმი“. რამდენი ასეთი გიგაური გვიბურღავს ტვინს ყოველდღიურად? რამდენი ასეთი გვარწმუნებს, რომ ქართველები ყველაფერში მართლები ვართ რუსებთან და რახან ასეა, ჯიქურ უნდა მივეკრათ და „საერთაშორისო საზოგადოებასთან“ ერთად ვაიძულოთ დათმობაზე წამოსვლა, ყოველგარი მოლაპარაკების, აზრთა გაზიარების, შეჯერების გარეშე.

ჰქვია თუ არა ამას ულტიმატუმი? ვგონებ, კითხვა უადგილოა. თვალი ცდავავლოთ განვლილ პოლიტიკურ ცხოვრებას, განსაკუთრებით რუსეთთან ურთიერთობის განხრით, რომელიც ქართული ულტიმატუმების ფრიალის ნათელი მაგალითია. მიკვირს, ამის შემყურე ბირთვული სუპერსახელმწიფო როგორ იტანს ამდენ შეურაცხყოფას, ვინცებს, ბოლწინტყვობას პატარა, უსუსური ქვეყნის მხრიდან. როგორც ჩანს თავს არ გვიყადრებს და ალბათ ასეც გაგრძელდებოდა, სააკაშვილს რომ არ გადაემლაშებინა, რუსეთის მშვიდობისმყოფელები არ ჩახეცოცა და მინარე ცხინვალი ცეცხლის ალში არ გაეხვია.

აი, გორს რომ დასხმოდა თავს რუსეთი ანუ პირველებს რომ გაეხსნა ცეცხლი გორის მიმართულებით, მაშინ ჩათვლიდა ვეროკავშირის სპეცკომისია რუსეთს ავტოსორად. კომისიამ საწინააღმდეგოდ მიიჩნია, რაც კარგად იცის გიგაურმა და სხვა „პარტიოტებმა“, მაგრამ მსმენელს აბრეყებენ. და აბრეყებენ იმიტომ, რომ ფულს იღებენ გაბრეყებაში. არის ამ პროცესში „პარტიოტიზმი“?

არამცადადარამც. აქ, ფულის მოხვეჭის „პარტიოტიზმი“ და კიდევ იმის მცდელობა, რომ საქართველო დიდხანს იყოს რუსეთთან დაპირისპირებაში, ვინაიდან დაპირისპირების ხელშეწყობა დასავლეთს აწყობს ასეთი ვითარება და რახან აწყობს, ფულსაც გადაუხდის ამ „კეთილშობილურ“ საქმეში გიგაურსა და მის მსგავს „პარტიოტებს“.

მაინც რამდენი არიან! ყველა ტელეკომპანიის ეკრანი აქვთ დაპყრობილი. მათთვის საქართველო ფულის მოხვეჭის არენაა და არა სამშობლო, რომელიც ამგვარი პოლიტიკით სულ უფრო იძირება ჭაობში, საიდანაც ამოსვლა შეუძლებელი იქნება.

სამწუხაროდ, ულტიმატუმები ხელისუფლების მხრიდანაც ისმოდა და ისმის. დაახლოებით ასეთი — „არის წითელი ხაზები, რომელსაც ჩვენ ვერ გადავლახავთ. ანუ ვიქნებით იმ დონეზე, რაც გვაქვს — ბორჯომის, მწვანის, ღვინის დონეზე. არის კიდევ სხვა წერილობითი, მაგრამ არ არის მთავარი — პოლიტიკური დიალოგი. არადა, რომ ყოფილიყო, უდავოდ წაადგებოდა ეკონომიკურად გამყარდებულ ქვეყანას. უბრალო ჭეშმარიტებაა, კონსტრუქციული პოლიტიკურ-დიპლომატიური დიალოგი ზუას უსხნის შეთანხმებას, შეთანხმება კი — მეტ ინვესტიციას და ა.შ.

ჩვენი მხარე დაუინებით ამბობს, რომ რუსეთთან მოსალაპარაკებლად მაგიდას არ მიუჯდება, თუ წინასწარ არ იტყვის რუსეთი, რომ უკან წაიღებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებას; არ გაიყვანს სამხედრო ბაზებს სამხრეთ ოსეთიდან და აფხაზეთიდან; არ გააუქმებს იქ გახსნილ რუსეთის საელჩოებს და სხვა.

გახსოვთ ალბათ, „კედემამოსილი“ საერთაშორისო საქმიანობის ფანჯიკიძის ოფიციალური განცხადებები, თუმცა არც სხვები აკლებდნენ და აკლებენ ხელს. რა შეიძლება ვუწოდოთ ამას, თუ არა

დიპლომატიის „მაიმებად“ წოდებულთა ერთ-ერთი საყურადღებო მოწოდება იყო და არის ასეთი — მოლაპარაკების დროს შეთანხმების მიღწევა მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როდესაც ერთი იზიარებს მეორის პოზიციას, ანუ უფრო ზუსტად, ოპონენტის ადგილას წარმოიდგენს თავს. მოლაპარაკება თავიდანვე უშედეგობისთვის არის განწირული, თუ ის ულტიმატუმებით და ერთმანეთის აუგად მოხსენიებით იწყება.

ეს მარტივი, მაგრამ უდავოდ გასაზიარებელი ჭეშმარიტება რახანია მიუღებელია ქართული მხარეთვის, მაშინ, როდესაც საქმე რუსეთთან ურთიერთობას, განსაკუთრებით მოლაპარაკების გამართვას ეხება. ქართული მხარე, გამსახურდიას ხელისუფლებიდან დაწყებული, ყოველთვის შორს იყო საკუთარი თავის რუსეთის ადგილას წარმოსადგენად, ხოლო რაც შეეხება ულტიმატუმებს — უხვად იყო და არის.

დამოუკიდებლობის „მოპოვებიდან“ თითქმის 30 წლის განმავლობაში ისე ვიქცევით, თითქოს საქართველო, რუსეთი ან აშშ-ი იყო, ისინი კი — პატარა, სუსტი ქვეყნები ანუ საქართველო.

პოლიტიკაში, განსაკუთრებით დიპლომატიურ სამხარეულოში ჩახედულთათვის საქართველოს პოზიცია გასაკვირი არ არის და მას საერთაშორისო სარბიელზე თამაშის წესების არცოდნას მიაწერს, რაც უდავო ჭეშმარიტებაა. მაგრამ ისიც ჭეშმარიტებაა, რომ ამ არცთუ მცირე დროის განმავლობაში ჩვენი მხრიდან პროგრესი, სწავლის თვალსაზრისით, არ შეინიშნება.

ჩვენ, ისეთივე საღ კლდეხავით ვართ, როგორებიც ვიყავით გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში. ისეთივე ენთუზიაზმით ვლანდავთ რუსეთს, როგორც მაშინ; ისეთივე შეურაცხყოფელ სიტყვებს ვიყვებთ მის „შესამოკლად“, როგორც მაშინ. ისეთივე ულტიმატუმებს მივმართავთ, როგორც სოხუმის დაცემის დროს და ერთი წუთითაც არ ვფიქრობთ, რომ ამ სიბრძნევებს, ვაიპატრონობას მოაქვს ის, რასაც ცხინვალი ჰქვია.

ამას წინათ, ერთი ასეთი „პარტიოტი“, ლამის წივილ-კივილით, უმტკიცებდა ტელემეყურებელს, რომ მხოლოდ „მტკიცე“ პოზიციის გამოვლინებით შევძლებთ ტერიტორიების დაბრუნებას და რუსეთის „დანიშორებას“, ცხადია საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერით. „ჩვენ დასაკარგი უკვე დაკარგეთ, ახლა შეტევაზე უნდა გადავიდეთ დაკარგულის დასაბრუნებლადო“, — ჩაგვძახოდა „პარტიოტი“.

დასაკარგზე ნუ ვიტყვით, ვინაიდან საქმე-საქმეზე რომ მიდგეს, იმდენი გვაქვს, გაფიქრებაც არასასიამოვნო ურუანტელს იწვევს. ჩამოვთვალო?

აჭარიდან დავიწყეთ, სადაც მეზობელი და ზოგ-ზოგებისთვის „მეგობარი“ თურქეთი ისე დაიარება ამ ძირ-ძველ ქართულ მიწაზე, როგორც ბატონ-პატრონი. ახლა სომხებითა და აზერბაიჯანელებით დასახლებული ქართული რეგიონები გავიხსენოთ, სადაც პატარა „დაციონალური“ ნაპერწკალიც იკმარებს, დაახლოებით ისეთი, გამსახურდიას მმართველობის დასაწყისში რომ იყო და დასაკარგიც გამოჩნდება. თუ ვინ იქნება ბუნტის იატაკქვეშა ინსპირატორი, თვითონ გამოიციანთ.

ვინ დაგვიდგება გვერდში? — ის აბსტრაქტული „საერთაშორისო საზოგადოება“, რომელიც ვერადავურ გვიწვდის ნამდვილი დახმარების ხელს?! ნეტავ, როგორ წარმოუდგენიათ ფსევდოპატრიოტებს, საქართველოში მცხოვრები მეზობელი ერების შვილების მიერ ავორებულ დავიდარებაში „საერთაშორისო საზოგადოების“, ე.წ. პარტიოტი ქვეყნების ჩართვა?

იარაღს შეისხამენ და აქ ჩამოვლენ საბრძოლველად?! — 2008 წლის მწარე გამოცდილებამ ხომ გვაჩვენა, რისი გამკეთებლებიც არიან?

დაის! გვაჩვენა, მაგრამ ამ „პარტიოტთაგან“ არავის უნდა სინამდვილის დანახვა. ერთ-ერთი „პარტიოტთაგანი“ გახლავთ ქალბატონი გიგაური, რომელიც ისე გალიზიანებული დიპლომატიის რუსეთის ხელისუფლებისადმი პრემიერ-მინისტრ კვირიკაშვილის მიმართვაზე, თითქოს კვირიკაშვილს, გიგაურის, მილონი დოლარი მართებდეს.



# მერაბ კოსტავას პოეზია

“ღმერთი სიყვარულია” (კათოლიკე ეპისკოპოსი I იოანესი, 4,8) (6, 320).

ოკეანის მუქარის “სასტიკი ღმერთები” ამლაგამევი მხოლოდ სულია, სული ღვთისგან ნაბოძები, რადგან ადამიანი შექმნილია სახედ და ხატად ღვთისა.

ხორციელ ადამიანში აბობოქრებული ცოდვის ოკეანეს მხოლოდ ღვთაებრივი საწყისიდან ჩანერგილი სული ამარცხებს.

და სული უნდა იქცეს ამ სტიქიის მმართველ ძალად, სათავედ: “მაშ იხვე შენ უნდა ამომდო ლაგამი, სასტიკი ღმერთები, ვითარცა ნაგავი, საკუთარ ბუნების ფესვიდან აღგავო. ბუნება შენი არის ოკეანე, სული შენი კი არის საღავე”. პოეტი ენდობა მხოლოდ “ვადამსხვრევ ანძებს”.

ღვთისმეტყველებაში აფრა, ანპა, იალქანი, ღუზა არის სულის სიმბოლო (გრიგოლ ღვთისმეტყველი, სწავლანი, ევგრემ მცირეს თარგმანი) (10, 82)

ადამიანი ზეცის ნერგია, ედემის ბაღის ბინადარი, მაგრამ იქიდან ცოდვის, აკრძალული ცნობადის ხის ნაყოფის მიღების გამო განდევნილი, მაგრამ ადამის და ევას შვილმა სეთმა წმინდა ცხოვრებით ისევ მიიღო სამოთხეში შესვლის უფლება, რათა დაებრუნებინა გრაალი და დაეარსებინა სულიერი ცენტრი, დაეარსებინა სამოთხის ხატი და შემკველი (11,4).

მერაბ კოსტავა თავისი ლექსის პერსონაჟს შეახსენებს ადამის მაგალითს, თავის ვალს – მოსთხაროს ეკალ-ბარდები და ახაროს ვარდი (ასეთ შემთხვევაში გალაკტიონი ამბობს: “ყვავილთ შე-მოშენებო”); ნერგს ზეცით გადმორგულს ნუ დააზიანებთ, ცად მობრუნებულა განსოვდეს ადამი, ვალის მიტევებას ნუ დაავიანებთ, ვარდი დარგე და მოსთხარე ეკალი”.

ვარდი საღვთო და საღვთისმშობლო სახელოა.

ეკალი ურწმუნო სულის მახასიათებელია. “როგორც დაუშუშავებელი მიწა უხეშდება და იფარება ბუნქარებით, ასევე საღმრთო სწავლებას მოკლებულ სულშიც აღმოცენდება ეკალი და მანკიერი სურვილები” (12, 25).

ადამიანის ცდომილებას მოსდევს “ეკლებისა და კურასთაგების აღმოცენება (13, 357).

ამ შეგონების გაუთვალისწინებლობისას სრულდება სულის დაწვლულება: “თორემ მოვისტები ყოვლის წამლუკავი, თორემ არ დაცხრება ჩემი მიგრნარება. ზაოქით გადავრცხავ ზურგს დედამიწისა, მცირე ნაკოდარებს ვიქცევ იარებად”.

ცოდვილი ადამიანი გადაგვარებული, მანვე, უნაყოფო თესლია, მატილი, მას ვერ იხსნის “ანმახ-ცთამბრჯენები”, მისგან მხოლოდ მტვერი დარჩება, ფსკერზე აღმონდება: “ქიძს შენახეთქები მტვერად გარდაიქმნები, საკუთარ ღმერთად ფსკერზე დაინთქმები, ოდეს გადავიარს ტალღათა გრეხილით” (ეტიუილი).

ადამიანის სული აბობოქრებული ოკეანეა, ყოვლისწამლუკავი სტიქიაა, რომელსაც სჭირდება ჯვებით: “შენ ხარ ოკეანე, აბობოქრებული, ამასთანავე შენ ხარ ჯვებით, შლეგი ტალღების შემკვეტი რვალის კლიტულში”.

სული არის როგორც დიონისოს (ქვეცნობიერის, ქაოტურის, დეამონის), ისე აპოლონის (ღვთაებრივი პარმონის) სავანე: “შენში ღრეობდა დიონისო და აწ აპოლონი უკრავს შენში ღვთაებრივ პანგებს” (პაემანი) (1, 121).

“პაემანი” ეძღვნება ზვიად გამსახურდიას, რომელიც წერს, რომ ამ ლექსში მერაბმა “საოცრად იწინასწარმეტყველა ის, რომ იგი ჩემზე ადრე დასტოვებდა ამ წუთისოფელს და მე მის აკლდამასთან, თალხით მოსილი, დავლოდებოდი მეგობრის ანრიდის. აკი ამისდა ყოველივე!” (15)

სულით მეკვრებით აღდგომის საწინდარია “სინანულის ზღვა”, ცოდვათა მოკვდინება: “...ნამს სინანულის ზღვაში ჩაყვინთო, მოკვდი და მეკვრებით აღდექ (სული დაიცა) (1, 40).

გველის და ცოფის სახეში სიმბოლიზირებული აბობოქრება ემტვრება სიკეთეს, რწმენას: “გველი ღუზიდან ამოჰყრის გემებს, ზღვაში გადარეკავს ლახ-ტი”.

შარლ ბოდლერი ყოველ ადამიანში

ხედავს უარყოფის სულს, რომელიც სიმბოლიზირებულია გველის სახეში და “სავსე იმედის თასს” აცარიელებს ეს “აუტანელი გველგესლა” (მკებნარი) (14, 252).

“სიბრძნის წყაროსთან (ღმერთთან) წილნაყარს ძალუქს თავის ნებას დაუ-მორჩილოს “ოკეანეთა ვნება”, რათა სულში აშენდეს ახალი პლანეტა: “და ოდეს ვნებას ოკეანეთა, გარდაქმნი პირმშოდ შენივ ნებისა, სულში ჩადგება სულ სხვა პლანეტა, სხვა სიბრძნე სფინქსის ქარაგმებისა” (სფინქსი) (1, 7677).

ადამიანი უნდა ელტვოდეს მადლის მდინარეს, ცის წყაროს – ღმერთს. (წყარო) (1, 115).

“მკედარი ტბა” ეწოდება უგულო, ეკო-ისტ, მხოლოდ პირადულისთვის მზრუნველ არაკაცს (ბიბლიური რემინისცენციები)(1, 87-164).

პოეტის იდეალია “მხოლოდ გადარჩე-ნილი გემები, მხოლოდ გადაუმსხვრევი ანძები”(ქარვა გაუსუნდათ ალგებს), რისთვისაც საჭიროა “რწმენადა კეთილსინ-დისიერება” (პავლე მოციქული, I ტიმოთე, 2, 19) (5, 440).

კოსტავას რწმენით, ბოროტება ჯერ სულში, “ასტრალურ ზღვაში” უნდა დამარ-ცხდეს, რწმენის გზით, რათა განწმენილი ადამიანი სიკეთისთვის ირჯებოდეს, ასეთი პიროვნების იდეალი იყო ზვიად გამსახ-ურდია, რომელსაც შემდგენარად მიმარ-თავს: “დაუცხრომელო სულიერ ცლაში, დაუსაბამო სიტყვის მხმობლო, უციოდგანო ასტრალურ ზღვაში, დემონთა ხროვის დაამახობლო” (ძმას ქრისტესმეორს) (1, 11-16).

როგორც ვხედავთ მერაბ კოსტავას ლექსი ღვთიური სიყვარულისა და სათ-ნობის წყაროა ულევი” სოსო ჯაჯანიძე მერაბ კოსტავას შემოქმედება.

### ფილოსოფიური ღირისი ზოგიერთი პრობლემა – ჰადესი მერაბ კოსტავას პოეზიაში

მერაბ კოსტავამ სულის თვალთ იხილა „ათასჯერი, ათასთვალდი, უჩინარი მხლებელი, მჭკვერტელთაგან უხილველი, ქვეყნად“ სული.

სულის უკვდავების იდეა გასდევს მის პოეზიას: „ნუ გგონიათ დამაბერონ წუთისოფლის ვალებმა, ან როდისმე დავიჯერო სულის გარდაცვალება“.

პოეტის რწმენით, მიწაზეც და საიქიმშიც შეიგრძნობა „სულის სუნთქვა“: „საქიქოც, სააქიქოც სუნთქვა არის სულისა“ (გერაფერმა განაქაროს“ (1,20-21).

ასევე შესაძლებლად მიჩნეულია ხილულსა და უხილავს, სოფელსა და ზესთასოფელს შორის ხიდის გადება, ხლო ჭეშმარიტი ლექსი არის „სიკვდილის ზიარი, შავეთში გადანახვი“ (ლექსი) (1,60-61).

მერაბ კოსტავამ დანტესავით იმოგზაურა მდღეურ სამყაროში და წინასწარმეტყველური ხილვები გაგვანდო. ქართველ პოეტს უმაღლესი პოეზიის დანიშნულებად მიანდა ჰადესის ჭვრეტა, „სულეთის სიდრმის“ განცდა და ამ თვალსაზრისით გამორჩევიდა გალაკტიონ ტაბიძეს და ტერენტი გრანელს (გალაკტიონი) (1,144-162).

მიწის მკვიდრთა სიამაყე ზეცის გადასახედვადან, უმაღლესი სამართლიანობის არშინით გაზომა, სადაც სულ სხვა კრიტერიუმებით განიკითხებიან ადამიანები: „...სიამაყე, აქ რომ მბრძანებლობს, მათხვარია იმ სოფლის ბჭესთან“ (ძმას ქრისტესმეორს)(1,14-15).

„მაცდური“, შემთხვევითობის წყალობით, შეიძლება ცხოვრების საჭესთანაც აღმოჩნდეს, მაგრამ „ამგვარ სტუმარს ზეცაში არ აქვს თავშესაფარი, რომ ვერ იხილავს სანუკვარ შედგეს, ჭეშმარიტებას ვინც ვერ იშვილდებს“.

ძმის აღსარების გამცემი ზიარებამდე თუ ვერ მიიწინაებს, ვერსადღეს ეღირსება შევებას (ძმას ქრისტესმეორს).

მაღალზნობრივი ადამიანი გამუდმებით სრულყოფისკენ, ამასთან, შუთავს თავის წარმავლობაზე, ცდილობს გადაიხედოს მიღმურში, თუმცა რწმუნდება, რომ უკვდავება არაა მისი ხვედრი, მაგრამ ცნობიერების გამდიდრებას და ახალი მორალური ღირებულებების მიგნებას ასურებს.

სატრფოს ანრიდის წინამძღვრობით

სულეთის სამყაროში მოგზაურ დანტეს ამ ოდისეის მიზანი ასე დაუკონკრეტა ბეატრიქემ: „...არა იმისთვის, რომ სრულყოფა მოგახვეჭინო (ეს არ მოხდება), რათა თავად განათდე შენაც მის ათინათით და იტყოდე: „აჰა, ვარსებობ““.

ახალი შთაბეჭდილებებით გამდიდრდა ასტრალურ მოგზაურობაში დანტეს ხედავ და სული: „...გამახვილდა აქ თვალი ჩემი და შემეცნებაც მკვიდრ ნიადაგს დამყარებია“.

ახალ, სამერმისო ცნობიერებამდე ამადლება, „ხილვის გაახლება“ ჰადესში ჭვრეტის შედეგი „ღვთაებრივი კომედიის“ მიხედვით.

სიკვდილია ადამიანის ხვედრი, მაგრამ წმინდა სულს სამოთხე ელოდებათ: „აკაც სიკვდილი... უწერია, რათა სამოთხეს აქ ეწიოს, – მან ეს არ იცის, თუ რა ნეტარი გველოდება ზეცაში რთველი“.

სიკვდილის საიდუმლოებებზე ფიქრი, სიცოცხლეში სიკვდილის განცდა რწმენით ხვედრია, რათა დამარცხდეს წარმავლობა სულის გადარჩენის ფასად: „...მრავალი მწარე სიკვდილი უნდა განიცადოთ ცხოვრებაში, მქმედნო! ესე იქნებოთ მეოხენი და დამცველნი ყოვლისა წარმავლობისა“ (3,56).

სიკვდილის შიშის დამარცხების, იდუმალებაში წვდომის საშუალებაა გამუდმებული ფიქრი და გაშიანურება ამ უღმობელი მოვლენის: „რათა იარაღი აეყაროთ სიკვდილს, ჩამოვაშოროთ მას იდუმალების სასურველი, დაუკვირდეთ და თანდათან გაეუშიანურდეთ მას... უფრო ხშირად ვიფიქროთ მასზე, ვიდრე სხვა რამეზე ვფიქრობთ“ (მიშელ მონტენი, ცდები) (4,11).

ჩვენი ხანმოკლე სიხარული ყოველთვის სიკვდილის სამიზნეა და მუდამ უნდა გვახსოვდეს ეგვიპტელთა დღესასწაულები, როცა დარბაზში, ნაირნაირ ხორავთან ერთად, შემოქონდათ მუშია შეძახილით: „მემენტო მორი“, რათა სიკვდილი შეესხენებინათ მონადიმეთათვის.

„არ ვიცით, სად გვისაფრდება სიკვდილი, მაშ მოდი, ყველგან ველოლოთ მას. სიკვდილზე ფიქრი თავისუფლებაზე ფიქრს ნიშნავს, ვინც მიუწვია სიკვდილს, მონობას გადაეწვია“.

სიცოცხლის წესის შერჩევაში მთავარი მრჩეველია სიკვდილზე ფიქრი: „ვინც გვასწავლის, როგორ მოგვედეთ, იმავდროულად გვასწავლის, როგორ ვიცხოვრობთ“.

„სიკვდილზე ფიქრი ძალიან სასარგებლო რამ გახლავთ“.

გარდაუვალზე ფიქრი მთავარი სიბრძნის მიგნების საშუალებაა მერაბ კოსტავას მიხედვით: „სიკვდილზე ფიქრებს, სიბრძნის ამ დედას, თუ სანამცხოვნიოდ არ გაეცქვი, ჯანგალეული სხეულის ჭვრეტა, შემზრუნე შიშად თუ არ გექცვა, მაღალი აზრი უფსკრულთა ზედა, გარეშეშეთა და შენდა ბედად, კვლავაც აღმართავს ხელთუქმნელ სვეტად, ჭეშმარიტების შენისა ჭვრეტად, მშობლიურ ცასთან კვლავ შემართებს“ (შიშშილობა) (1,133).

მუცლის მსახური ადამიანი „დაუანგებულ ძრავას“ მიაგავს, იგი დაცვილებულია მაღალ იდეალებს, ამოების მონას დავიწყებულნი აქვს მიწის ვალი მაშინ, როცა ტანჯვა ცნობიერების ამადლება, ახალი ზნეობრივი ჭეშმარიტების მიგნებას უნდა ემსახუროს: „საგზურს მიწისას რა თავში იხლი, სიცოცხლე განა უვლო არის, ამოებით თავს რატომ ილდი. შეუპოვრობის განცდა ჯიოტი დე, ნადრეგად სიკვდილს განელოს, ოღონდ კი ტანჯვის ყოველი წუთი, ცნობიერების არეს შეეცოს“ (1,138).

სიკვდილის შიშის დაძლევის შეგვაძლებინებს იმის შეგნება, რომ იგი „ახალი სიცოცხლის დასაბამია“, სიკვდილი საყვარული წესრიგის ერთი ნაწილია, ის არის სამყაროს სიცოცხლის ნაწილი“ (4,19).

ქვესკნელის ღმერთი ჰადესია დედამიწის ერთ მესამედზე გაბატონებული და სისხლსავსე სიცოცხლეს ანრიდების სამეფოდ აქცევს.

„ჰადესი... ადამიანს ...მიწიერი სურვილების სასიამოვნო თვალსაწიერს გადაუხსნის, შედეგი კი ყოველთვის ...განადგურებაა (პერმან ვაიდელენერი, „ჰადესის ანრიდლება“)(5,151).

სიკვდილს „ბოროტებათა შორის უმცირესად“ მიიწინებს ფრენის ბეკონი, რადგან სწამს, რომ სიკვდილის შედეგად ადამიანი ყოველდღიურობას სცილდება და გარდაისახება უფრო მაღალი არსებობისთვის: „სული, ასხლტომილი სხეულის არტახს, თვითვე მადლდება ყოველდღიურობის არაღნამდები, მიჰყვება თავის წარმართველ ხელს.“

...სიკვდილი არსებობისგან კი არ ათავისუფლებს ადამიანს, მარტოღენ გარდასახავს მას...

...სიკვდილი მოკეთა ჩვენი, ხოლო ვინც მზად არ არის კეთილი მასპინძლობა გაუწიოს მას, უშფოთველად ვერ იცხოვრებს ამ ქვეყანაზე“.

მაგრამ რაკი სიკვდილი გარაუვალაა სანატრელია სიკვდილი არა წინაშე მტერთა, არამედ მოყვასთა შორის (ფრენის ბეკონი, „სიკვდილის თაობაზე“).

ჭეშმარიტი პოეზია ერთდროულად ცდილობს სიკვდილს-სიცოცხლის საიდუმლოებათა წვდომას: „არ ვარ მეხოტბე მარტოღენ სიცოცხლის გრძობის, სიკვდილის ტრფობაც შემიქია, მიდიდება“ – ამბობს უოლტ უიტმენი (პიმენი სიხარულისადმი).

“შარლ ბოდლერისთვის სიკვდილი „ძველი კაპიტანია“ და პოეტს სულის იყოს მისი მეგზური უფსკრულში, ცის და ქვესკნელის ბჭეთა გახსნისას, რათა „უცნობში მოვიძიოთ რამე ახალი (მოგზაურობა).

ბოდლერის სტიქიაა მოგზაურობა ჰადესში, მიჯნურთა, უპოვართა, ხელოვანთა სიკვდილის გაცნობიერება. გარდასხეულების თეორიის, სულის უკვდავების რწმენით პოეტი უიმედობას ამარცხებს.

ნიცშეს მიხედვით, „ყველა საფლავთა მმუსერელია ნება“ და „სად საფლავნი პვიებენ, პვიებენ აღდგომანი“.

„ხელმძღვანელებს, ყვითლებს, შავებს, სულით ჭლექიანებს, ცოცხლად მკვდრებს, ცოცხალ კუბოებს, სულის სიმძიმით მოსილებს შეჭირვებულებს“ ნიცშე ურჩევს: „ზრუნვიდეთ, რათა ცხოვრება მოისპოს, რომელი მხოლოდ ჭირვება“ (სიკვდილის მქადაგებელთათვის).

„ფაუსტში“ გოეთე სიკვდილს „ძმას“ უწოდებდა: „და ჩვენი ძმა სიკვდილი ჩვენსკენ მოიპარება“.

„შოთა რუსთაველი ირწმუნებოდა: „ცდების და ცდების სიკვდილისა/ვინ არ მოეღის წამისად“, ამასთან, „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი“.

ბარათაშვილი შეგვაგონებდა: „არც კაცი ვარა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს“ (ფიქრი მტკერის პირას).

სიკვდილ სიცოცხლის გამოცანა ასე გაუაზრებია ვაჟა-ფშაველას: „მრწამს, მარად მიწამებია მუდმივ სიცოცხლე სულისა, კარვისა, ქვეყნის მოყვარის, ქვეყნის ბედისგან წელულისა“ (მრწამს, მარად მიწამებია).

კონსტანტინე გამსახურდიასთვის სიკვდილი იყო „ჩვენი ცხოვრების იდუმალი ეტრატზე აღბეჭდილი მეშვიდე ბეჭედი, ჩვენი სულის უკანასკნელი წრთობა, უკანასკნელი ომი, მოუცილებელი მეაზრე“. „უკვდავება მხოლოდ ისეთ ადამიანს დაუმკვიდრებია ამქვეყნად, ვინც მაღალი გრძობის სახელით ცოცხალი ზიარებია სიკვდილს. გზა, უკვდავებისკენ მიმავალი, მუდამ სიკვდილის არკის ქვეშ გაივლის, გვაზიარებდა თავისი მრავალნადადი სულის გამოცდილებას კონსტანტინე გამსახურდია.

მწერალი დირსეულად ემზადებოდა ამ უკანასკნელი ომისთვის და, მართლაც, გაბედურად, ფესზე ამდგარი შეხვდა „ხელცელიან ბერიკაცს“.

გალაკტიონ ტაბიძე დაინტერესდა „ყოფნისა და არყოფნის წიგნებით“, შეიგრძნო „სიო, საიმქვეყნიო და საამსოფლო“, შექმნა თავისებური სიკვდილის სახელმძღვანელო, თავისი „შავი წიგნი“ და სიკვდილი „ვარდისფერ გზად“ წარმოისახა, „შუქთა კამარას“ „დიდ საიდუმლოს“ ანუ უზენაეს მსაჯულს შეხვდა, რომელმაც მშობლიურ ცაზე შუქის სახით განუხსავდრა ადგილი: „შუქად მშობლიურ ცას შეეშენები“ (დრო) (9,77).

ლუარა სორდია, (გაგრძელება იქნება)



# სრულიად საქართველოს პულოსავთ საქართველოს პირველი კანონიერი პრეზიდენტის დაბადების დღეს!



პირველი თანამდებარე!

დაბადების დღეს ვულოცავთ საქართველოს რესპუბლიკის კანონიერ პრეზიდენტს, ბატონ ზვიად გამსახურდიას!

სრულიად საქართველოს კი ვულოცავთ რეფერენდუმის ჩატარების 27-ე წლისთავს!

დაბადების დღეს ვულოცავთ

პროფესორს, რომელმაც თავისი განსწავლულობით, დიპლომატიური რწმენით, თავისუფლებისათვის თავდადებული ბრძოლით მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა მსოფლიო პოლიტიკაში... საქართველოს უახლეს ისტორიაში ზვიად გამსახურდია ის ერთადერთი ხელისუფალია, რომელიც თავისუფლების მაღალი იდეალებიდან გამომდინარე მოქმედებდა მხოლოდ ეროვნული სულისკვეთებით ერისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ! სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, მან თავისი შორსმჭვრეტელობით ძალიან დიდი ხნით გაუსწრო მის თანამედროვეებს! ამ გზაზე მიუხედავად დიდი წინააღმდეგობებისა, ქრისტიანული მრწამსიდან არ გადაუხვევია: მოყვასის სიყვარული, ერთგულება და მოყვასისთვის თავგანწირვა იყო სწორედ მისი ცხოვრების კრედიტო!

ბატონი ზვიად გამსახურდია ერთადერთი პოლიტიკოსია, ვინც 90-იან წლებში დიად დაუბრუნებდა "ახალი მსოფლიო წესრიგის" დასამკვიდრებლად მებრძოლ მასონურ სამყაროს! მისი უმთავრესი მიზანი იყო არა მხოლოდ ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობა, არამედ ქართველი და მსოფლიო ერების თავისუფლება! საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ იმ დროს დაწვეული ბრძოლა, დღეს სირიაში დასასრულს უახლოვდება!!! შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ სამშობლოდან სიმართლისთვის, პრეზიდენტის ერთგულებისა და საქართველოს სიყვარულისთვის დევნილი ზვიად გამსახურდიას ერთგული გვარდიელები სირიის მიწაზე იბრძვიან დღეს სიმართლისა და საერთაშორისო სამართლის ნორმების აღდგენისთვის! ვიმედოვნებთ, რომ კეთილი სძლევს ბოროტს და გამარჯვებით დაგვირგვინდება თავისუფალი, სამართლიანი სამყაროსთვის მათი 25 წლიანი ბრძოლა!!!

სამშობლოსთვის თავდადებული, ჩვენი ღირსეული პრეზიდენტი! ახლოვდება დღე, როდესაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციასა და მის შემადგენლობაში შემაჯავდ მსოფლიო ქვეყნებს გამარჯვებული ქართველები ამაყად წარუვადგენთ კანონიერი უზენაესი საბჭოს მიერ მიღებულ საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს! დოკუმენტს, რომლის საფუძველზეც საქართველოს რესპუბლიკა საერთაშორისო სამართლის სუბიექტად მათ მიერვე იქნა აღიარებული! ბატონო პრეზიდენტი! უმძიმესი დღეების გაძლევა გარგუნათ ბედმა

სამშობლოს სიყვარულის გამო, მაგრამ დასახული მიზნისთვის არ გადალაცხით! ამ გზაზე მეგზურად დაგვიყვანოთ ქართველი ხალხის სიყვარული და რწმენა უზენაესი ჭეშმარიტებისადმი!... თქვენი მოწამებრივი ცხოვრება მაგალითია სამშობლოსადმი თავდადებისა!... საქართველოს მტრების მიერ იავარქმნილ კოლხურ კოშკში კვლავაც ჩამორეკენ გამარჯვების ზარები!!! გაუმარჯოს ჭეშმარიტად თავისუფალ ჩვენს სამშობლოს! საქართველოს აღდგომა და ივერიის გაბრწყინება გარდაუვალია! მაშ – "გაიღვიძე ქართველო ერო! გაიღვიძე და მიჰყევ გზას ჭეშმარიტებისას, სიკეთისას, ღვთისას, ამინ"!!! ჩვენთან არს ღმერთი!!!

ნიუ იორკში მცხოვრებნი: ნანა ტატიანაშვილი, მარიამ ხორბალაძე, მარიამ ხუბუღაძე, საქართველოში მცხოვრებნი: ეთერ მბალობლიძე, დიანა მინაბაძე, ციალა თოლორაძე, ჩვენს ამ მილოცვას უერთდებიან "კავკასიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის" მებრძოლები სირიიდან!!! ნიუ იორკი, აშშ

# იმაღლი ნუ მოგიშალაოთ ღმერთო!

იმედი კარგი საუზმეა, მაგრამ ცუდი-ვახშამი! ვ. ბამბაძე

შეხსენებას მოკლებულ ადამიანს არა აქვს სიკეთის აღქმის უნარი, შეხსენების გარეშე არაა განათლება, სინდისი, ზნეობა" – (თ. ბუთხუზი). ამ სიტყვების ჭეშმარიტებას ყოველთვის გრძნობდა ქართველი ერი და იმედია დღესაც სათანადო ძალისხმევით მიაპყრობს ერის მომავალს.

არსებული სიტუაცია ძალაუნებურად გვიბიძგებს იქით, მოვეხმომ შეხსენებას და გადავხედოთ ისტორიას, რა გზებით, რა მეთოდებით ვახორციელებდით ყოველივე იმას, რაც უზრუნველყოფდა რეგიონში განლაგებულ ერთ მუშტად შეკრულ ხალხებს, რომლებიც კავკასიონის ჩრდილოეთს და სამხრეთ კავკასიას მოიცავდა, მაგრამ ბუნებრივი სიახლოვის და გენეტიკური ძლიერების შესაბამისობაში მოსვლით ათასწლეულებში ერთნი, ერთ ერად ჩამოყალიბდა, სხვანი ურთიერთშორის მრავალმხრივი სიახლოვისა და მეგობრობისა, როგორც მეზობლები, დამკვიდრდნენ და საკუთარი დამოუკიდებელი განვითარება ჰპოვეს, შემდგომში კი მათ ცხოვრებაში მინც დიდი როლი მათმა სარწმუნოებამ ითამაშა.

საბჭოთა კავშირის გასული საუკუნის 20-30-იანი წლები, როდესაც ადგავეს მიწისაგან პირისა ტროცკი-ტუხაჩევსკის მიმდევრები, რეპრესიაში გაუშვეს 2,5-მილიონზე მეტი საბჭოთა ადამიანი, რა მდგომარეობაშიც იხსნა არამცტოუ საბჭოეთი, რომელიც სახსნავი კავიდან ატომის მქონე უძლიერეს ქვეყნად აქცია, არამედ ფაშოზმისგან მსოფლიოც იხსნა. არ შეიძლება თვალი დაგუხუჭოთ ისტორიას, როგორც არასდროს გზა გაგუხსნათ მასონიზმს, უარყოფით სულიერება, ჩვეკლათ ყოვლად ცნობილი ჩვენი ბრძოლისუნარიანობა და მეზობლობის ერთგულება, ისევე როგორც საძრახისი, ნაცნობს ცოლი წაართვა და ციმბირში გადაასახლა, მორე რეპრესირებულს ბინა წაართვა; სიყვარულით, ჯერ კოჯორში დაცემული მ. მაყაშვილი გმირად აღიარეს და ნ. კეცხოველი სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად დანიშნეს. ეს იმნიშავს, რომ ხალხი საკუთარი აზრების და სურვილების შესაბამისად „ჭრელი“ მუდამ, მაგრამ მთავარი მომავალზე ზრუნავს. ქვეყნის მომავალი და თვითუფლები ჩვენგანი წარსულსაც გვახსენებს, თუნდაც სოლომი-გომორის დაღუპვა, მასონიზმის მოსპობა 20-30-იანი წლების საბჭოეთში და აქვე ფაშოზმის განადგურება, ახლა კი ქრისტიანობის წინააღმდეგ განწყობილი ამერიკა მიექანება უფსკრულისკენ. ეს და სხვა მრავალი მოვლენა თუ მაგალითი, მ. შ. ნოსტრადამუსის, კეისის, მესინგის, ვანგას, მამა საროველის, ბერი გაბრიელის და სხვათა გონიერება (სხვა რომ არაფერი ვთქვათ), ჩადებულა მამა ზეციერის საწყისში, ხოლო ღვთისმშობლის წილხვედრილ ქვეყანას და აქ ღმერთებად წოდებულ ადამიანებს ღირსეული მართლმადიდებლობა ეკუთვნით.

დროა გამოვიყენოთ თავისი არსებობის ისტორიის მანძილზე ბრძენი მეზობლების მ. შ. რუსეთის, ისრაელის, (რომელიც ოცდაექვსი საუკუნე მეტი, დიდი ნაწილი ჩვენთან ცხოვრობდა), და სხვების, გვერდში რომ დაგვიდგებიან მათგან საუკეთესო თვისებები გადავიდოთ. მაგალითისთვის შეიძლება ავღნიშნოთ რუსეთში გასული საუკუნის 20-30-იანი წლები, როდესაც საფუძველი ჩაეყარა შემდგომში მისი ძლიერების ყოველმხრივ განვითარებას, 40-იანი წლების ბოლოს კი, ისრაელის გაძლიერებისთანავე მსოფლიოს ყველა კუთხეში მტრების

მოძიება და დასჯა დაიწყო, ხოლო თვით ისრაელის ორი პრეზიდენტი, ეკლესიამ „პულსა დენურა“-ზე (იგივე „ანთემა“ ჩვენს ენაზე) გადასცა! ღმერთის ნებით, მავანთა წინააღმდეგ ჩვენს საქრისტიანო ქვეყანაში იგივე განხორციელდება!

ღვთისმშობლის წილხვედრილ ქვეყანას ისტორიული განვითარების სხვადასხვა ეპოქაში ყოველთვის ჰყავდა გამორჩეული შვილები, რომლებიც თავისი ინტელექტითა და ბრძოლისუნარიანობით მშველელად ევლინებოდნენ ერს, მაღალად ეღვწოდნენ სამშობლოს დაჭრილ, დაავადებულ ერთიან ორგანიზმს და მკვდრებით აღადგენდნენ მას. მსგავსი მაგალითია 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები, რომელმაც „ქართული ოცნების“ ლიდერის მეშვეობით იხსნა სამშობლო საბოლოო გენოციდისგან, მაგრამ გარე ძალებმა გადაიბრეს რა მხარდამჭერები მათივე მეშვეობით გახრწნა და დაავადა ქვეყნის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, როგორც არიან გარეშე ავანტიურა, ნარკომანები, ლოთები, იაღოველები და ა. შ. ხოლო ხელისუფლების ყველა დონეზე უგუნური ან პირადი ინტერესებით მოცულნი საქმიანობენ. ჩვენს წინაშე არსებული სირთულეები მრავალადაა მაგრამ ყველა ქართველის უპირველესი და უმნიშვნელოვანესი საფიქრალი არის ურთიერთგანსხვავებული აზრები, როგორც კრიმინალისტიკაში ადამიანის პირადი კანის სუნი და თითის ანბეჭდი, რადგან ანალოგიური დამოკიდებულებით იმდენი იქნება რამდენი ქართველიც ცხოვრობს ცისქვეშეთში. ჩემს ერთ-ერთ ბოლო წერილში („ლორე“, 28-ნოემბერი 2017 წ. № 419) გადმოვცემდი აზრს, რომ ლიდერი თავის საქმიანობაში გასამარჯვებლად ხელსაყრელ სიტუაციას თვითონ ქმნის, მაგრამ ქვეყანაში ხშირად იმას ფიქრობენ, რომ თავისი ინტერესები უფრო წინ დააყენონ ვიდრე ქვეყნის ინტერესები. ყოფილმა პარლამენტარმა მეჭიაურმა მაკორიტარებში ხუთი დღეველი მამულიშვილი შეიფანა, მაგრამ მათ ვერ შესძლეს აზროვნების ერთ წერტილში ფოკუსირება, რის შემდეგაც კვლავ ინდივიდუალურად გაავრცელეს სამშობლოსათვის ბრძოლა. მეხუთე კოლმანა კი ნაცემოდრობის წინამდებლობით შესაშური სიმტკიცით იბრძვის, კვლავ მტრობას ეწევა თავისი და ერის მიმართ, არ აფასებენ როგორც ერეკლე მეორის მიერ რუსეთთან

მუსლიმურ გარემოცვაში მეოფე ექსპანსიონათის საქართველოს მიერთებას და ვინმე ტოტლებენის მოლაღატურ ქმედებას უფრო მნიშვნელოვნად მიიხსენებს ვიდრე რუსეთის მომავლის ნაღვალს, რითაც მათთან კავშირში მყოფმა ხალხმა ხუთ მილიონს გადააჭარბა, ეკონომიკურად გაძლიერდა და აყვავდა. ასევე ვერ ერკვევიან საბჭოთა რუსეთის შემოტრაში, რის შემდეგაც აღკვეთეს თურქი ოკუპანტების შემდგომი აგრესია, შეაჩერეს ქვეყნის ჯიჯანაც, თუმცა ვერ მოასწრეს ჟორდანიების და ორჯონიკიძეების მტრული ძალების ამოძრკვა, ვინც გაასხვისა ქართული მიწა, ერის სიმდიდრე. გადავხედოთ ჩვენს დღევანდელობას და კარგად დავინახავთ თუ რა გველის ე.წ. ოპოზიციონერი ძალების, უგუნური, სათავისოდ განწყობილი ხელისუფლებაში მყოფი ადამიანების მიერ, სადაც მიზეზთა გამო რუსეთი როგორც ადრე ერთობრივ ქართულ-რუსულ საქმეს ვერ გააკეთებს. რა მოხდებოდა თუ ე.წ. ოკუპანტები არ შევიდოდნენ აფხაზეთში, სამაჩაბლოში და მათ ერთმორწმუნე ქვეყანაში ნატოს ჯარების ბაზირებას დაუშვებდნენ, ამერიკა ომში რუსეთთან ვერ ჩაებებოდა, მაგრამ დაეუშვათ, ომის შემთხვევაში ბაზის გასანადგურებლად საქართველო მთლიანად უნდა დაეობოდა? დღეს, ე. წ. ოკუპანტთა წინააღმდეგ მტრული ძალების აგიტიცი-პროპაგანდის მიუხედავად, რუსეთის მხარის გვირაბის ბოლოს ნათელი წერტილი მოსხანს, მათი მხრიდან ერთმორწმუნე მეზობლების გაერთიანება კვლავ აღდგება, ისტორიას ჩაბრდება კავკასიაში ნატოს ბაზის შესაძლო განლაგება, წყლისა და ამდების (პამპრისის) შემოტანა როგორც წარსული ომის შემდეგ და ისევე უზრუნველყოფდა შემოზიდვას მუდმივად საჭირო ამდებით, როგორც სამხრეთ კორეაში. აქედან გამომდინარე ხომ არ სჯობდა ქვეყნის ყოველგვარ ძლიერებას, რომელსაც ძირითადად შინაური მტრები ეწინააღმდეგებენ და მათ უსმენენ, უპირველეს ინტელექტუალ-მამულიშვილებს ა. ჭაჭიას, ლ. ვასაძეს, დ. თევზაძეს, ე. კვიციანს, ტ. წითელაშვილს და სხვებს მოუსმინონ, რათა მათივე მოთხოვნით გზა მიუჩინონ მტრებს ტროცკი-ტუხაჩევსკის მსგავსად, ამით ექნება საქართველოს უკეთესი მომავალიც, მეზობლებიც და მეზობლობაც.



# წარმატებული ნიჭიერება



სამაყოა და სასიხარულოა, როდესაც ნიჭიერი ადამიანი, თავისი ცოდნით, მისთვის საინტერესო სფეროში გასაქმნის კოვებს. სახელსა და ღირსებას მოუტანს მშობლიურ რაიონსა და საყვარელ ქვეყანას.

სამეგრელოში, აბაშის მუნიციპალიტეტში მცხოვრები კუციების გვარი ერთ-ერთი იმ გვართაგანია, რომელიც გამოირჩევა პატიოსნებით, შრომისმოყვარეობით, ურთიერთმინდობითა და ნიჭიერებით. ამ გვარს ჰყავდა და ჰყავს თვალსაჩინო შვილები, რომელთა გახსენებით ჩვენს მესსიერებაში იშლება ცნობიერებისთვის მოსაწონი ფურცელი.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, გასახარია, რომ ქ. აბაშაში აკაკის ქუჩაზე აღიზარდა, 1968 წლის 30 ნოემბერს დაიბადა და მომავალში მეცნიერულ

მწვერვალებისკენ გზა გაიკვლია თეიმურაზ (თემურ) აბიბოს ძე კუციამ. ადრეული ასაკიდან ზუსტი მეცნიერების სიყვარულმა, მასში დიდი ძალისხმევა გამოიწვია, რაც აუცილებელი იყო ამ უდავოდ საინტერესო სფეროს დასაუფლებლად. დღეს თეიმურაზ კუცია მოღვაწეობს ავსტრიაში, ქ. ლინცის იოჰან კეპლერის სახელობის უნივერსიტეტთან არსებულ სიმბოლური გამოთვლების კვლევით ინსტიტუტში, მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორის, ასოცირებული პროფესორის (დოცენტის) ხარისხით.

მისი წარმატებულობის წინა პირობა იყო მისი გარემო. მომავალი მეცნიერის ჩამოყალიბების საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის პირველ რიგში ოჯახს, სკოლასა და თბილისში მიღებულ უმაღლეს განათლებას. ჩვენთვის საამაყო მეცნიერის მამა აბიბო კუცია აღიზარდა ოთხ დედ-მამიშვილთან ერთად პატიოსან ოჯახში. ის პროფესიით ინჟინერ-მექანიზატორია. წლების მანძილზე აბაშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკურ სპეციალურ საგანებს ასწავლიდა. დედა – ნელი ფირცხალავა პროფესიით ფილოლოგია. იმავე ტექნიკურში ასწავლიდა ქართულ ენასა და ლიტერატურას. ნელი მასწავლებლის მამას, ვალერიან ფირცხალავას მინიჭებული ჰქონდა რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგის წოდება.

თეიმურაზ კუციამ წინაპრებიდან

მომადლებული სწავლის სიყვარულით, თავისი ნიჭიერებით მიადწია წარმატებებს მათემატიკურ სფეროში. თავისი საყვარელი მშობლიური ენის, ქართულის შესანიშნავად ცოდნის გარდა, ძალიან კარგად იცის ინგლისური, რუსული ენები, ხოლო გერმანულ ენას საშუალოდ ფლობს. მან ქ. აბაშის მეორე საშუალო სკოლის ოქროს მედალზე დამთავრების შემდეგ, წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი. მინიჭებული ჰქონდა ფრიადოსნის სტიპენდია. 1997 წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოიპოვა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. 1998-2002 წლებში, წარჩინებით იცავს ქ. ლინცის სიმბოლური გამოთვლების კვლევით ინსტიტუტში დოქტორანტის ხარისხს. ხდება ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი. თეიმურაზ კუცია 2002 წელს დაჯილდოებულ იქნა სადოქტორო დისერტაციის წარმატებით დაცვისათვის, ხოლო 2011 წელს ისევ დაიცვა დისერტაცია და ხდება ქ. ლინცის ამავე ინსტიტუტში ასოცირებული პროფესორი. უფრო ადრეულ, 2003 წლიდან კი მუშაობს ქ. ლინცის იოჰან კეპლერის სახელობის უნივერსიტეტში ლექტორად. მადლიერი ავსტრიელებისგან მიღებული აქვს სხვადასხვა ჯილდოები, სტიპენდიები, მათ შორის 1998-1999 წლებში ზემო

ავსტრიის მხარის მთავრობის სტიპენდია და ა.შ.

თეიმურაზ კუცია, როგორც ასოცირებული პროფესორი კითხულობს ლექციებს ავსტრიის გარდა აგრეთვე სხვადასხვა ქვეყნებში. 2011 წელს, მიწვეული იყო რუმინეთის ქ. ტიმოშოარას დასავლეთის უნივერსიტეტის მათემატიკისა და კომპიუტერული მეცნიერებების დეპარტამენტში. მიწვეული იყო ასევე ლექციების წასაკითხად იაპონიის ქ. ცუკუბას უნივერსიტეტის კომპიუტერული მეცნიერებების დეპარტამენტში. უფრო ადრე, გასული საუკუნის 90-იან წლებში, ლექციებს კითხულობდა თბილისის სახელმწიფო და ტექნიკურ უნივერსიტეტებში.

თანამედროვეობის ერთ-ერთი თვალსაჩინო მეცნიერი, 2012 წლიდან ხელმძღვანელია პროექტისა „სიმბოლური გამოთვლების ტექნიკა, ურანგო ტერმებისთვის“.

წარმატებულ ადამიანს თეიმურაზ (თემურ) კუციას ჰყავს ლამაზი ქართული ოჯახი, კარგი მეუღლე ნინო ამირიძე, სამი უსაყვარლესი შვილი: ანა, ელენე და ალექსანდრა.

მშობლიური აბაშის რაიონისა და საქართველოს დესპანს უცხოეთში, წარმატებული ნიჭიერების მქონე კარგ მამულიშვილს, თეიმურაზ კუციას წინსვლა და წარმატება ვუსურვოთ შემეცნების უკიდურეს სივრცეში, მეცნიერული კვლევა-ძიების საინტერესო ასპარეზზე.

მაღზაზ ბრიგოლია

## რა ქალა აქვს ღვთის სიბჱვას და რას მოგვსჯებს მისი შეხნობა?

„დასაბამიდან იყო სიტყვა, სიტყვა იყო ღმერთთან და სიტყვა იყო ღმერთი. ის იყო დასაბამიდან ღმერთთან. ყოველივე მის მიერ შექმნა და მის გარეშე არაფერი შექმნილა რაც კი შექმნილა. მასში იყო სიტყვცხლე და სიტყვცხლე იყო ადამიანთა ნათელი. ნათელი ბნელში ანათებს და ბნელმა ვერ მოიცვა იგი“.

ბიბლია, იოანე 1,1-5;



სინამდვილეში კი, ქართველებს, ნამდვილად გვაქვს საფუძველი ვიამაყოთ დასაბამიერი უძველესი წარსულით, ადამ-იაფეტ-იბერთა პირდაპირი მემკვიდრეობით, თვითმყოფადი კულტურითა და განათლებით, რაც, ვფიქრობთ, საკმაოდ არგუმენტირებულად წარმოვადგინეთ, მაგრამ, მიუხედავად მრავალჯერადი მიმართვისა და თხოვნისა, რომ განეხილათ ჩემი გამოკვლევები და გაე-

კეთებინათ ობიექტური და არგუმენტირებული დასკვნები, პატ. მეცნიერები მეორეხარისხოვან საკითხებზე ამხვილებენ ყურადღებას, ხოლო ძირითად საკითხებს, თავს არიდებენ, ან მოკლედ პასუხობენ: კ. ფიფიას ნაშრომი მეცნიერული არ არის, ეს ჩვენი სამეცნიერო სფეროს არ განეკუთვნება [საუბარია ნაშრომზე „რა ენაზე მეტყველებდნენ იბერები?“ განხილული ძირისეული ფორმების ჩასახვის, განვითარებისა და ჩამოყალიბების პროცესზე. მაგ., ყველი-სა და სხვა სიტყვების საერთო ძირის ჩასახვისა და ჩამოყალიბებისას გავლილ ევოლუციის გზაზე (იხ. ჟღ. 2010, №2(14), გვ. 50)]. ჩემს მიერ წარმოდგენილი კვლევა მათი შეფასებით არამეცნიერულია, ხოლო სიტყვა ყველის წარმოშობის მათ მიერ წარმოდგენილი შეხედულება [ყავ-ყვ-ყ-ყავ; ყ-ო; ვი-ყოფი; გან-ყო; შე-ყო (შე-ყო); ყვ-ელი (იხ. პ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, 2000, გვ. 520)] მეცნიერულია. ე.ი. მათი მეორე პირის ზმნა ყავ მეცნიერულია, ხოლო ჩემი იგივე ზმნა წარმოდგენილი მესამე პირში ჰყო/ყო არამეცნიერულია.

ცხადია, მათ სწორად შეაპირისპირეს ქართ. ყვ-ელი და მეგრ. ყვ-ალი, მაგრამ ვერ არკვევენ ყვ// ვ ძირისეული ფორმების ეტიმოლოგიას და, რადგან თვითონ რეკალიებით დახუნძლული მეცნიერები ვერ წვდებიან ძირისეული ფორმების წარმოშობისა და განვითარების სიღრმეებში, ღია დისკუსიაში არ შემოდიან და არ შედავებიან, მაგრამ სარგებლობენ ჩემი სამეცნიერო ხარისხის უქონლობით, ზურგს უკან, არასპეციალისტებს ეუბნებიან, ფიფიას სათანადო ცოდნა

არა აქვს და მისი შრომები არამეცნიერულიაო.

თუ სამეცნიერო ტიტულებით დატვირთული მეცნიერთათვის ქართულ-მეგრულ-სვანურ-ლაზური სიტყვების საერთო ძირისეული ფორმების დადგენა მეცნიერულია, რატომ არაა მეცნიერული, უფრო რთული, ბგერების წარმოშობის მექანიზმებისა და სიტყვათა ძირისეული ფორმების სინქრონული და დიაქრონული პროცესის შესწავლა?

საქმე ის არის, რომ ჯერჯერობით არ არის ცნობილი, რომელიმე თანამედროვე მომქმედ (სამწერლობო) ენას გააჩნდეს ენობრივი მონაცემებისა და შესაძლებლობების ის ბაზა, რომელსაც შეუძლია ჩაწვდეს სამეტყველო ბგერების და მეტყველების წარმოშობის, ასევე სიტყვათა ძირისეული ფორმების ჩასახვისა და ჩამოყალიბების საიდუმლოებებს. ამიტომ აკრძალეს ოფიციალურად 1866 წელს, პარიზში მეტყველების წარმოშობაზე მოხსენებების განხილვა. ეს უნარი აღმოაჩნდა ერთ დროს დაწუნებულ მეგრულ (ადამურ-იაფეტური-იბერიულ) ენას, მაგრამ ეს აღმოაჩინე მე სამეცნიერო ხარისხის არმქონე მკვლევარმა და ამის გამო ჩემი მიგნებების არამეცნიერულად ჩათვლა, ამით ამ აღმოჩენათა დაბლოკვა და სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ცრუ დოგმების ჭეშმარიტების რანგში სწავლების ჯიუტად გაგრძელება, რომ არაფერი ვთქვათ სხვაზე, რამდენად ზნეობრივია და სასარგებლო თვით ამ მეცნიერთა შვილებისა და შვილიშვილებისათვის, შთამომავლობა საკადრისად შეაფასებს. მაგრამ საინტერესოა, რამ გააბოროტა, რამ გაამხეცა და რამ დასცა ზნეობრივად ასე დაბლა მეცნიერები, რომლებიც,

უპირველეს ყოვლისა, საზოგადოებრივი ცხოვრების რაციონალურ წესებს უნდა იკვლევდნენ და ამკვიდრებდნენ სოციალურ ამბიციებს და საკუთარი შთამომავლობის ტრაგიკულ მომავალს ვერ აცნობიერებენ?

როგორც შურიან და ეგოისტ სუბიექტებს სწვევიათ ხოლმე, თუ მე არა, არც სხვასო და, როცა იმდროინდელი სამეცნიერო საზოგადოება ვერ ჩაწვდა მეტყველების წარმოშობის საიდუმლოს სიღრმეში, ამ პრობლემის გადაჭრის შესაძლებლობა კაცობრიობისათვის სამარადისოდ დაკარგულად ჩათვალა და ოფიციალურად აკრძალა მეტყველების წარმოშობაზე მოხსენებების განხილვა, ე.ი. ენათმეცნიერებმა თვითონ აღმართეს ბარიკადები თავიანთ წინაშე და ვიწრო ჩარჩოებში ჩაიკეტნენ. სამწუხაროდ, იმ ხანად გადაუღაზავ ბარიერად მოჩვენებულ ჩარჩოს შიგნით მოჰყვნენ ქართველი მეცნიერებიც, მაგრამ თუ არსებობა უწერია საქართველოს და თანამედროვე შურითა და ეგოიზმით გავსებულმა სუბიექტებმა აღნიშნული ბარიკადების გარღვევას არ არჩიეს ქართველი ერის საერთოდ მოსპობა, მჯერა, ჩვენი გონიერი ახალგაზრდობა მაინც გაარღვევს ამ ხელოვნურად აღმართულ ბარიერს და ღირსეულ სიტყვას იტყვის მსოფლიო საენათმეცნიერო საზოგადოების წინაშე მდგარ ამ უმთავრესი პრობლემის გადაჭრისათვის ბრძოლაში.

კუპური ფიფია,

ფაზისის აკადემიის ნამდვილი წევრი. (წერილის დასასრული)



# თავდაჯერებული დიმიტრი მეორის პოლონიში

ისტორიის სიხლ-ცრემლით მორწყულ კვლიან გზაზე, ქართველი ხალხი ბევრჯერ შეგზავნა მის მოსახლობად შემართულ ხახადამნილ ურხულად ქვეულ, სხვაზე ბატონობის კინთ შებერობილ ადამიანურ გამხეცებას. როცა ყოფნის უიმედობას არყოფნისაკენ დრო შეუქრებლად ექანებოდა, ქართველი ერთ დაუნდობელი რბევის ფერფლიდან ფენიქსივით ფეხზე დგებოდა და ეს კაცობრიობის კულტურის ნათელი სხივი, ისტორიის ქარბორბალაში ციმციმს ავრძელებდა, დღემდე ბოროტებას რომ მისი ჩაქრობა ვერ შეძლო, თუმცა მუხთლობით გვარაიანად ახლებელს ნორმალური ცხოვრების ყოველ გამობრწყინებას.

საქართველოს გარეშე მტერი ვერაფერს დააკლებდა, თუ არა ეროვნული სასიცოცხლო ინტერესებისათვის მამულიშვილური თავდადების მაგიერ თავადების, მოაზრების, მეფეების და სხვა მედროვე უძღვებ შვილთა მიერ სეპარატისტული, ქვეყნის დალატთან წინადაცარი საკუთარი კეთილდღეობის კარიერისტული ამბიციებით ტკობა.

თუმცა ლევიკის გამადაღურებელი თავდასხმების შედეგად დასუსტებული საქართველო ერთიანი იყო, ასევე სუსტი ხელისუფლებით. რითაც ისარგებლეს ზემოთ მოხსენებულმა ვაი ქართველებმა. ქვეყნის ერთიანობის და გამძლეობისათვის ზრუნვის მაგიერ დაშლეს, დააქუცმაცეს, ლეშზე დახარბული აფორებით, მისი ნაწილები დათორიეს და ერთმანეთს დაერინენ.

სულის შემხუთავი, მახრობელა სინანული კავრობს ამის წაითხვისას, რის შემდეგ ქართველი ერთიანი ვეღარ გაიმართა. გაერთიანებას ვიდა ჩიოდა, როცა ძლიერი მუხობლები მის ნაწილებს ერთიმეორის მიყოლებით ყლაპავდნენ. ორი მტაცებლის ეტეკში მოქცეული შეცოტრებული, დასუსტებული მოსობის და გადაგვარებისკენ მიმავალ გზაზე ბოლო არსებობის წლებს ითვლიდა. გადაარჩენის არავითარი იმედი არ იყო, აღმოსავლეთ საქართველოში სპარსეთი ბატონობდა. ქართველთა საამაყო გზით და გამაჭრიახი პოლიტიკოსი ერეკლე სპარსეთის მიერ კახეთის სახანოს ხანად იყო დასმული, რომელსაც შემდეგში ქართლზე შეუერთეს. სპარსეთი ამ სახანოდან ხარკს იღებდა და ჩვეულებით მეფე ერეკლე მეორეს მათთვის ერეკლე ხანი იყო. დასავლეთ საქართველოს თურქეთის ბრტყალებიდან დასხნის არავითარი იმედი ფოტქა არ იგრანბობდა. ყვეენი, ამბიციებით მოაზროვნე, უცხოეთის ნოტზე მიმართული, მუხთლობით გარყვნილი ზოგიერთი პოლიტიკოსის ახრით, თურმე რუსეთმა დამოუკიდებლობა წავგართვა მაშინ, როდესაც ერის ღირსეული მამულიშვილები ყველის წვეთი ვეღარებოდნენ ქართველთა თავის მფარველობაში აყვანას. სად ხედავთ აქ დამოუკიდებლობას?!

საბჭოთა კავშირის დროს მოკავშირე რუსულბლიკებიდან მარტო ბელორუსიას არ სჭირდებოდა რუსეთის დახმარება, დანარჩენები მის ცურზე იყვნენ მიჭიდებული. მათ შორის ყველაზე განებებებული საქართველო რასაც აწარმოებდა, ოთხჯერ მეტს ითვისებდა. რუსეთი უამრავ კვების პროდუქტებს, რომელიც მათთან იწარმოებდა, აქ ყიდულობდნენ და ამანათებით სახლში აგზავნიდნენ/ ვისი მხრუნველობით იქცა საქართველო მძლავრ ინდუსტრიულ-გარარულ რუსულბლიკად, რომელსაც დღევანდელი ევრო-ამერიკული ბატონები დამცირებას ვერ აკადრებდნენ, რამეთუ მათზე არანაკლებად კეთილმოწყობილი, მძლავრი და უზრუნველყოფილი იყო. რა ჩამოთვლის იმ უამრავ სიკეთეს, რაც რუსეთთან მეგობრობამ შეგვიძინა.

მტერი ყოველთვისა ცდილობს შენი ერთგული მეგობარი, კეთილმსურველი და გამართული ცხოვრების გარანტი შეგაპულოს. შედეგად გვაქვს საძირკვლიანად მომპირი მძლავრი მრეწველობა; პირველყოფილ დონემდე დაკნინებული სოფლის მეურნეობა; უცხოელზე მიწვის გაყიდვის სპეკულაცია; საქართველოში უცხოელების ჩამოთვლების ბიზნესი; დაკნინებული და არარაობამდე დაყვანილი მეცნიერება; მახინჯი განათლება; წარსულის დანაშაულები და სქესობრივ სიმყრალეზე დაფუძნებულ ევროპელებად გადაქცევის დაგვაი.

კი ბატონო, არ ვარგოდა ის წარსული ცხოვრება? მაგრამ ათასჯერ უარესი რომ მოახვი ქართველ ხალხს. გამარჯვებული გაანახურე, დაამშვე, დააქინე და უცხოეთში გადახვეწა სანატრულად უქციე; როგორი უსირცხვილობით ჩამოირეცხე ასე დაფუძვლიანად ნამუსი, საკუთარ ერს ამ დონეზე რომ უბნებლეს სიცოცხლეს და დღევანდელით ტრაბახის ფონზე წარსულს ავიტებ? რით გამოვადლო იმ არსებამ, ვისი ძალით შეივლიდაც არნიე ერთსობის თავდადებულ, სპეტაკი სულის მამულიშვილის გაჭირებაში ყოფნას?!

მონღოლებსაც კი არ უკადრით ეკლესიის საქმეში ჩარევა და მას სრული თავისუფლება ჰქონდა. ამერიკელები კი ჩვენი მართმადიდებლური ეკლესიის მღვდელმთავრებს ისე იბარებენ ოკეანის გაღმა და თავის ჭკუაზე მოძღვრებენ, ირანის შაჰსაც რომ არ დასიხმრება ამგვარი რამ. რომელი ამერიკის მონობაში მიიჭრებით, რუსეთს რომ ედავებიან, ბედოვლათი პრეზიდენტი შენ აგვარწყინებო? ერთი ცენტრის ინვესტიცია რომ არ ჩაუდგია საქართველოს ეკონომიკაში და ლუგარის ბაქტერიული ლაბორატორიით გვაჯილდოვებს, რომლის

მოწყობისათვის მილიონობით დოლარს ხარჯავს. ცდების ჩასატარებლად ბაყაყები და კურდღლები აღარ სჭირდებათ, ამ ბაქტერიული დივერსიის უბედურებაში ქართველებიც ყოფიან. როცა მოსურვებენ, გამოიონანს ინფექციური საშინელება იქიდან და კარგად შეეუღო. თუ ალექსეევკის დასახლება შემოეხარჯათ, ავერა თბილისი და მთელი საქართველო. ამგვარი ლაბორატორიები აქვთ უგანდაში, ტანვანიაში, სირიაში, ავღანეთში, მრავალი და მათ საცეცხეში მოტანებულ ძრავად გაჭირვებულ ქვეყნებში. ნახეთ რა დონეზეა მისი პარტნიორობა!

ვისი ნათელი ჭკუით და ვისთან მეგობრობით იქცა ნაცარში ჩასაქრობად ნაკვერჩხალივით მბუტბავი საქართველო სინათლის და სითბოს მფრქვეველ მძლავრ, ავიზიზებულ ნირადნად? როგორი დამოუკიდებლები არიან ვინმე სქესუალურ მანიაკ ბუკიკოს ვიზიტის შიშით უკანაფეხებინასველებულ კურდღლებს დაემსგავსნენ. რუსთავე-2ის საკითხზე მთელი ამხელა დაგდავის შემდეგ, ევროკავშირის მისამართლის მიერ საქართველოს უმაღლესი სასამართლოს დადგენილების აბუხად ავგებით გულგახეთქილები გულივერის სითხის დასხმულვებით ჩაიფერფლენ და ჩაქრენ. რამდენი წელია რუსეთის ლანძვავში და ევროპელებად გადაქცევის ქაქანში საქართველო დააკნინეს და ბანანის რესპუბლიკის დონეზე მიჩანალებს. ქართველი ხალხი გაანახევრეს და ეს სახარელი პროცესი კვლავ აქტიურად გრძელდება. რა უნდათ, საქართველო ნაცარში ჩასაქრობად მბუტბავ ნაკვერჩხლის დონემდე უნდა დაიყვანონ?!

ამ ფსევდოდამოუკიდებლობით თავბრუდახვევის პირობებში ყოველივე სასიკეთო დაკნინდა, განადგურდა და არარაობად იქცა, მისგან მხოლოდ გულსტკივილით გახსენებდა შემოვარჩა. დღესაც სულის, გონების და გრანობის საამოდ ეუყურებთ ადრე გადაღებულ ქართულ ფილმებს და მისი მრავალჯერ ჩვენება არა ვაწყინდება, რამეთუ სხვა აღარაფერი გვაქვს. უცხოური ნახატი ფილმების უაზრო, უდიეო გაუთავებულ ჭყელიძის მოხმენისას ხულის მუხუთვად მოგეძალება ბრწყინვალე ქართული ნახატი ფილმების გახსენება. ჩაიფერფლა და წარსულს ჩაბარდა მსოფლიოში სახელგანთქმული საქართველოს კინოსტუდია. მის გასაგებლად დიდებულ შემოქმედების გზაზე აქა-იქ გარყვნილ, უხეიო და ბილწიტყვის სარეველას თუ შეხვდებით ახლა.

მატყუარა დემოკრატიის უბედურებით მომხერხვალე მწერლობა რუსეთის „ოკუპაციის“ პირობებში ყვაოდა. საბჭოთა კავშირის დროს კი დიდებს მწვერულზე ასული საქართველოს სიამაყედ ბრწყინავდა.

მწერლობა კავშირი ბუდიდან გამოქვეყნულ ჭოტის ფიტულს დაამსგავსეს, მხოლოდ თვალებს რომ ატყვეს და სამადლოდ განაღობაზე შესული ჩამოვარდად ქანქარებს. გაჭირვებისომიდობის ტყვე მწერლებს წერილ მეწარმედ თვლიან და თუ მწირად რამის გამოქვეყნება შეძლეს, ბევრჯერ.

ამგვარ სულის შემხუთავ შევიწროვების პირობებში გვექნებოდა მეცნარემეტე და მეოცე საუკუნის ქართველი ერის საამაყო, ბრწყინვალე მწერლობა? ვინ მოსთვლის, გაუსაძლისი გაჭირვების და არაფერად ჩაგდების უმადურობაში რამდენ მწერალს შეგხმა კალამზე ხელი, რომ თავისი სათქმელი ვერ თქვა.

სამაგიეროდ, მერაღობა, გარყვნილობა, სქესობრივ მანიაკობა და ბილწობა სახალისებასა და განებებებისათვის ძალიან არ ზოგავენ უცხოეთის ლაქია გაპონები.

ცხინვალის მიერ ქართველთა გატაცების გამო აღავლავდებიან, ევროპას შუაშფოთებენ, საიდანაც დიდ მიღწევად გვამცნობენ, რომ ევროპა ჩვენი ტერიტორიული მილიანობის მიმზრავო, ახალი ამბავი, რასაც ამერიკის რომელიმე ჩინოზნიკიც გაიმეორებს. მიტინგებს მოაწყობენ, ტელევიზორის ეკრანიდან ისეთ ქარბუებს დააყენებენ, ლამის გართ გამოხტენ. პარტუებს, არასამთავრობო ერთობლივი რეკოლუციის მიღებით დამუქრებიან; გაბრაზებული და აღშფოთებულები როგორც იქნება დაწყნარდებიან ბაკულის დროების შემშინებლებით და მორჩა, სანამ მორიგ ასახმარებლად რომელიმე ქართველს არ დატყვერენ, არ მოსწყინდათ ეს ყვეინება?! რომელიც ვნებავთ საღად მოაზროვნე რიგითმა იცის ამ პრობლემის მოგვარების გზა და ესენი საწინააღმდეგოდ ვის გულის მოსაგებად იქამბებიან?

ევროპას საკუთარი თავი გახსტირებია. პიდარატების დროშის ფრიალში გადაკვერებულებს თავიანთი ამხუნვალეული ქალები, მათგანვე აწიოკებული ქვეყნებიდან ღტოვლილთა მიერ დასაგრილებელი რომ გახლოშიათ და ვერ გაუგიათ ვინ ვის აუბატოვებს.

აქ ბობქრობენ, ევროპამ რუსეთს პრინციპულად უნდა დაუყენოსო საკითხი. რუსეთის მიმართ სანქციების გამოყენებით ლამის თვითონ მოიტეხონ კისერი; სხვა რა ქნან უკიბონ?

თავიანთი რეკომენდაციებით მასხარად ავდებულის და ნატოში შესვლის მათხოვრისათვის დაიწვევენ სწორედ ჯიჯარს, მაშინ, როდესაც დანაწევრებული და გამათხოვრებული საქართველო სჭირდებათ. სამარცხვინო და სასაცილოზე უარესია,

ამერიკა ჩვენი სტრატეგიული პარტნიორის ძახილით რომ ცდილობენ, ქართველების ევრო-ატლანტიკურ საყახბოში შერეკვას. ამდენი ხნის განმავლობაში ის ბუხიც მიხვდებოდა ძერასთან ერთად წიწილას მოტაცებაზე მისი ტრაბახი სასაცილო რომ იყო. სტრატეგიული პარტნიორი კი არა, მონები რომ არიან, ვერ გაუგიათ და იმ თხა გაპონივით, როცა დასჭირდება, ამათაც შერეკავენ საყახბოში.

ზოგიერთს ამხეზია შეეყარა თუ გაპონის მუხთობას მთელი არსებით ეხიარა, დაივიწყეს ცხინვალთან ურთიერთობის მოგვარების გზაზე ნაციონალური მოძრაობა ქიმერასავით რომ ვაქცა. დღევანდელი უბედურება ადამიანების გატაცება და სიკვდილი სწორედ მათი დამსახურებაა. ერგნეთის ბაზრობა მეგობრობის აღდგენას და მის გაღრმავებას ემსახურებოდა.

ამათ კი კოკითი ფანდარსტის ღრიალით აიკლეს ქვეყანა, როგორც სწვევით ფაშისტებს კაციჭამიებით მსხვერპლის წინ როკვა. რუსეთი ჩვენ ტერიტორიულ მილიანობას აღიარებდა და სამშვიდობო ძალებით მშვიდობას იცავდა. მფლობელობას სასიკეთო პირი უჩანდა, თუ არა უცხოეთის ლაქია გაპონი ნაციონალები. რაც ამათ ჩაიდიხეს, ნამუსი რომ ჰქონდეთ, თავი უნდა მოკლათ. გამწარებულმა რუსეთმა ამ რევიონების დამოუკიდებლობა გამოაცხადა. დასავლეთი კი თავიანთ სასაცილო და ძალითშვილ-სააკაშვილს ახლა უკრანეული ხალხისთვის თავდადებულის ნიღაბით იყენებს, სანამ მორიგი ქვეყნის უბედურებად არ დასჭირდებათ მისი პარტნიორობა. ასეთია ევრო-ამერიკული ძალადობაზე მორგებული სიმართლედ მონათლული სიცრუის ნამდვილი სახე ახლა ვინ არის ფანდარსტი?! ამძვად საგადალო, რომ ცხინვალთან გატაცებული და დაღუპული ქართველების გამო ამ უბედურების ავტორი ნაციონალები პრეტენციით დარბიან. მუხთლობისათვის სათანადოდ დასჯის მაგიერ, საქართველოს ფილმებს და მისი მრავალჯერ ჩვენება არა ვაწყინდება, რამეთუ სხვა აღარაფერი გვაქვს. უცხოური ნახატი ფილმების უაზრო, უდიეო გაუთავებულ ჭყელიძის მოხმენისას ხულის მუხუთვად მოგეძალება ბრწყინვალე ქართული ნახატი ფილმების გახსენება. ჩაიფერფლა და წარსულს ჩაბარდა მსოფლიოში სახელგანთქმული საქართველოს კინოსტუდია. მის გასაგებლად დიდებულ შემოქმედების გზაზე აქა-იქ გარყვნილ, უხეიო და ბილწიტყვის სარეველას თუ შეხვდებით ახლა.

საქართველოს ყველა კუთხეს თავისი დამახასიათებელი მადლი, სითბო, სიყვარული და ეროვნული სიამაყით შენელებული, საუკუნეებით დახვეწილი ტრადიციები ამშვენებს. ყველა ერთად ქართველთა ურთიერთ სიყვარულით და მადლიან ბრუნვული სურნალებით შემკულ უმაღაზეს ბუტკელ ჰკავს. რომელიმე კუთხის უბედურება ერთიანი ქართული ორგანიზმის მწუნარება და ტკივილია.

რომელიც ვნებავთ დღევანდელ სქესობრივ გარყვნილებით აქოთებულ დიდი სახელმწიფოების მოწინებულ გემოვნებას გაახხუებს წლების სიმრავლით გახსიფონებული მერგული გრანობის და გონების დამატებობელი სიმღერა და ამაყო ტრადიციების სიმშვენიერე. სწორედ ამ სიყვარულის პარმონის სიძულვილის შხამით მოწამვლას შეუღდა ეღუარდ თავაკაცი. სამეგრელოს ყველაზე პირსისხლიანი დამპყრობის დაუნდობლობით დარბევის გახსენებაზე თაობებს შეაჯროვლებს. კომუნისტობის დროს ქართველებს რუსეთის ბაზრებში დასვლდა და აწიოკებად გახსიფონების და სპეკულიანტობის ბრალდებით მისი ავტორიტეტის შესაღახად. ფუჭი პოპულარობით, მიწერებით, სიყალობითა და თვალთმაქცობით დატბორა საქართველო. ბრეჟნევის ქებით ყველა მლიქნელს და გაიძეურას გაასწრო, პასუხად დაწიოკებაში ხელშეუხებლობის მანდატი მიიღო და გაუმწარა კიდევ ქართველთა სიცოცხლეს; არც რუსეთში ყოფნისას მოთშალა ქართველთა დაბალდამბა. მეორედ მოსვლისას კი კენება გოვლებით გაავსო ქვეყანა. აფხაზეთის საკითხის ერთიანობის სასარგებლოდ მოგვარება უარყო, იქიდან გასრქვეულმა თბილისქელაქობა იხეიდა და აფხაზეთის ქართველობა კოლორის გოლგოთას შეატოვა. საბჭოთა კავშირის ნგრევილად საღვთაღმთად გამოხვლის მაგიერ, მის ეპიცენტრად გვაქცია და დღემდე განუკურნებელი ტკივილები შეგვატოვა, რაც ესოდენ წამლავს ქართველთა სიცოცხლეს.

საქართველოს კუთხეების ურთიერთ სიყვარული და მშობის პარმონია ვერ დაარღვია, მაგრამ წავიდა და უბედურებად დატოვა მისგან გაპონებად გამოხრდილი ნაციონალთა ხროვა. რა ვიღონოთ, როცა მისი დამსახურება სათანადოდ დაფასებული არ არის? საკუთარ თოქვე ჩამოიყვითლო და მის უამრავ დაწვლს ბოლო ბოროტებაც შეგმატოთ, თუ ისტორია ახლიდან გადავწერთოთ? თუ არადა ძალაც ნაციონალების ხელშია და სტრასბურგის სამართალიც, წამოასკუპონ რიყეზე რეიგანის გვერდით და ამრთავ შექმნან ოკუპაციის მსგავსი ხისო და ბაზას მუხუეში.

კარგია დღეს თურქეთთან ნორმალური ურთიერთობა რომ გვაქვს. მაგრამ რა ვქნათ, რაც იყო იმას რა ვყოთ? ისტორია ორმშობიანი გზა ხომ არ არის, რომ ჩვენ გემოვნებაზე მოთხაროთ და ახალი დავაგოთ, რათა მომღველო თაობამ თავის გემოვნებაზე გადააკეთოს? თურქეთს ჩვენი ისტორიული მეგობარი ვუძახით და ვინც გადაგვარჩინა, გაგვევართონ და აგვაყვავა ლანძვავ-გინებით ავიკლოთ?!

უმაღურობა ყველაზე საძულველი მანკიერებაა, რომელსაც სიკეთი და ალალი

მონანიებით მკურნალობა თუ არ ახლავს, ბრმა განუკითხაობასა და მტრობაში გადაიხრდება უმადურის სახიანოდ.

ქართველ ხალხს უმადურობას ვერავინ უსაყვედურებს. რუსეთთან ძმობას და მეგობრობაშიც არაფერი შეშლია, მაგრამ რა ქნას, როცა ამჟამად საქართველოში გაპონიზმის მოწამლულთა აღვირახსნილი თავხედობა მყინვარებს. ძმა ძმას არ აპატიებდა ამდენ ღვარძლს რაც ესენი რუსეთის მიმართ ანთხევენ ევრო-ამერიკული ბატონების გულის მოსაქონად. კიდევ კარგი, რომ რუსეთში ქართველთა მიმართ კეთილი განწყობილება არ გამქრალა, თორე თუ გაბოროტებამ იმძალავა, უბედურებად ვეძქვევა, როცა ამის ძალაც აქვს და ვერც ვერავინ დაუღებავა წინ. არადა აშკარად განაცხადეს, რომ მოსლაპარაკებლად მზად არიან. საცოდავი პლასტელინა, უცხოეთის მონა პრეზიდენტი კი ყვინილასავით იფხორება, ჩემ სტრატეგიულ პარტნიორებს უნდა შევუთანხმდეთ. ვითომ არ იცის, რომ ამ „პარტნიორებს“ საქართველოს გაერთიანება რუსეთთან დამეგობრება არ აწყოთ. ან რა პირით უნდა ესაუბროს რუსეთს, როცა მისი აუჯად სხენებით ჭიქაში ქარიშხალს აყენებს და ამ დამსახურების ფასად ხის რბილ სავარძელში.

ნაციონალთა ძალადობით, დალატით და თავხედობით აღშფოთებულმა ქართველმა ხალხმა ბიძინა ივანიშვილის თავაკცობით მათი აღვირახსნილი პარპაში დაამსო. ყველა ელოდებოდა, რომ მოხდებოდა ამ დანაშაუკეთი სროვის აკრძალვა უამრავ დანაშაულზე პასუხისმგებლად, მაგრამ პრეზიდენტად ისევ იჯდა იუდა სააკაშვილი, მალაღ პოსტზე ნაციონალები იყვნენ მოკალათებული; თვითონ „ქართულ ოცნებაში“ შემძვრალი, უცხოეთის აგენტი „რესპუბლიკური“ პარტია, მისი მსგავსი უამრავი პარტიები და უამრავი არასამთავრობო; ევროკავშირი, მისი „სახალხო პარტია“ და ნაციონალთა მიერ მოქრთამული ევროპარლამენტი ერთობლივად უმდიდნენ ხელს ახალი ხელისუფლების ხალხის სასიკეთოდ ყოველ გაფაქუნებას. ამერიკელთა ბატონობამ მონღოლეთისას გაასწრო, რამეთუ მათ საცეცხეში მოტანებულ ხალხზე ძალადობის მეთოდები უფრო დაიხვეწა.

მეფე დიმიტრი თავდადებული მონღოლების უღლის შემსუბუქებას ცდილობდა, მაგრამ მათ ომებშიც მონაწილეობდა და ქვეყნისათვის აუტანელ მძიმე დაავლებებსაც ასრულებდა. მათი უღლის ქვეშ მგმინავ ხალხს საიდან ეცოდინებოდა, რომ მის მკერდში ერის სიყვარულით ანთებული გული ფოტკავდა, სანამ გადამწვევტ მომენტში სამშობლოსათვის თავდადებული მამულიშვილის გამოცდა სიცოცხლის ფასად არ წააბარა.

ახლა წარმოვიდგინოთ, როგორი წნეხის ქვეშ უწევს მუშაობა „ქართულ ოცნებას“, როცა ამ ორგანიზებულ გაპონთა ხროვას ევრო-ამერიკული ქოლგა აფარია და პლასტელინა, ვაი პრეზიდენტი ხელისუფლების ფორანს თვალეშში ჯოხივით ეხსიერება. წინა პრემიერს სიმტკიცის ნიშნები შეატყვეს და დაუზარებლად უყვფდნენ, სანამ ოჯახის სადი შეფასებისათვის პოსტი არ დაატოვებინეს. ახლა კვირიკაშვილს ებრძვიან, მისი გადაღოშისთვის მტინეგებს და შიმშილობას აწყობენ ისინი, ვისაც გაპონების მამამთავარ პრეზიდენტის იმპინმენტისათვის უნდა ებროლა და „საქართველო, ნატო, რუსეთის“ ძახილით ჭეშმარიტება არ აქოთებინა.

კოპაბიტაციით გათავხედებული და რვეანშის კინთ შებერობილი ნაციონალები, ევრო-ატლანტიკური ბატონების მხარდაჭერით და წაქეზებით ბორდლის მეკავის ენერგით პატიონხებას იბრალდებენ, ისედაც გამწარებულ წუთისოფელს შხამს უმატებენ; ტელევიზიის უმრავლესობა ხომ ოკუპირებული აქვთ და იქიდან აფრქვევენ ბოძით გატენილ უსინდისობას.

პრემიერმა კვირიკაშვილმა კი თავხედ ნაციონალს მისი შესაფერისი პასუხი ჩააბარა, რითაც ქართულ ეროვნულ სიამაყეს გული მოფხანა. როცა ამ გაპონების საქციელის სათანადო შეფასებისთვის კანონს ევრო-ამერიკული ვეტო ადევს, სხვა რა უნდა ექნა?! განცხადებით, რუსეთთან მოლაპარაკების შესახებ, რომელიც ხალხმა ვუპოვებოდა და ვისიკაცობად ჩაუთვალა, ხომ მთლად გააცოვა დასავლეთის ლაქია პოლიტიკური გოშიები. ესენი ხომ იმას უყვფენ, ვისაც ქვეყნის სასიკეთოდ გაუფრუნებას შეატყობენ. მათგან პარლამენტიც გვარინად არის დანაგვიანებული; რას იზამ, ფორმა ამაროვებს შინაარსს.

ქუჩაში ერთი ქალი შვილს ედავებოდა, პარლამენტის უფროსი ბიჭივით რომ დაგიკიდავს კულულები, არა გრცხვინია?! დალაქთან თუ არ მიხვალ და კაცს არ დაემსგავსებო, ცხვრის დუქარდით გაგარტყუო. თუმცა, საშიში არაფერია, პარლამენტში ღუქარდი მაინც არ ექნებათ.

გაუსაძლისი გაჭირვებაში მყოფი ქართველი ერთ კი ჯერჯერობით დღუშ. იქნებ თავდადებულ დიმიტრი მეორის გამონჩხას ელოდებო? არადა, ალკიურთის მგლის ლეკვები მგონი უკვე დაიზარდნენ.

**ბიზი სოზიზვილი, მწერალი**



# ქება-დიდება სიპარტილისათვის მებრძოლ ალაშიანებს

მოგესხნებათ, რომ ჭეშმარიტებას და დედებს ცნობილი გამონათქვამი: ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი. მართალია ამ გამონათქვამში იგულისხმება ბრძოლა სიპარტილისათვის, სამართლიანობის დამკვიდრებისათვის, ბრძოლა ხალხისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ და არა პირიქით, ცუდი, ავი, მოღალატეობრივი საქმისთვის.

საქართველოს ისტორიაში ბევრზე ბევრია უშიშარი, გმირი ადამიანების რიცხვი, რომლებიც ძალღონეს არ იშურებდნენ, ყველა საჭირო ხერხს მიმართავდნენ და, რაც მთავარია, ბუნების მიერ ნაწიქარ ძვირფასზე უძვირფასეს ამ ქვეყნად სიცოცხლეს უყოფნად სწორავდნენ, რათა გაენადგურებინათ უამრავი სხვადასხვა ჯურის ვერავი მტერი და მომავალი თაობებისთვის შეენარჩუნებინათ მშობლიური მიწა-წყალი, რათა მიწისაგან პირისა არ აღგვილიყო ქართველი ხალხი და საყვარელი საქართველო.

ვინ იყვნენ ეს ადამიანები?! ესენი იყვნენ სამშობლოს ჭეშმარიტი პატრიოტები ამ სიტყვის უმაღლესი შეფასებით. ესენი იყვნენ საქართველოს სახელგანთქმული მებრძოლები, თამარ მეფე, ვახტანგ გორგასალა, დიდი მოურავი გიორგი სააკაძე და უამრავი სხვა.

აღსანიშნავია, რომ თამარ მეფე ქართველ მებრძოლებს ფეხშიშველი, ლოცვა-ლოცვით მიაცილებდა ბრძოლის ველზე და მებრძოლებიც მეფის ამ ქმედებით აღფრთოვანებულნი თავს არ ზოგავდნენ

და მუდამ გამარჯვებულები ბრუნდებოდნენ.

წინაპართა ეს საგმირო, სახელოვანი საქმეები მუდამ უნდა გვახსოვდეს და გზას გვინათებდეს უკეთესი მომავლისთვის ბრძოლის საქმეში.

ქვეყანა იმარჯვებს და ნამდვილ დამოუკიდებლობას აღწევს მაშინ, როცა იქ მცხოვრები ყველა ხალხი ერთიანდება ერთი იდეის ქვეშ.

ამის თვალსაჩინო მაგალითია კუბელი ხალხი, რომელიც ფიდელ კასტროს მეთაურობით გაერთიანდა ერთი იდეით: თავისუფლება ან სიკვდილი და მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მიადღვიეს სრულ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას.

საინტერესოა რა მდგომარეობაა ამ მხრივ ჩვენს ქვეყანა საქართველოში.

ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავას თავგანწირულმა ბრძოლამ, რა თქმა უნდა, გამოიღო შედეგი, საქართველომ მოიპოვა დამოუკიდებლობა, მაგრამ ზვიადისა და მერაბის მოშორების შემდეგ მტერმა ისევ ფრთები გაშალა, საქართველო დამოუკიდებელი კი არა დამოკიდებული გახდა სხვა ქვეყანაზე, კონკრეტულად აშშ-ზე.

საქართველოს ხელისუფლება თავქუდ-მოვლავლი მისწრაფვის დასავლეთისკენ. მათ ინტერესშია ნატო, ევროკავშირი, ამერიკა, მაგრამ როგორც ბევრ დასავლეთელ ხელმძღვანელებს განუცხადებიათ, საქართველოს არავინ მიიღებს არც ნატოში და არც ევროკავშირში. მიზეზი ტერიტორიული პრობლემის მოუგვარებლობაა.

მოუხედავად ამისა ჩვენი ხელისუფლება მაინც არ იშლის თავისას და მხოლოდ და მხოლოდ დასავლეთისკენ მისწრაფვის, ავიწყდებათ ან ძალით ივიწყებენ, რომ ჩვენს ახლოს ჩრდილოელი მეზობელი, ერთმორწმუნე დიდი რუსეთი მდებარეობს.

როგორც ბევრ სადად, რეალურად მოახროვნე ადამიანს, მეც მიკვირს საქართველოს ხელმძღვანელობა როგორ ვერ აცნობიერებს, რომ დიდ რუსეთთან ურთიერთობა-მეგობრობის აღდგენის გარეშე, მათთან სტრატეგიული კავშირის გარეშე შეუძლებელია ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, მტერთან გამკლავება.

ჩვენი მტერი რუსეთი კი არ არის, არამედ სხვებია. გაიძახიან თურქეთი ჩვენი მეგობარი ქვეყანააო. მეგობარი კი არა ისტორიულად ჩვენი ქვეყნის დაუძინებელი მტერი იყო და არის დღესაც. პრეზიდენტი ერდოღანი დაუფარავად გაიძახის, რომ ძველი საზღვრები უნდა აღვადგინო, ბათუმი, ოზურგეთი, ახალციხე ჩვენ გვეკუთვნისო.

თურქეთის გარდა, ჩვენი ახლო მეზობელი ქვეყნებიც მტრულად არიან განწყობილი ჩვენს მიმართ და ჩვენს ტერიტორიებზე უჭირავთ თვალი. რაღა დასამაღია ესენი არიან სომხეთი და აზერბაიჯანი.

ეს ყველაფერი უნდა გაითვალისწინოს ჩვენმა ხელისუფლებამ. ათასჯერ უკეთესია

მხერა მიმართოს არა დასავლეთისკენ, არამედ ჩრდილოეთისკენ.

დიდ რუსეთთან მეგობრობა-ურთიერთობის აღდგენის მომხრეები არიან გამოცდილი პოლიტოლოგები, ბატონები: ალექსანდრე ჭაჭია, პამლეტ ჭიპაშვილი, მწერალი გივი სომხიშვილი, გაზეთი "ილორი", კუკური ფიფია, რომელიც მედგრად იბრძვის ისტორიის გაყალბების წინააღმდეგ და ბევრი სხვები.

ცალკე აღნიშვნის ღირსია უშიშარი, ვაკეკაცი ქალბატონი, აღმოსავლეთმცოდნე იზა თამაზაშვილი, რომელიც ყოველგვარი მიკიბე-მოკიბვის გარეშე აკრიტიკებს და მიწასთან ასწორებს ევროპელ, დასავლეთელ პედერასტებს, მამათმავლებს და მოუწოდებს ქვეყნის ხელისუფლებას თავი დაანებონ დასავლეთისკენ ლტოლვას და სვლა-გეზი მიმართონ რუსეთისკენ, რუსეთთან კავშირის აღდგენაზე.

როგორც ქალბატონი იზა თამაზაშვილი, ასევე ზემოთ აღნიშნული ბატონები ალ. ჭაჭია პ. ჭიპაშვილი, გ. სომხიშვილი, კ. ფიფია და რა თქმა უნდა, სხვებიც, ყველას ხომ ვერ ჩამოთვლი, იმსახურებენ ჭეშმარიტად ქებასა და დიდებას, როგორც სიმაღლისათვის თამამად მებრძოლი ადამიანები.

ასე რომ, აღნიშნული ბატონების სახელით, მინდა ქებათა-ქება ვუთხრა ყველა სამართლიანობისთვის მებრძოლ უშიშარ ადამიანს.

**მურმან სანბულია,**  
**ინჟინერ-ტექნოლოგი, აფხაზეთიდან**

# რუსეთის ჯაშუშებო, სწორაბა დამოკრახიული(?) ეპროპისაქენ!

**(განმარტება ბატონ არჩილ იოსელიანს!)**

**ჯაშუში – სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, სხვათა ენაა, ქართულად მსტოვარი და აეშავი ჰქვიან! სოლო, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის თანახმად – არაბული სიტყვაა და ნიშნავს საიდუმლო აგენტს, რომელიც ჯაშუშობას ეწევა!**

ბატონო არჩილ, ადამიანს, როდესაც ვინმეს ან რამის მიმართ ბოღმა ამოძრავებს, ის ჰკარგავს მოვლენების რეალურად აღქმის უნარს, რაც აშკარად გამოჩნდა თქვენს წერილში, რომელიც გამაჰქვეყნა გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკა“-მ, სადაც კარგად ჩანს ვიდეოებზე განაწევრებული კაცის პოზიცია! ამ გაზეთის გარდა, თქვენს მიერ შერისხული ბატონები, თავიანთ წერილებს, აქვეყნებენ გაზეთებში: „საქართველო და მსოფლიო“, „ილორი“! აგრეთვე ამ შინაარსის წერილებს (დაახლოებით) „ასავალ-დასავალი“-ც ბეჭდავენ! თქვენ, ძალიან აგრესიული ტონით (მინდა გითხრაო, რომ ამ ბატონებს „ვიზუალურად“ არც ვიცნობ, ვიცნობ მხოლოდ მათი წერილებით და სრულად ვიზიარებ მათ ცხოვრებისეულ მრწამსს! ამ ხალხს არ განინია არანაირი პოლიტიკური პარტია, რომლის დირექტივებსაც, ნებისთი თუ უნებლიედ იქნებიან დაქვემდებარებულები! ესეა რაც შეეხება უშუალოდ თქვენს წერილს.

წერილს იწყებთ იმით, რომ გაზეთი დაარსებულია 1918 წელს, ნოე ჟორდანიას მთავრობის მიერ. ეს ის ჟორდანიას, რომელიც აღმებრძობდა (ფარულად) ლენინს, იმ ლენინს, რომელმაც ოსმალთ, ათა თურქთან ერთად, 1921 წლის 13 ოქტომბერს, ყარსში, რუსეთ-თურქეთს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, და, რომ არა საქართველოს, თქვენს მიერ დაუძინებელი მტრად გამოცხადებული ოსებს სტალინი, თურქებს, ყველაფერთან ერთად, ბათუმიც მიჰქონდათ! თუ რა წვლილი მიუძღვის ოსებს სტალინს და ლავრენტი ბერიას საქართველოს და საერთოდ კაცობრიობის მიმართ, უფრო დრამად ჩაიხედეთ საქართველოს (XX საუკუნე) ისტორიის ანალებში, აგრეთვე, პიოტინი ბატონ ჯუმაბერ პატიაშვილს!!! აი, ვინ წაართვა საქართველოს ტაო-კლარჯეთი და სხვა ქართული მიწები! აქ, მე არ ვლაპარაკობ სომხეთზე და აზერბაიჯანზე, ყველამ თავისი მკედარი იტყროს!

ის, რომ თითქოს სტალინი ამბობდა, „საქართველოს სურს თურქეთის და სხვა მეზობელი სახელმწიფოების ტერიტორიების მიტაცება(!) ჩემი თუ გჯერათ, წაიკითხეთ სტალინის თხზულებათა მე-5 ტომი. ამის შესახებ იქ წერია. საერთოდ, ეს ტომი მთლიანად ქართველების ლანძღვა-გინებით არის გაჯერებული. ბატონო, პარტია „სოციალური სამართლიანობის დაცვის“ მესვეურო, სპეციალურად წავედი საჯარო ვიდეორეკორდში, რათა შენახა ეს ყბბდაღებულნი მე-5-ე ტომი, რომ პირადად დავრწმუნებულდივარ სტალინის ანტიქართველობაში! მაგრამ იქ ვერ ვნახე სტალინის მიერ ქართველების ლანძღვა-გინება? ამ ტომში, სადაც კი სიტყვა ქართველი დაინახე, ყველა ამოვებუდინე და სახლში უფრო დაკვირვებით წაგიკითხე, მაგრამ რასაც ამბობთ, მე ვერ მივაგენი! იქნებ, მოიღოთ მოწველება და მიკარნახოთ უშუალოდ ის ტომი და მისი შესახებში გვერდები, სადაც თქვენს მიერ მოხმობილი ფრაზები წერია! ასე, მიკერძოებით იცავთ სოციალურ სამართლიანობას? ადამიანისადმი ზიზღმა არ უნდა გათქმევინოთ ის, რაც არ შეეფერება სინამდვილეს!

რაც შეეხება ყარსის ავადსახსენებელ ხელშეკრულებას, სტალინმა შესანიშნავად იცოდა ლენინის მიერ, გატარებული მავნე პოლიტიკის შესახებ. მან ქართველები კი არა, მაშინდელი რუსული ინტელიგენცია, მართლმადიდებელ საზოგადოებასთან ერთად, მთლიანად განადგურა, და ზედ მაყოლა იმპერატორი ნიკოლოზ მეორეს ოჯახიც! თქვენ იცით ლენინის ნამდვილი წარმომავლობა? წაიკითხეთ სომეხი ჟურნალისტის, მარიეტა შაგინიანის ვრცელი წერილი, გაზეთ „იზვესტია“-ს დამატება, „ნედელია“-ში. ჟურნალისტს ამ წერილების სერიოზოზის, ლენინური პრემიაც კი მიანიჭეს! ეს მოხდა ბრეჟნევის დროს! რაც შეეხება ყარსის ავადსახსენებელ ხელშეკრულებას, შევიძლიათ წაიკითხოთ გაზეთი „კვირის პალიტრა“. 20.10.2011 წელი. „ყარსის ხელშეკრულება-90 წლის წინ დაშვებული შეცდომაა.“

მიგვეთ თქვენს წერილს, სადაც ისეთი რაღაცეები გიწერიათ, რომ ვიფიქრე, თქვენ ადრე იუმორისტად ხომ არ მოღვაწეობდით სადმე? აი, თქვენი სიტყვები: „გაიხარეს, პუტინის კაცობრიობას დამუქარა(?)“,

ატომური იარაღით ამოგვლიტავთო. მათ ის კი არ იციან, ასეთი რამ ნებისმიერ ატომური იარაღის მფლობელს შეუძლია, თუკი, რასაკვირველია, თავი მოიგოიანა. რუსეთს, რასაკვირველია, თავი კარგა ხანია მოგოიანებული აქვს, მაგრამ ნახევრად მშვიერი(?) ქვეყნის ქაღილის არავის ეშინია.“

პატივცემული მკითხველო, თქვენ რას იტყვით „ნახევრად მშვიერ რუსეთზე“? რუსეთს თუ ქაღილი ან დანაქანდის შესრულება არ შეუძლია, მაშ რა იყო ყოველივე ის რაც მოხდა სირიაში(!) სად იყვნენ შემძვრალი, თქვენი ქებული სტრატეგიული პარტნიორები (როგორც, 2008-ში) და მისი ამფსონი ნატო-კატო-ვეროპა? აქ პატივცემული წერილის ავტორი იხსენებს, მისი ხუთ წლიანი მოღვაწეობის შესახებ გერმანიაში, სადაც (არქივში) გაცნობია დოკუმენტებს, რომელშიც ნათლად ყოფილა წარმოდგენილი დასავლეთ სახელმწიფოების გეგმა. ერთ-ერთ დოკუმენტში ასე სწერია: „ვინაიდან რუსეთი ძლიერი აგრესიული სახელმწიფოა, საჭიროა მისი არტახებში(?) მოქცევა, ეს არტახებია-აღმოსავლეთით ურალის ქედი, ხოლო დასავლეთით – ყირიმი, უკრაინა, ბელორუსი და ბალტიისპირეთის ქვეყნები. ჩრდილოეთით – კარელია, ფინეთი, კომი და სხვა ჩრდილოეთის ხალხების ტერიტორიები. ამ გეგმის განხორციელებაში უნდა გაერთიანებულიყვნენ – ოსმალეთი (ალბათ თქვენი ისტორიული მეგობარი!), საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, აშშ, გერმანია. უპირველესად, ევროპის ჯანდარმისათვის უნდა ჩამოეშორებინათ ყირიმი („არის აღსრულდა ოცნება, არის აღსრულდა მიზანი“), შემდგომში მთელი კავკასია, შუა აზია, ყაზახეთი, უკრაინა, ბელორუსი და ბალტიისპირეთის ქვეყნები. (საინტერესოა, აქ რედაქციის შეცდომაა თუ, ავტორის დაინტერესება წერილის მოცულობის გაზრდისა, ვინაიდან, ყირიმი და მიმდევრო სახელმწიფოები ორჯერ არიან ნახსენები?).“

ამ გეგმის შესრულებას ხელი შეუშალა ჯერ პირველმა მსოფლიო ომმა, შემდეგ კი – მეორემ. ვინც სიღრმისეულად ხედავს მოვლენებს, ეს გეგმა განახლდა, და ამიტომაც აუტყდათ კრემლის ხელმძღვანელობას, რომ იტყვიან, თავის ფხანა. არ არის გამორიცხული, პატარა სახელმწიფოებს დიდი საფრთხე შეექმნათ,

მაგრამ რას ვიზამთ, კაცობრიობა საერთო კეთილდღეობისათვის იღვწის და ისეთ აგრესიულ სახელმწიფოს, როგორიც რუსეთია, მალე მცირერიცხოვანი ერების ჩაყლაპვის მადას დაუკარგავს.“ ავღგეთ ფეხზე და მივესალმოთ, ოცდამეერთე საუკუნის ალექსანდრე მაკედონელს, რომელიც მალე მსოფლიო ცივილიზაციას იხსნის დაღუპვისაგან!

ბატონო არჩილ, ამას გვიმალავდით და მშვიდად გეძინათ? სად არის თქვენი მამულიშვილოერი ვალი? ალბათ იფიქრეთ: „ჯობს ღვიან, ვიდრე არასდროს“. მართალია! რა დაგიშავათ ამ ჭიპაშვილმა? აჭიპაშვილი გვიმტკიცებს, საბჭოთა კავშირის პირობებში საქართველომ დიდ შედეგებს მიღწიაო. ესეც არასწორია, თუ მეოცე საუკუნის დასაწყისში, საქართველოს მოსახლეობა ბევრად აღემატებოდა(?) კავკასიაში მცხოვრები ერების მოსახლეობას, ამჟამად კი აზერბაიჯანის მოსახლეობა შეადგენს 10 მილიონს, ხოლო სომხეთისა – 4,5 მილიონს, საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა კი – 3,7 მილიონამდე დაეცა! ასეთი ცვლილება შედეგია რუსეთის ასიმილაციური(?) პოლიტიკისა. რაც ბუნებაში საბჭოთა კავშირი აღარ არის, მას შემდეგ თითქმის 27 წელი გავიდა! ისე ვისაც ის პერიოდი ახსოვს, დამეთანხმება, რომ საბჭოთა კავშირში, საქართველო ყველაფერში იყო დომინანტი რესპუბლიკა! ვისაც აინტერესებს, გადახედოს იმ დროინდელ პრესას და სტატისტიკას! ესეა არ დამიწყოს აქ ვიდეოებმა, მორალის კითხვა!!! „პირიქით ასინეთა, პირიქით!“

თავში მოგახსენეთ და ამითვე დავამთავრებ! ადამიანი როდესაც აღშფოთებულ-განრისხებულია, მას უჭირს მშვიდად აზროვნება! ასე, რომ ჩემი (როგორც გინდათ ისე ჩათვალეთ, 82 წლის გახლავართ!) რჩევა იქნება, რაც შეიძლება ნუ აპყვებით ნერვებს, გაუფრთხილდით საკუთარ ჯანმრთელობას, რომელიც სახელის შემდეგ ძალიან ძვირფასია ადამიანისათვის!

**საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის აფხაზეთში(?), წარმომებული მმთამკველელი ბრძოლების მონაწილე, ორი დაღუპული მებრძოლის მამა,**  
**ანზორი დანელია,**  
**ტელ. 571 22 66 34**



მთელ ბრიტანეთში იყვანეს იბერიული ტომები, მარტო ირლანდიის კუნძულზე არ ყოფილან — მკვლევარი სამი იბერიული და უნიკალური აღმოჩენების შესახებ

პროფესორი სამარტინო-ლოპეზი — კახაბერი ჭილაძე მრავალი წელია კვლევებს აწარმოებს იბერიულ-კავკასიური ტომების განსახლების სფეროში. იგი ბასკეთში ათი წელი ცხოვრობდა და კუნძულ კრეტაზე ორი წელი, გამოსცა სამი წიგნი "იბერიული დნმ, სამყაროს კოდი-ქართული ანბანი", "კავკასიური იოგა" და "საქართველო ცივილიზაციის აკანანი". დღეს სინანულით აღნიშნავს, რომ ქართველ მეცნიერებს ბასკეთთან დიდი ხანია კავშირი აქვთ გაწყვეტილი და ამ საკითხს სათანადო ყურადღება არ ექცევა... კახაბერი ჭილაძემ უამრავი ინფორმაცია მოიპოვა და შეკრიბა იბერიელების მნიშვნელობაზე მსოფლიო მასშტაბით, რაც მეცნიერულად დადასტურებული და დასაბუთებულია, ნაწილს ჩვენც გვიზიარებს...

— ორი იბერიის არსებობაზე ბევრი გვსმენია, მაგრამ ფიქსირდება მესამე!

— უდიდესი მასალა არსებობს ბრიტანეთის იბერიაზე. ამ რუქაზე ირლანდიის კუნძულს პიბერნია ეწოდება და ვიკიპედიაშიც მოცემულია, რომ ეს არის იბერიის ლათინურული სახელი. კუნძულზე რომ იბერებიც ცხოვრობდნენ, კარგად ფაქტი მოწმობს. ბრიტანეთის ისტორიაში დაფიქსირებულია, რომ ამ კუნძულებზე ჩვენს წელთაღივცხამდე 3000-2400 წლებში დომინირებდნენ იბერიული ტომები. ამ ტერიტორიებზე მათ შეიტანეს მიწათმოქმედება, მესაქონლეობა და ზოგადად ცივილიზაცია. ეს ბრიტანელების მიერაა დაწერილი და მათი ისტორიაა. საქართველოში დღემდე არ არის ამ საკითხზე დიდი ინტერესი.

როდესაც ბასკეთში ჩავდით, საყველათოდ ცნობილი მეცნიერი, ბასკი ქართველოლოგი, ბილბაოს უნივერსიტეტის პროფესორი, ბასკური ენის აკადემიის აკადემიკოსი — ხავიერ კინტანა გავიცანი. მოგესხენებათ, მან ვეფხისცვაოსანი თარგმნა, ძალიან კარგად იცის ჩვენი კულტურა და მითხრა, გასული საუკუნის 80-იან წლებამდე ჩვენთან აქტიურად თანამშრომლობდნენ ქართველი მეცნიერები და შემდეგ კავშირი გაწყვიტეს. როგორც ჩანს ზვიდიან იყო ბრძანება, სამუშაო შეწყვეტილიყო, რადგან ბევრი რამ არ გამოველინათ მეცნიერებს. პირიქითაც კი მოხდა: მეცნიერებს იმ მიმართულებით აშუშავებდნენ თითქოს კავკასიის და დასავლეთის იბერები სხვადასხვაა. არადა

გენეტიკური კვლევებითაც კი დასტურდება, რომ წარმოშობა ერთი და იგივეა. არ ვიცი რატომ არ ექცევა ყურადღება იტალიის — ლიგურიას. სანამ რომაელები ასპარეზზე გამოვიდოდნენ, იქ მოღვაწეობდნენ ებრაელები, ანუ იბერიული ტომი. მათ სახელმწიფოს — ლიგურია ერქვა და დედაქალაქი იყო სამილუნა. სადაც დღეს რომაი იქვე მდებარეობდა და იქ მთლიანად იბერიული ცივილიზაცია იყო გავრცელებული.

— თქვენ ათი წელი ბასკეთში ცხოვრობდით... რა აღმოაჩინეთ იქ, რაც ქართველებმა დღემდე არ ვიცით?

— უამრავი რამ, საერთო სიტყვები, ცხოველთა სახელები: ქართულად "გოჭი", მოფრებები "გოჭუნა" და ესპანურად — "გოჭინო", ქართ "შოშია" ბასკურად — "შოშუა", ქართ. "ბუ" ესპანურად "ბუო", "ბატი" — "პატო" ქართ. — "ლორი" ბერძნულად — "ლორინი", ქართ. — "კატა" ბასკურად "კატა", ლათინურად — "ლატა", "გატა", "ქეთ", ქართ. ძალიან, იგივე "ჯოლორი" (მეგრ.) და ბასკურად "ჩაკური", ასევე "ნიგარუ" ძვ. ეგვიპტურად და "ჯუკარუ" კორსიკაზე. ცხენის სახელიც მთელს ევროპაში იბერიულიდანაა გავრცელებული: "ლანუალ" "ასპა", "ქური", "პონი"... და ა.შ. ხავიერ კინტანამ მითხრა: "რა თქმა უნდა, თქვენი სახელები ბევრ რამეს ერქვა, რადგან იბერიელები ჩამოხვედით აქ და ადგილობრივ ტომებს ცოდნა გაუზიარეთ. ამას იტალიური მეცნიერები ამბობენ და ქართველმა მეცნიერებმა რატომ შეწყვიტეს მუშაობა, სრულიად გაურკვეველია. უმთავრესი კი ის არის, რომ გრამატიკაც იგივე გვაქვს. მსოფლიოში გავრცელებული გრამატიკებიდან — შუმერული, ქართული და ბასკური იდენტურია.

უდიდესმა გერმანელმა მეცნიერმა — შუმპლერმა კვლევა ჩატარა ამის თაობაზე და მისი ნაშრომი გამოქვეყნებულია. ასევე თვლის სისტემატ, ჩვენ და ბასკებს გვაქვს ოცობითი, სხვებს კი ათობითი, სამწუხაროდ დღეს არც ამას ექცევა ყურადღება.

— პიბერნიასთან რა საერთო გვაქვს?

— მათი ენა დაკარგულია, ლათინურიზებულია, კვალი არსებობს და ერთ-ერთი ვაინახი მეცნიერი რომ ჩავიდა შოტლანდიაში და იტალიურ უნივერსიტეტში ასწავლიდა, გაკვირვებით აღნიშნავდა რომ, საოცარი მსგავსებაა კავკასიურ და შოტლანდიურ ენებს შორის, მისი ნაშრომი "კავკასიის

აღბანებიდან შოტლანდიელ აღბანახე-ბამდე" ამის ნათელი მაგალითია, მთელ ბრიტანეთში იყვნენ იბერიული ტომები, მარტო ირლანდიის კუნძულზე არ ყოფილან. ბრიტანეთში, სადაც ასლა სტოუნ-პენჯია, ის იბერიული ქურუმების მიერ გაკეთებული მეგალითებია. მსგავსი მეგალითები — საფრანგეთშიც, ესპანეთშიც, კორსიკაზეც, საქართველოშიც... ირლანდიის პიბერნიაზე უამრავი რამაა გამოსაკვლევი.

უკრაინელ მკვლევარს — ივანცოვს ფილმები აქვს გადაღებული, სადაც აუარებული მასალაა. იქ იყო იბერიული ტომებიდან — პიქტები, რომლებსაც ტანის მოხატვა ახასიათებდათ. დღეს პიბერნიაში შემორჩენილია ტომონიმები და მათივე ისტორიის წიგნი, სადაც თვითონვე აფიქსირებენ, იბერიელებმა რომ შეიტანეს ცოდნა და ცივილიზაცია. მედინეობა პიბერნიაში ნაკლებად არის გავრცელებული. ჩრდილოეთის ტომებია და უფრო მეტად ლუდია მიღებული. როგორც ჩვენთან ჩრდილო-კავკასიაში და საქართველოს მიმდებარე შიგ, ასეა ირლანდიის ამ კუნძულზეც. ბასკეთში კი, რა თქმა უნდა, ღვინოა მეტად გავრცელებული.

ბასკეთი დღეს, მოგესხენებათ, ორად არის გაყოფილი. სამი პროვინცია საფრანგეთშია და ოთხი პროვინცია ესპანეთში. განთქმული ფრანგული და ესპანური ღვინოების უმეტესობა ბასკეთშია. მე საქართველოში საცხოვრებლად დავბრუნდი, რადგან მსურდა შვილები სამშობლოში, ქართულად გაზრდილიყვნენ. ბასკეთთან დღემდე მაქვს კავშირი.

— თქვენ ასევე ძალიან საინტერესო ინფორმაციას ფლობთ, თუ რამდენად მაღალ დონეზე ფლობდნენ ცოდნას კოსმოსზე უძველეს საქართველოში...

— მოგესხენებათ, რომ შუმერები და ქართველები ერთი და იგივე ტომები არიან. შუმერები თავის თავს — სანგოებს ეძახდნენ, ანუ შავთავიანებს და უძველესი გადმოცემით ისტორიკოსები აღნიშნავენ, რომ სანიგები ქართული ტომია, რომლებიც სახლობდნენ მცირე აზიაშიც და ესენი არიან სვანები. ქართულად დღესაც სანგ-ზანგ შავს ნიშნავს. შუმერულ-ქართულ პარალელებს აღარ მოყვები, რადგან ძალიან ბევრია ამაზე გამოქვეყნებული. ერთი და იგივე ტომები იყვნენ. დღეს მსოფლიოში იცის, რომ შუმერებიდან იწყება ისტორია

და მათ დაყვეს ვარსკვლავითი ხომლებად. ეს ქართველი ქურუმების პრეროგატივა იყო და ჩვენთან ყველაფერი დაფარული იყო. შუმერი ჩასახლდა "ოთხი ქარის ქვეყანაში", ანუ შუამდინარეთში, რათა ველური "მართუს" ხალხი გაეადამიანურებინა, რომლებმაც არ იცოდნენ ხორცის შეწვა, მიცვალებულის დამარხვა და ასე შემდეგ... 5604 წ. არის ქართული წელთაღრიცხვა ქრისტემდე. იგივეა შუმერულიც. ბაბილონური უკვე 5500-ით იწყება და 104 წლით ჩამორჩება ჩვენსას.

კოსმოსის მაღალ დონეზე ცოდნა ჩვენთან ხვამლის მთაზეც ფიქსირდება. გამოქვაბულში რომ შევიდნენ კვლევებელნი და ვარსკვლავების ზუსტად ისეთი განლაგება, როგორც ფიქსირდებოდა 5604 წელს ჩვენამდე, ანუ იქ ხალხი სახლობდა იმ დროს და ეს ცოდნა პქონდათ. ამ ყველაფერზე ფილმიც არის გადაღებული. რაც არის ზევით, ის არის ქვევით!

— ეს უამრავ სწავლებას იცის და რელიგიაშიც. მე გადავთარგმნე წიგნი "კავკასიური იოგა", რომელიც არ იყო გავრცელებული საქართველოში და ყურადღება არ ექცეოდა. წიგნის ავტორია — გრაფ ვალევიკი, მკვლევარი, მოგზაური. იგი იოგათი იყო გატაცებული და ტიბეტში უთხრეს, რომ თუ გინდა უმაღლეს ცოდნას მიიღწიო კავკასიაში ჩადიო. 1920 წლიდან ორი წელი კავკასიაში იმყოფებოდა, სვანი და ინგუში კანტოლიების ნდობა მოიპოვა და მათი ცოდნა ჩაწერა იოგას შესახებ. კავკასიური იოგაში ისეთი სწავლებაა, რომ შეუძლებელია ადამიანმა ის საკუთარი გამოცდილებით დააგროვოს, ეს არის ზე-ბუნებრივი ძალით მიწიჭებული, აქ აღწერილია ლევიტაცია, გრავიტაციაზე და სტიქიებზე ზემოქმედება, "მესამე თვალის" გააქტიურება და ა.შ.

უამრავი ფაქტის მოყვანა შეიძლება იბერიულ-კავკასიური მოღვმის მიღწევებზე და უნიკალურობაზე, მაგრამ ჩემი აზრით, მისი გვირგვინია ქართული ასომთავრული ანბანი, რომელიც სამყაროს კოდი და უნივერსალური მატრიცის პრინციპზეა აგებული, როგორც დნმ-ი და კაცობრიობის მიზანი უნდა იყოს, რომ ჩავწვდეთ ამ სიღრმეებს და შევიცნოთ ჩვენი არსებობის არსი.

ინტერნეტსაიტი ambebi.ge

პაი, ჩხარტიუვილის თავეს, უბედურს!

ქართული დროის დღის დაწესებასთან დაკავშირებით

რისხვა და მეხი მტერს, რომელსაც „შენი კვლობა და მოსპობა სწყურია“, ფარულსა თუ ხილულს, შინაურსა თუ გარეულს, რომლებიც იბრძვიან სიტყვით თუ კალმით, „ხიშტით“ თუ „პარაბელუმით“ ქართველი ხალხის წინააღმდეგ, მისი ისტორიის წინააღმდეგ, მისი კულტურის — ხელოვნების მისათვისებლად და გასასხვისებლად. ასეთად შეჩვენება არისტიკტორ ბაადურ ჩხარტიშვილის სტატია გახეთ „საქართველო და მსოფლიოში“ (ა.წ. 14-20 აგვისტო „ქართულ დროშაზე გამოსახულია „ხან ვორდან კარმახის“ ხუთეული“). ასევე „ასავალ-დასავალი“-ს №17-ში გამოქვეყნებული წერილი: „ეს კილიკიის სომხური სამეფოს — 1374 წლის დროშაა“. ავტორი დიტო ჩუბინიძე.

მოკლედ, მოკირებული ვარ, ჯერაც ვერ მოვსულვარ გონს; ნუთუ, რაც შიგ ვერია, მართალია?! მაშინ იმ სიმაღლის არგასაჯაროება სჯობდა. ხომ არის ნათქვამი: „ზოგჯერ თქმითაც დაშავდები“-ო. სომხები გვეტყოდნენ ამას. ზურგი რომ ჰქონებოდათ ბოლოსდაბოლოს რასაც არქიტექტორ ბრძანებს, იგივეა, რაც „ქართლის ცხოვრების“ პირველ ნაწილს. სომეხი თუ პროსომეხი ავტორი ლეონტი მროველი გვამცნობს, მე-2, მე-3 საუკუნეების ძველი წელთაღრიცხვით, ეი — ფარნავაზის დრომდის საქართველოში სომხური ენა იყო განვრცობილი; ამის ტოლფასია ჩხარტიშვილის „ადმონენა“, ან კიდევ იმის ტოლობაა რომ ქართული ანბანი სომეხმა მაშტოცმა შექმნა, მაშინ, როცა პირველი სომხური ანბანი მე-5 საუკუნის შუაწლებში შექმნეს დიდმა ქართველმა მოაზროვნეებმა იოანე

ლაზმა და პეტრე იბერმა, და საერთოდ, მაშინ სად იყო სახელი „საქართველო“? იბერიული ენა პეგეკონობდა, ხოლო ისტორიის მამამთავარი ჰომეროსი კავკასიაში საერთოდ ვერ ხედავს სომხებს, იმიტომ, რომ ისინი მაშინ აქ უბრალოდ, არ ცხოვრობდნენ... სამაგიეროდ ცხოვრობდნენ სპერები, სასპერები და კოლხები.

და იმას, რომ საქართველოს ისტორია მითებიდან და ლეგენდებიდან არ დაგვეწყო, ბრძანებდა დიდი ივანე ჯავახიშვილი, ჩვენ კი, პირიქით, დაქინებით ამას „ვაწვებით“ („საქართველოს ისტორიის ოთხტომეულის“ გამოცემა და ერთდროულად საქართველოს ისტორიის წარსულს ათასწლეულობით ვკეცავთ, ჩვენივე ლეგიტიმური, სახელოვანი ისტორიკოსების მეშვეობითაც).

ხოლო ბნი ჩხარტიშვილი შემოვლით თუ პირდაპირ არგუმენტებს იშველიებს: „ბოლნისის სიონის შენობა წარმოადგენს სომხური ტრადიციის ტიპურ ბაზილიკას, აგებულია სომხური წყობის ტექნიკის გამოყენებით; იგი დეკორირებულია სხივური ჯვრის გამოსახულებით, რომელიც ჩამოსხმულია სომხური კლასიკური სამკუთხა ორნამენტით დეკორირებულ მედალიონში“.

ან კიდევ „ტაძარი მდებარეობს იმავე პერიოდში აშენებული ნასახლარის ცენტრში და აბსოლიტურად ყველა გარშემო მდგომი შენობა გვირგვინიანი დარბაზის ტიპისაა“. აქედან გამომდინარე ტაძარი ააგო სომხეთიდან დააბრუნებულმა „არტელმა“ და ა.შ. თურმე ნუ იტყვით: „ჯვრის ტაძრის კონსტრუქცია... სომხეთში აგებული იყავანის, ვაგარშაპატის, არამუსის სრული ანალოგია, 682-689 წლებში ქართლში

აშენდა კიდევ ერთი, მცხეთის ჯვრის სრული ასლი — ათენის სიონი“... ჩხარტიშვილის ლოგიკით, რა თქმა უნდა, ისიც სომხურია... და ბოლოს „ჯვრის ფასადზე განთავსებული რელიეფები მოჭრილია ვარდისფერი ტუფის ფილებზე, რომელიც საქართველოში არ ფიციოვება“. შემდეგ ავრძელებს: „ტაძარი ცენტრალური შესასვლელის თავზე, სხივური ჯვრის ქვეშ, ჩაშენებულია კლასიკური სომხური ხაჩკარის გამოსახულებით“. და არა მარტო საქართველოში აშენებდნენ სომხები, არამედ „პროტოსომხეთა“-მუშაკების ტომი, „ბალკანეთიდან ანატოლიაშიც შეჭრილან და შემდგომ რომელიმეც მეფემ ურარტუში ჩამორეკა გაწვდული მშენებლების ტომი „მუშაკები“. ბოლოსდაბოლოს „სომხეთში ფართოდ ვრცელდებოდა მოჩუქურთმებული ქვის სტელების — ხაჩკარების კულტურა“ (დემეტმა მშვიდობაში მოახმაროთ! მაგრამ არა ჩვენს ხარჯზე), „სომეხი ქვის მთლებები იყენებდნენ სხივურ ჯვრის ნახატს“. აქ მარხია „ძაღლის თავი“ და სხვაგანაც ასე დაწვრილებით და საუელდაულოდ ეძებს ქართველი არქიტექტორი თუ ისტორიკოსი სომეხ ოსტატთა კვალს, კვალს კი არა, თავს ჩვენს საფიჯარ და სალოცავ ეკლესია-მონასტრებში. და „ბრწყინვალედ“ ატყუებდნენ: სომხური სტილია, სომხების გაშენებულია, მაშასადამე, სომხეთისაა, სომხის ტერიტორიაზეა გაშენებული. „ატყუებდნენ“ და ფიანდახად მიაბრუნეს ქართული კულტურის საგანძურს სომხეთს. ასევე სიამოვნებით შესთავაზებს, ნამდვილად, თუ პირობა შექმნა ცნობილ ქართველ ისტორიულ მოღვაწეებს — იმავე სომხეთს, რომელთაც უიმიოსოდაც ისაკუთრებენ სომეხი ფესვდლისტორიკოსები, ასევე,

ფსევდო ხელოვანებათმცოდნეები, მწერლები, სასულიერო პირები და ა. შ.

დავიჯერო, დიდი ილიას „ქვათა დადალი“ არ აქვს წაკითხული არქიტექტორს? უწიგნურს არ ჰგავს. მით უარესი ჩვენთვის. იმასაც ამბობს: „მე ამერიკა არ აღმომიჩენია“-ო. ყასიდად ამბობს, თორემ „ადმოჩენაც“ გააკეთა და პოპულარული გახეთის გამოყენებით, ფართო აფიშირებაც.

დავასკვნით ეს „ბაიათები“ იმისთვისაც დასჭირდა (გარდა ზემოთ ნათქვამისა. — ა.თ.), რომ გვითხრას: დღევანდელი ქართული დროშა-პერალდიკური სიმბოლო, წითელ დროშაზე გამოსახული სხივური ჯვარი-სომხური, როგორც თავშია, დღევანდელ ქართულ დროშაზე გამოსახულია „ხან ვარდან კირგიზის ხუთეული“ სომხურია.

და თუ მართლა მტერი არ ხარ და ეს იცი, რამ გავანუმა მთელი 9 (ცხრა) წელიწადი? ივანიშვილის მოსვლას ხომ არ ელოდებოდი? თუ სომხურ დროშას ვაფრიალებდით, სად იყავით აქამდის?.

ჩემის აზრით, რაც თქვენ ქართველობას სამსახური გაუწიეთ თქვენი „დიდოსტატური“ გამოკვლევით, უბოროტესი მტერი ვერ იხამდა ამას. „ნაბან წყალს (ნაცმოს“), ბავშვსაც (საქართველოს) აყოლებო... კომპეტენტური პიროვნებები, პროფესიონალები, რიგითი ქართველები ყველაფერ ამაზე მოგკითხავენ: ვფიქრობ, თქვენს გარჯას „უყურადღებოდა“ არ დატოვებენ...

ალექო თოღუა, აკადემია „ვახისის“ წევრი „ქაღდაცს“ და „აიას“ აკადემიების ვიცე-პრეზიდენტი ზუგდიდი



# საბჭოთა კალატობურთის მიზანმიმართული ბიოკონსერვაცია

დღევანდელ წერილში ბატონი გურამ მინაშვილი მსურს გავიხსენო, რომელიც საკუთარ სპორტულ ბიოგრაფიას თავადვე მოიგონებს. სამწუხაროდ ცნობილი კალათბურთელი 2015 წლის 1 მარტს გარდაიცვალა.

„მეშვიდე კლასში რომ გადავიდი, ფიზკულტურის მასწავლებლად ცნობილი ტანმოვარჯიშე, მხატვარი და ყველა სფეროში გამორჩეული კაცი ვახტანგ მარსაგიაშვილი მოვიდა. ის გარეგნულადაც სიმპათიური იყო და მთელ სკოლას უცებ შეყვარდა თავი. მარსაგიაშვილი თითოეულ მოსწავლეს შესაბამის სპორტის სახეობას უძებნიდა და სასწავლო წლის ბოლოს იშვიათად ნახავდით ბავშვს, რომელიმე სპორტულ სექციაში რომ არ ყოფილიყო ჩართული.

როგორ მოვხვდი კალათბურთში? ბატონი ვახტანგის რჩევით. ერთ დღეს მოხრა, აი, ეს წერილი შალვა დიასამიძეს წაუღე. უნივერსიტეტის ფიზკულტურის კათედრაზე მუშაობს და ბავშვებს სასწავლებლის ეზოში ავარჯიშებს. სარეკომენდაციო წერილი გამატანა. იმხანად ზუსტად უნივერსიტეტის წინ ვცხროვობდი და მანამდეც დიდი ინტერესით ვადავებოდი თვალს ბატონი შალვას ვარჯიშებს. ასე დავეკავშირდი კალათბურთს. ერთხელ ჩვენი მწვრთნელი ავად გახდა და მეგობრებმა შინ მივაკითხეთ. მასთან უამრავი უცხოური წიგნი ვნახეთ კალათბურთის შესახებ. იმ დღის შემდეგ კალათბურთელმა საბოლოოდ გადავწყვიტე!

მეათეკლასელი თბილისის ტონი-ში მოვხვდი, რომელსაც კალათბურთის შესანიშნავი მცოდნე და სპორტზე უზომოდ შეყვარებული მიხეილ კეკელიძე წვრთნიდა. გაცოდინებთ, ტონი სახალხო განათლების თბილისის განყოფილების რუსული სახელწოდების აბრევიატურაა. ტონის შემადგენლობაში საქართველოს ჩემპიონი გავხდი და საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად ძაუჯიყაუში, ახლანდელ ვლადიკავკაზში წავიყვანი. სამწუხაროდ იმ ტურნირზე ვერ ვითამაშე: 1936 წელს ვიყავი დაბადებული, შეჯიბრების დაწყების წინ კი ახალი წესი

მიდევს – მხოლოდ 1935 წელს და ადრე დაბადებულებმა უნდა ითამაშონო...

მომდევნო წელს საკავშირო ჩემპიონატი უკრაინის ქალაქ დნეპროპეტროვსკში ჩატარდა. ეს იყო ჩემი პირველი გასვლა საქართველოს ფარგლებს გარეთ. ოქროს მედლები ესტონელებმა მოიგეს, რომელთაც 20-25 სმ სიმაღლის ცენტრი მარტინ ლაგა ჰყავდათ. ის იყო პირველი საბჭოთა კალათბურთელი, რომელიც ბურთს ტენიდა.

1953 წლიდან უკვე „დინამოს“ მაისურით ვითამაშობდი თბილისის, საქართველოს თუ საკავშირო პირველობებში, არადა, იმ დროს ჯერ კიდევ სკოლაში ვსწავლობდი. თუმცა, იოლი არ იყო ვარჯიშების და სწავლის შეთავსება. მიუხედავად იმისა, რომ თავისუფალი დრო ფაქტიურად არ მქონდა, სასწავლებელი მაინც ოქროს მედალზე დავასრულე. სხვათა შორის, უნივერსიტეტიც წარჩინებით დავასრულე. დიპლომის აღების შემდეგ მცირე ხანს ენგურის კაშხლის მშენებლობაზეც ვიმუშავე – ბეტონის ხარისხს ვამოწმებდი...

მთავარმა მწვრთნელმა გიორგი ავალიშვილმა ნოდარ ჯორჯიკიასთან გამანაწილა ორადგილიან ნომერში – ჩვენ ერთი აპარტამენტის მოთამაშეები ვიყავით. ბატონი ნოდარი იმ „დინამოს“ ერთ-ერთი საუკეთესო კალათბურთელი იყო. ის კალათბურთის ნიუანსებს მიხსნიდა და ცხოვრებისეულ ამბებსაც მიაბობდა. მიუხედავად იმისა, რომ მას კიდევ შეეძლო რამდენიმე წელი უმაღლეს დონეზე თამაში, ცოტა ხანში კარიერა დაასრულა. იგრძნო, რომ ღირსეულად შეეცვლიდა და გზა დამითმო. თუმცა, იმ „დინამოში“ მხოლოდ მე არ ვიყავი ახალგაზრდა: ვაჟა ქვინცი, გივი აბაშიძის, ითარ ქორქიას, ნოდარ ჯორჯიკიას, ლევან იმწკირველის და შოთა ქორქაშვილის მხარდამხარ მე, გურამ კუჭავა, გურამ აბაშიძე, ილო მირიანაშვილი, მამია კვაჭანტირაძე და ვაჟა გვანცველიძე ვითამაშობდით.

1958 წელს „დინამოს“ კაპიტნად ამირჩიეს. იმ დროს ჩვენ თამაშებზე ტევა არ იყო, ბლეთის შოგრა წარმოუდგენელი გახლდათ. ცხადია, ბევრი ახლობელიც

მოხვდა დახმარებას... მოთამაშეთა ოჯახის წევრებისთვის სპორტის სასახლეში მეხუთე და მეთერთმეტე სექტორები იყო გამოყოფილი. მეხუთე სათადარიგოთა სკამთან ახლოს იყო, მეთერთმეტე კი სამთავრობო ლოჯის ზევით, მეორე იარუსზე. ასე რომ, თბილისში გამართული ყოველი მარტი 20-25 მანეთი მიჯდებოდა. მაშინ ეს თანხა სულაც არ იყო სახუმარო: „დინამოში“ ჩემი ხელფასი 80 მანეთი იყო, მოგვიანებით 180 მანეთამდე გამიზარდეს. თითქმის ყველა საბჭოთა კლუბში ასეთი ხელფასები იყო.

1959, 1960 და 1961 წლებში საბჭოთა კავშირის პირველობაზე ვერცხლის მედლები მოვიგეთ. ვერ ვიტყვი, რომ ამა თუ იმ შეჯიბრების საბოლოო შედეგზე მსაჯობამ დიდი გავლენა მოახდინა, მაგრამ ეს ის თემაა, რომელსაც კალათბურთში გვერდს ვერ აუვლი – მსაჯობი ხშირად ვგამწარებდნენ. განსაკუთრებით შუაზოგადები და ერთი ესტონელი, გვარად კიაბი, რომელიც სისხლს გვიშრობდა.

1960 წელს თბილისის „დინამო“ პირველად გამონდა ვეროპის ჩემპიონთა თასზე – მეორე წრიდან ჩავებით გათამაშებაში. საწყის ეტაპზე რუმინეთის „სტიაუა“ დავამარცხეთ, 1/4-ფინალში ბულგარეთის „აკადემიკს“ ვაჯობეთ, წინა ორი გათამაშების ფინალისტს და ბულგარეთის ნაკრების საბაზო გუნდს, ნახევარფინალში კი პოლონეთის „პოლონია“ დავამარცხეთ, რომელმაც წინა ეტაპზე „ბარსელონას“ სძლია. ფინალში ჩვენი ძველი ნაცნობი რიგის არმიის სპორტული კლუბი გველოდა. პირველ ფინალში ათი ქულის სხვაობით დავამარცხდით – 51:61, მეორე კი 62:69 წაგავით. ძალიან გულდასაწყვეტია, როცა ტიტულამდე ერთი ნაბიჯი გაკლდება, მაგრამ მეორე მხრივ, ჩვენ ხომ პირველად ვითამაშეთ საერთაშორისო არენაზე?

1962 წლის ჩემპიონთა თასის გათამაშებაშიც მეორე ეტაპიდან ჩავერთეთ. პირველად კვლავ „სტიაუს“ ვაჯობეთ, 1/4-ფინალში კი კიდევ უფრო დიდი უპირატესობით დავამარცხეთ თურქეთის „დარუშაჟაკა“ – 80:67 სტამბულში და 84:49 თბილისში. ნახევარფინალში საკალათბურთო კლასიკა გაიმართა –

თბილისის „დინამო“ მოსკოვის ცსკა. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ძლიერი მეტოქე გვყავდა, ფაქტიურად, იმ წლების ვეროპის ერთ-ერთი საუკეთესო კლუბი, ყველაფერი ვილონეთ და ცსკა მისსავე მოედანზე დავამარცხეთ – 75:71. მიუხედავად ამისა, ვიცოდით: ფინალის საგზურის მოსაპოვებლად თბილისშიც ბოლომდე უნდა გვებრძოლა, რადგან მეტოქეს საპასუხო შეხვედრის მოგება თავისუფლად ხელეწიფებდა. თბილისშიც გავიმარჯვეთ – 77:66 – და ჩემპიონთა თასის ფინალში გავვდიეთ!

ფინალში მადრიდის „რეალი“ გველოდა. პირველი პრობლემა გადაწყვეტ თამაშამდე შეიქმნა: ესპანეთს და საბჭოთა კავშირის რთული პოლიტიკური ურთიერთობა ჰქონდათ, ამიტომ ესპანეთმა ვიზაზე უარი გვითხრა. თავის მხრივ, არც მოსკოვში სურდათ „რეალის“ ხილვა. გამოსავალი ფიბა-მ მოძებნა: ორი ფინალური შეხვედრის ნაცვლად, ერთის გამართვა გადაწყდა, ისიც ნეიტრალურ მოედანზე. მასპინძლად შვეიცარიის ქალაქი ვენევა შეირჩა, თარიღად – 29 ივნისი.

ფინალს ვენევის „პატინუარ დე ვერტენსმა“ უმასპინძლა. მთელი დარბაზი გადაეთურებოდა იყო, ათასობით ესპანელს შორის კი „დინამოს“ მხოლოდ ოთხი ქომაგი იჯდა, მაგრამ რა გულშემატკივრები: საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პირველი ხელმძღვანელის სპირიდონ კვიციანი ქალიშვილი დიკა კვიცია ფრანგ მეუღლესთან ერთად; შალვა დიანის პირველი მეუღლე ნინო ჩხეიძე; გალაკტიონის მუზა მერი შერვაშიძე და ქართული პროზის პატრიარქი გრიგოლ რობაქიძე!

რა შეიძლება ითქვას ფინალზე? ეს იყო თამაში, რომელშიც კარგი ინდივიდუალისტებით დაკომპლექტებული ორი გუნდი დაუპირისპირდა ერთმანეთს. საბედნიეროდ, ჩვენ ყველაფერი უკეთ გამოგვივიდა და გავიმარჯვეთ – 90:83! საოცარი შეგრძნება იყო, მეცხრე ცაზე ვიყავით სულიერადაც და ფიზიკურადაც!

## წითელა საშიში დაავადება!

წითელა მაღალი ინფექციური ბოთი (გადამდებლობით) გამორჩეული ვირუსული დაავადებაა, რომელიც გამოწვეულია წითელას ვირუსით.

ვირუსი ბინადრობს დაავადებულის ცხვირისა და პირის ღრუს ლორწოვანში. ხველების და ცემინების დროს ვირუსის შემცველი წვეთები იფრქვევა და ვრცელდება ჰაერში, რაც იწვევს კონტაქტში მყოფთა დაინფიცირებას. ამ წვეთებში ვირუსი აქტიური შეიძლება დარჩეს 2 საათის განმავლობაში.

ინფიცირებიდან დაავადების გამოვლენამდე პერიოდი (ინკუბაციური) გრძელდება 10-12 დღე. ამ პერიოდის მანძილზე ვირუსი მრავლდება და სასუნთქი გზების, თვალის და ლიმფური კვანძების უჯრედები ავადდება. ამასთან ერთად, სისხლში

ვირუსების კონცენტრაცია იმატებს.

დაავადების პირველი ეტაპი იწყება სურდოთ, ხველით და ტემპერატურის

ზომიერი მომატებით. ინფექციის პროგრესირებასთან ერთად, თვალები წითლდება და სინათლის მიმართ მგრძობიარე ხდება.

მეორე ეტაპზე აღინიშნება მაღალი ტემპერატურა, რომელიც ზოგჯერ 40 გრადუსს აღწევს. ჩნდება დამახასიათებელი წითელი ლაქოვან-კვანძოვანი გამონაყარი.

ჩვეულებრივ, გამონაყარი იწყება სახიდან და შემდეგ ვრცელდება მკერდზე, ზურგზე, ხელზე და ფეხებზე, მათ შორის ხელის უკლებზე და ფეხის გულზე.

მიმღები ბანკის დასახელება და მისამართი: ს.ს. „ლიბერთი ბანკი“

ი. ჭავჭავაძის გამზირი 74 თბილისი, 0162, საქართველო მიმღები ბანკის swift კოდი: LBRTGE22

ანგარიშის მფლობელი (მიმღები): ანზორი დანელია, ტელ. 571 22 66 34

**ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღს წითელ წიგნში შეტანილი ხე აჩუქეს**

„ანაკლისი განვითარების კონსორციუმმა“ ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღს საჩუქრად წითელ წიგნში შეტანილი წაბლის ხე აჩუქა.

როგორც „ლაიფბრუსს“ „ბოტანიკური ბაღების მართვის ცენტრის“ დირექტორმა ზვიად ქარჩავამ განუცხადა, ხე მარტივად ექვემდებარებოდა ტრანსპორტირებას და გარემოს შეცვლას, ამიტომ მისი გახარება არ არის რთული. მისი ინფორმაციით, წითელ წიგნში შეტანილი ხე ბაღში მთავარი ბილიკის მიმდებარედ, ტბის სიახლოვეს დაირგა.

**იუმორი**

მამაოს ქურდი აღსარებას აბარებს:

- მამაო, შენ რომ მანქანაში ოქროს ჯვარი გქონდა მე მოგპარე; ეკლესიაში რომ დიდი ოქროს ჯვარი იდგა ისიც მე მოვიპარე, კისერზე ოქროს ძეწვეი და ჯვარი მე მოგპარე. ვინანებ მამო და პატივებს ვითხოვ.
- მიპატიებია შეილო ჩემო – მიუგო და დაემშვიდობა მღვდელი.
- მთიცა მამაო, ასე უბრალოდ ჩაგაბარე აღსარება? ჯვარს არ ვემთხვიო?
- რაც ჯვრები მქონდა შენ მომპარე და თუ გინდა აგერ მემთხვიე ესლა!

\*\*\*

მამაო მაკურთხეთ, მიტინგზე მივდივარ.

- ვის მიტინგზე?
- ნაცების!
- შენა კურთხევისთვის მოხვედი, თუ შეკურთხებისთვის, შეილო ჩემო?!

ISSN 1987-8966 "ილორი"

რედაქციის მისამართი: **თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6** საარგ. №01018002930 **234-32-95**

მთავარი რედაქტორი: **როლანდ ჯალაღანია**

ბაზეთის მენეჯერი: 599-34-37-27 ტელფაქსი 568-01-21-32

ბაზეთი ხელმოქმედებულია თაბისუზალი პრესის პრინციპებით

აბტორებს ემისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. ხელნაწილები აბტორებს არ უბრუნდებათ.

ორი თაბისის ფურცელზე მეტი მოცულობის ტექსტი რედაქციას უნდა გაგზავნოს ელ.ფოსტით (ან ლაზერის დისკით).

გაზეთ "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე **WWW.saqinform.ge**

სასაულომოქმედი პრეპარატები "დომინტოლი" და "გაგენოლი" მუღამი იქნებოდათ თქვენი ჯანმრთელობის სამსახურში

დომინტი ბაზნიძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ათევისებთან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუფერობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, ჰეპრატის გაფანტული სკლეროზის და შიდსს, შველის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქვანას, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, C-ჰეპატიტს, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.

მეურნალის საქმეს წარმატებით აგრძელებენ მისი შვილები: ზეზა და დოდო.

კოორდინატები: თბილისი, აჭყურის ქუჩა №70 (მეტრო "ისანთან"), ყოველდღე – 10-დან 16 საათამდე.

ტელ: 593-22-66-51, 593-62-28-48

**მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან**